მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება

წიგნზე მუშაობდნენ:
ანა ლაღიძე
გიორგი დემეტრაშვილი
მარიამ მიქიაშვილი
გურანდა ჯამათაშვილი
თათია პაჭკორია

პასუხისმგებელი რედაქტორი:
თათია პაჭკორია
რედაქტორი-სტილისტი:
მანანა მიქელაძე

დიზაინერი:
ლუკა ჟორჟოლიანი

სარჩევი

თავი I
მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება

თავი II
სუსტად მხედველი მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები

თავი III
მობილობა, ორიენტაცია და საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება

(სენსო-მოტორული უნარები: სმენითი, ტაქტილური და ვიზუალური აღქმა; მოტორული განვითარება, მეტყველების განვითარება, წერა-კითხვის სწავლება, ემოციური და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების აღწერა და სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობა; მითები და რეალობა მხედველობის დარღვევების შესახებ)

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების თავისებურებებს; ამ თავისებურებებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო საჭიროებებს და ასევე, განვითარების თუ სწავლის ხელისშემწყობ აქტივობებს. მიუხედავად იმისა, რომ მხედველობის დარღვევები ძალიან მრავალფეროვანია და სხვადასხვა ხარისხით ვლინდება (სუსტად მხედველობიდან - სრულ სიბრმავემდე), მოცემულ თავში ჩვენ მიზანმიმართულად არ ვაკეთებთ აქცენტს მხედველობის დარღვევების სიმძიმის ხარისხზე და ვსაუბრობთ მხედველობის ნებისმიერი დარღვევის მქონე მოსწავლის კოგნიტური განვითარების სტიმულირებასა და ხელისშეწყობაზე. ამგვარი მიდგომა გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხედველობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბავშვის კოგნიტურ განვითარებასა და დამოუკიდებელი სწავლის პროცესზე. შესაბამისად, რა ტიპის და როგორი ხარისხისაც არ უნდა იყოს მოსწავლის მხედველობის დარღვევა (თუ იგი არ არის კომპენსირებული, მაგ. სათვალით), იგი მაინც იწვევს გარკვეულ შეზღუდვას ბავშვის განვითარებასა და შემდგომ სწავლაში და აუცილებლად საჭიროებს კოგნიტური განვითარების სტიმულირებას.

ბავშვის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, მისი კოგნიტური განვითარება წარმოადგენს. კოგნიტური განვითარება გულისხმობს მოსწავლის შემეცნებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას. შემეცნებით პროცესებში კი მოიაზრება ისეთი ფუნქციების განვითარება, როგორებიცაა: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება და სხვა. კოგნიტური განვითარების ყველა ასპექტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და დიდად არის დამოკიდებული მხედველობის გზით მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. როდესაც ბავშვს სხვადასხვა ხარისხის მხედველობის დარღვევა აქვს, იგი შეზღუდვით იღებს იმ ინფორმაციას, რომელიც სამყაროს შემეცნებისთვის და ინტელექტუალური განვითარებისთვის არის აუცილებელი. მხედველი ბავშვები უწყვეტად სწავლობენ განსხვავებულ მოვლენებს საკუთარ და სხვათა ქცევაზე დაკვირვებით. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს კი ნაკლები შესაძლებლობები აქვთ დააკვირდნენ, რას აკეთებენ ადამიანები მათ გარშემო, როგორ იქცევიან ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში და როგორ რეაგირებენ სხვათა ქცევაზე. პატარა ბავშვებში მხედველობის დარღვევა

პრობლემებს უქმნის მას გარე სამყაროს სრულფასოვან აღქმასა და ფუნქციონირებაში, სიტყვების საგნებთან დაკავშირებაში, გარემოსთან კონკრეტული ცნებებისა და კატეგორიების დაკავშირებაში. ითვლება, რომ მხედველობის მძიმე დარღვევის მქონე ბავშვები არამოტივირებული და პასიურები არიან, აკლიათ თავდაჯერებულობა პრობლემების გადაჭრისთვის. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვის მოტივირებას და ინტერესის გაღვიძებას იწვევს ინფორმაცია, ხოლო მხედველობით მიღებული ინფორმაცია განსაკუთრებულ სტიმულს წარმოადგენს მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი შესწავლისათვის, ცხადი ხდება, რომ როდესაც ბავშვის მხედველობა დაბადებიდან ან განვითარების ადრეულ ეტაპზე ირღვევა, მთელი მისი კოგნიტური განვითარება განსხვავებული კანონზომიერებით ხდება და აუცილებლად საჭიროებს განვითარების სტიმულირებას, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოხდეს მხედველობის დარღვევით გამოწვეული განვითარების დეფიციტურობის კომპენსირება.

მხედველობის დაქვეითება ან დაკარგვა უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ფიზიკურ, ნევროლოგიურ, კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე. ადრეული ჩარევის, რეაბილიტაციის და განვითარების სტიმულირების გარეშე მხედველობის მკვეთრი დაქვეითება იწვევს სიარულის, მეტყველების, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების შეფერხებას და ასევე პრობლემურ ქცევას. შემდგომში ეს შეფერხება, მთელი სიმწვავით, სკოლასა და სასწავლო პროცესში ვლინდება. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, მათი კოგნიტური და ემოციური განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, როგორც წესი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. იმისათვის, რომ მკაფიოდ დავინახოთ თუ რა იწვევს მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს, დეტალურად განვიხილოთ თითოეული შემეცნებითი ფუნქციის არსი და განვითარების თავისებურება მხედველობის დარღვევის შემთხვევაში.

სენსორული და მოტორული უნარები

სენსო-მოტორული სფერო აერთიანებს შეგრძნებებს და უხეში თუ ნატიფი მოტორული უნარების ფართო სპექტრს.

შეგრძნებებში (სენსორულ უნარებში) ერთიანდებიან ვიზუალური, სმენითი და ტაქტილური აღქმის უნარები. აღქმა –არის კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესი, რომლის დროსაც ხდება ფსიქიკაში რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა. აღქმა და შეგრძნება ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად, აღქმის ერთიანი პროცესის სახით არსებობს. ჩვეულებრივ პირობებში შეგრძნებას ადამიანი აღქმის გარეშე არც განიცდის. იმისთვის, რომ აღქმა განხორციელდეს, საგანმა სათანადო ნერვული დაბოლოებების ანუ რეცეპტორების გაღიზიანების მეშვეობით უნდა წარმოშვას ჩვენში სათანადო შეგრძნებები (ყნოსვა, მხედველობა, შეხება, გემო, სმენა და სხვ.) შეგრძნების აღმოცენების გარეშე, გარე

სინამდვილის საგანთა აღქმა შეუძლებელია. ადამიანი გარემოს გამღიზიანებლებს კი არ შეიგრძნობს, არამედ ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად, მოცემულ საგანთა სახით აღიქვამს; გარემოს რეალური ზემოქმედება რეცეპტორებზე სხვადასხვა მოდალობისა და ინტენსივობის შეგრძნებების სახით კი არ განიცდება, არამედ ჩვენს გარეშე მოცემული ობიექტური საგნების სახით; გარემოს კი არ შევიგრძნობთ – აღვიქვამთ.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებში (დარღვევის ხარისხის შესაბამისად), ვიზუალური აღქმის პროცესები შესაძლოა განვითარდეს ძალიან ნელა, არასრულად ან საერთოდ არ განვითარდეს. შესაბამისად, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები სამყაროს ძირითადად სმენისა და შეხების (ტაქტილური აღქმა) მეშვეობით შეიმეცნებენ.

სმენა

ნებისმიერი ჩვენთაგანი გარესამყაროს შესახებ ინფორმაციის დიდ ნაწილს სმენის მეშვეობით იღებს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, განვუვითაროთ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს ყურადღებით მოსმენის და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების უნარი.

ბგერები (ხმები), მიმართული მეტყველება არის ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო მხედველობის შეზღუდვის მქონე ყველა ბავშვისთვის. კარგი სმენითი აღქმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს გარემოში ორიენტაციის და სამყაროს შემეცნების საშუალებას აძლევს. ხმოვანი სტიმულების გაგება, სხვა გარეშე ხმებისაგან მათი გამორჩევა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება უნარ-ჩვევების რთულ იერარქიას გულისხმობს, რომლის ჩამოყალიბებასაც გამოცდილება და სწავლება სჭირდება. სმენითი ინფორმაციის ადვილად გამოყენებას ხელს უწყობს სმენისათვს კარგი პირობები და ხმაურის დონის კონტროლის შესაძლებლობა. ზედმეტად ხმაურიანი ან ზედმეტად ჩუმი გარემო ხელს უშლის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს სმენის გამოყენებით აღიქვან გარემოში მიმდინარე მოვლენები.

ვინაიდან მხედველობის დარღვევის შემთხვევაში, სმენით აღქმას ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში, სმენაზე ფოკუსირებული აქტივობების განხორციელება ადრეული ბავშვობიდან უნდა იწყებოდეს, ხმების ლოკაციისა და ამოცნობის უნარ-ჩვევების გასავარჯიშებლად. კონკრეტული ადგილებიდან მომავალი ისეთი, „ფიქსირებული“ ხმები, როგორიცაა მაგ. შემოსასვლელ კარზე დამაგრებული წკრიალა ზარი ან კარების თავზე განთავსებული საათის წიკწიკის ხმა, ხელს უწყობს ე.წ. „ათვლის წერტილის“ ჩამოყალიბებას. ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივ ხმებს, როგორიცაა გარედან შემომავალი ტრასპორტის ხმა, ჩიტების ჭიკჭიკი, ტელეფონის ზარი და სხვ. სხვადასხვა მოვლენების გასაცნობად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთი ხმების აუდიო ჩანაწერები, როგორებიცაა წვიმის, ჩანჩქერის, ჭექა-ქუხილის, ხერხის

და ა.შ. ხმები.

მოგვიანებით, სკოლაში და სწავლის პროცესში კარგი სმენითი პირობები მიიღწევა ორი ძირითადი გზით. პირველი ესაა საკლასო ოთახის უსარგებლო ხმებისაგან გათავისუფლება. საკლასო ოთახი, სადაც გარედან გამუდმებით შემოდის ტრანსპორტის ხმა, ხმაური სპორტული დარბაზებიდან, დერეფანში მოსიარულეთა ფეხის ხმა, ნაკლებად ეფექტურია სასწავლო პროცესისათვის. მეორე, ეს არის თავად ოთახში ხმაურის შემცირება. ცემენტის ქვის იატაკები, მაღალი ჭერი, ბლოკით ნაშენი კედლები და ხის საფარი აირეკლავს ხმას და აგრძელებს მის ჟღერადობას. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, დიდ სივრცეში შესაძლებელია ტიხრების საშუალებით ოთახში პატარა სივრცეების შექმნა, რბილი იატაკის დაგება და სქელი ფარდების დაკიდება.

საკლასო ოთახში ადგილის სწორი შერჩევა ასევე ეხმარება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს ყურადღებით მოისმინონ, სუსტი მხედვლობის მქონე ბავშვებს უნდა შეეძლოთ დაფაზე დაწერილის ადვილად წაკითხვა. მათთვის ასევე სასარგებლოა მოსაუბრესთან ახლო მანძილზე ყოფნა. საკლასო ოთახის ეფექტური მოწყობა გულისხმობს როგორც ვიზუალურ, ასევე სმენით ფაქტორებს, როგორებიცაა ინდივიდუალური მოსწავლეების საჭიროებას მორგებული განათება და აკუსტიკა.

ძალიან მნიშვნელოვანია თავად ბავშვები იყვნენ ჩართული იმის განსაზღვრაში, თუ რა უნდა გაკეთდეს მოსმენისა და დანახვის უკეთესი პირობების შესაქმნელად. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვისათვის შესაძლოა ნაკლებ მოსახერხებელი იყოს ღია სივრცის მქონე დიდი საკლასო ოთახი, სადაც რთულია სხვადასხვა ბგერითი სტიმულების ლოკალიზება. გაცილებით ეფექტურია ტიხრების საშუალებით დაყოფილი სივრცე, სადაც ამოცნობადი ხმების დახმარებით, მათ მარტივად შეუძლიათ ორიენტირება. მაგ. იღება საკლასო ოთახის კარი, ოთახში ვინმე შემოდის და მიდის კონკრეტულ ადგილამდე. ასევე ხმოვანი სიგნალით არის შესაძლებელი იმის მინიშნება, რომ საკლასო ოთახში სიარულისას არ დაეჯახოს მერხებს ან ფეხი არ წამოკრას რამეს.

ტაქტილური (შეხებით) აღქმა

ტაქტილური მგრძნობელობის ორგანო კანია. კანი უხვად არის მომარაგებული გაღიზიანების აღმქმელი რეცეპტორებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელებს არ შეუძლია საგნებისა და სივრცეში მათი განლაგების შესახებ მოგვცეს ისეთი ზუსტი ინფორმაცია, როგორც ეს თვალებს შეუძლია, შეხება მაინც არის ინფორმაციის ძალიან მნიშვნელოვანი წყარო მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის. სამწუხაროდ, გავრცელებულია მოსაზრება, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები ავტომატურად იყენებენ ხელებს და ტაქტილურ აღქმას საგნებისა და გარესამყაროს შესწავლისათვის, სინამდვილეში ეს ასე არ არის და მეტიც, ხშირად ბავშვები უარს ამბობენ მათთვის უცნობი საგნებისა და უჩვეულო შეგრძნებების აღქმაზე. და უნვითარდებათ „შეხებისგან თავდაცვის“ სინდრომი. შესაბამისად,

იმისათვის რომ ხელები და ტაქტილური აღქმა სამყაროს შემეცნების ეფექტურ სტრატეგიად გადაიქცეს, ბავშვს უნდა გაუჩინოთ ინტერესი და ვასწავლოთ შეხებისა და ტაქტილური აღქმის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ბავშვი ობიექტის ტაქტილურ შესწავლას. იმისათვის, რომ საგანი შეისწავლოს, ბავშვმა უნდა შეძლოს მისი მოძებნა, მისი მცირე ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირება და საგნის მთლიანი ხატის ჩამოყალიბება. ხელების გამოყენების სწავლება და ტაქტილური ცნობიერების სტიმულირება ადრეული ასაკიდან იწყება და გულისხმობს ბავშვის დაინტერესებას სხვადასხვა საგნებით, სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდებას ყველა საგანსა თუ ნივთზე, რომელსაც ხელში ვაძლევთ და ასევე, თავად ბავშვის სტიმულირებას შეხებით- სულის შებერვით, დავარცხნით, ხელის გადასმით, ასევე სხვადასხვა ტექსტურის მქონე მასალის შეხებით (ბუმბული, ველვეტი, ღრუბელი, ზეთი ან სხვ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტაქტილური აღქმის განვითარება იმ ბავშვებისთვის, ვისაც მხედველობის მძიმე დარღვევა აღენიშნებათ და მომავალში წერა-კითხვა ბრაილის შრიფტის გამოყენებით უნდა ისწავლონ. ბრაილის შრიფტის წარმატებულ ათვისებას თითების მოძრაობის სიზუსტე, სიძლიერე და მგრძნობელობა განაპირობებს. თითების სიძლიერის, აკურატულობისა და ტაქტილური მგრძნობელობის გავარჯიშება შესაძლებელია ისეთი ვარჯიშებით, როგორიცაა ხრახნის მოშვება- მოჭერა, მუშტის გაშლა და შეკვრა, ჭრა, სხვადასხვა სიმძიმის და ფაქტურის ბურთების ხელის კვრა, სხვადასხვა საგნების გამოცნობა და დახასიათება და ა.შ. თითების, ხელების და მაჯების მოქნილობის გავარჯიშება შესაძლებელია ასაწყობი სათამაშოების, კონსტრუქტორების, ასაწყობი კუბების, ღილაკების გამოყენებით. ტაქტილური მასალების თამაშის ფორმით გამოყენებისას, უმჯობესია ბავშვს ურთიერთობა ქონდეს უფროსებთან ან თანატოლებთან, რათა მიიღოს სიტყვიერი აღწერილობა ყველა იმ აქტივობისა, რომელსაც ახორციელებს.

ვიზუალური აღქმა

მიუხედავად იმისა, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის აღქმის პროცესები შესაძლოა განვითარდეს ძალიან ნელა, არასრულად ან საერთოდ არ განვითარდეს, აუცილებელია ბავშვის ნარჩენი მხედველობის განვითარებაზე ზრუნვა. რაიმე ხარისხის ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია მზერის სტიმულირება ადრეული ბავშვობიდანვე, მათთვის მისაწვდომი, ვიზუალურად საინტერესო გარემოს შექმნით. ყველა სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბავშვის წახალისება, სრულად გამოიყენოს ნარჩენი მხედველობა და უფრო ეფექტურად შეძლოს ვიზუალური გზით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება.

ძალიან პატარა ბავშვებისათვის, მზერის სტიმულირება შესაძლებელია ფონზე მაღალი კონტრასტით გამოკვეთილი საგნებისა და გამოსახულებების გამოყენებით. ახალდაბადებულ ბავშვებსაც კი ურჩევნიათ უყურონ ფერად, მოძრავ საგნებს და არა

ნაცრისფერ, გაშეშებულ, უფორმო ელემენტებს. ნათელი, კაშკაშა ფერების, მოძრავი და სასიამოვნო ხმების მქონე სათამაშო საწოლთან ისე უნდა ჩამოვკიდოთ, რომ ბავშვს მისთვის ხელის წავლება შეეძლოს. ბრჭყვიალა საახალწლო სათამაშოები, კაშკაშა ფერადი შუქი და თუნდაც ფანჯრებზე გაკრული ბრჭყვიალა ქაღალდი ბავშვის ყურადღების მიქცევის მნიშვნელოვანი სტიმულია. მოძრავი სათამაშოების დასამზადებლად შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადახვა წვრილმანი სამკაული, ლენტები, მძივები, ფოლგის ქაღალდი, ნიჟარები, ყვავილები და სათამაშოები. რასაც არ უნდა ვიყენებდეთ, საგნები ბავშვთან ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ ხელით ადვილად მიწვდეს. ბავშვის ზრდასთან ერთად საგნები შეიძლება განთავსდეს ისეთ დისტანციაზე, რაც ბავშვისაგან, მათ დასანახად, თვალისა და თავის გარკვეულ მოძრაობას მოითხოვს.

ბავშვის ყოველდღიური გარემო შეიძლება მარტივად შეიცვალოს და გახდეს ვიზუალურად საინტერესო. ადგილები, სადაც ბავშვები და მათი მშობლები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. მაგ. საბავშვო მანეჟი, საფენის გამოსაცვლელი ოთახი, შეიძლება ეფექტურად გაფორმდეს ბავშისათვის საინტერესო ფერადი საგნებით, კედლებზე მიმაგრებული ლამაზი ნახატებით, სათამაშოებით. შესაძლებელია მოძრავი სათამაშოებისა და ლამაზი ფერადი ბურთების დამაგრება ბავშვის საწოლზე, სასეირნო ეტლზე, თუმცა, როგორც ყველგან, აქაც დაცული უნდა იქნას ბალანსი. ბავშვის გარემო არ უნდა გადაიტვირთოს ზედმეტი ვიზუალური ინფორმაციით, ისე, რომ ბავშვი დაიბნეს და გაუჭირდეს რომელიმე ვიზუალური სტიმულის გამოკვეთა. ყველა ბავშვმა შეიძლება გამოარჩიოს რაიმე კონკრეტული საგანი, რაც განსაკუთრებით მოსწონს. ასე რომ მათი შერჩევა მხოლოდ „ცდისა და შეცდომის“ მეთოდითა შესაძლებელი. მთავარია გვახსოვდეს- ბავშვს მოწყონს კავშკაშა, მოძრავი, ბრჭყვიალა ფერები და სათამაშოები.

არსებობს მრავალი პრაქტიკული რჩევა, როგორ დავეხმაროთ ნარჩენი მხედველობის მქონე პატარა ბავშვებს მხედველობითი კონტაქტის დამყარებაში. ეს შეიძლება იყოს ფერად ჩარჩოიანი სათვალე, სასაცილო ქუდი, მოხატული სახე, მკვეთრი ფერის ტუჩსაცხი ან გრიმი - ყველაფერი, რაც ბავშვთან თამაშისას, თქვენი სახის ნაკვთებს გამოკვეთს და ბავშვს დააინტერესებს.

ბავშვის მზერის ფიქსირებისათვის ეფექტურია მანათობელი სათამაშოების (ბურთი, ვარსკვლავი) მიმაგრება ბავშის საწოლს ზევით, ჭერზე. მოძრავ ქანქარიანი საათი, მანათობელი, მბრწყინავი ნივთები, კაშკაშა შუქის მქონე სანათი, ხმოვანი სათამაშოები და თოჯინები - ყველაფერი ეს ის ნივთებია, რაც ბავშვის ყურადღებას იპყრობს.

სათამაშოებსა და ნივთებთან ურთიერთობისას საინტერესო მომენტი ის არის, რომ ყველა ბავშვი თავდაპირველად იწევს და ცდილობს ხელი წაავლოს ვიზუალური ეფექტის მქონე ნივთებს და მხოლოდ შემდეგ იწყებს რეაგირებას ხმოვან სათამაშოებზე. თვალი-ხელის კოორდინაციის განვითარება ყური-ხელის კოორდინაციამდე ხელს უწყობს კოორდინირებული წვდომის და შესაბამისი ლინგვისტური ცნებების გვიან ჩამოყალიბებას მხედველობის მქონე ზოგიერთ

ბავშვში. მაშინ, როდესაც მხედველი ბავშვები ცდილობენ ხელი წაავლონ ზოგადად ყველა საგანს, მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვი, გარკვეულ მომენტამდე, შესაძლოა არ იყოს მოტივირებული ხელი წაავლოს ხმოვან სათამაშოს. ბევრი ყოველდღიური მოხმარების საგანი არ გამოსცემს ხმას, მაშინ, ხოლო ყველა ხმა არ ნიშნავს, რომ მას შეიძლება ხელით შეეხო. (მაგ, მატარებლის ხმა, ძაღლის ყეფა მეზობლის ბაღიდან. ა.შ.). აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია ბავშვს დავეხმაროთ ხელი წაავლოს დანახულ საგნებს.

თვალის გაყოლების სტიმულირება შესაძლებელია საინტერესო ნივთების ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად გადაადგილებით, ბავშვის მხედველობის ზონის გასწვრივ. მაგ. სანათის შუქის მინათება კედელზე და ბავშვის წახალისება, ხელით ან ფეხით დაიჭიროს ანარეკლი. ნათელ ფერებში შეღებილი სათამაშოს შეტანა ბავშვის მხედველობის არეში, ხელმისაწვდომ მანძლზე. უფროსის მხრიდან სათამაშოს შესახებ გაკეთებული კომენტარი ხელს უწყობს ენის, მხედველობისა და ტაქტილური გამოცდილების თავმოყრას და ერთიან აზრობრივ მთლიანობად ჩამოყალიბებას. თვალის გაყოლების სტიმულირება ასევე შესაძლებელია მგორავი ბურთების, მოძრავი მატარებლის, ჰაერში მფრინავი ბურთების გამოყენებით.

მოტორული უნარები

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტორული განვითარების სტიმულირება, რადგან მათ უჭირთ საკუთარი მოძრაობის მართვა და გარემოს „გონებრივი (მენტალური) რუკის“ ჩამოყალიბება. გარდა ამისა, მოტორული უნარების განვითარების შეფერხება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის უნარზე შეასრულოს წერილობითი დავალება სკოლაში, დამოუკიდებლად განახორციელოს ყოველდღიური საქმიანობა ან უბრალოდ გამართულად იჯდეს სკამზე. დროთა განმავლობაში, მსგავსი შეფერხება გავლენას ახდენს ბავშვების მთლიან სასწავლო პროცესზე და შედეგებზეც.

მხედველობის დარღვევის მქონე ბევრი ბავშვისათვის აუცილებელია სისტემატური ფიზიკური ვარჯიშების, სივრცის აღქმისა და მობილობის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, ვინაიდან არსებობს მტკიცებულება, რომ მათ ნაკლებად მოქნილი სხეული და ცუდი ბალანსი აქვთ. ზოგიერთი მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვი, ასაკის მატებასთან ერთად, თავს ანებებს ფიზიკურ აქტივობებს, რაც მათ მობილობასა და ორიენტაციის უნარზე უარყოფითად მოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური აქტივობები უფრო სპეციალისტის სფეროდ მიიჩნევა, არსებობს სკოლის ფიზკულტურის კურიკულუმის მრავალი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ზოგად გაკაჟებას, მობილობის, კოორდინაციის, სივრცის აღქმისა და თავდაჯერებულობის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ თავად მასწავლებლები იკავებენ თავს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების ფიზიკურ აქტივობებში ჩართვისგან, რამდენადაც თავადაც არ არიან დარწმუნებული, როგორ წარმართონ პროცესი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ფიზიკურ აქტივობებში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ჩართვამდე, პირველ რიგში განხილული უნდა იქნას სამედიცინო საკითხები (მაგ. თვალის მდგომარეობა), ანურა შედეგი შეიძლება მოყვეს ბავშვის ფიზიკურ აქტივობას და სპორტული ინვენტარის გამოყენებას. რა თქმა უნდა უსაფრთხოების წესები დაცული უნდა იქნას ყველა ბავშვთან მიმართებაში, თუმცა მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს გაცილებით მეტი დრო სჭირდება, რათა აღიქვას ისეთი სივრცეები, როგორიცაა გასახდელი, სპორტული დარბაზი და მასში განლაგებული ინვენტარი ან მათთან მისასვლელად მნიშვნელოვანი ათვლის წერტილები. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლოა ცეკვა, ტანვარჯიში, ცურვა და სხვ.

ადრეული მობილობა და ფიზიკური აქტივობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ ფიზიკური სამყაროს შესახებ წარმოდგენებისა და ცნებების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული გულისხმობს ბავშვის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული სივრცეები და როგორი მდებარეობა აქვთ სივრცეში საგნებს. დამოუკიდებლობისა და მოტორული ფუნქციების განვითარებისთვის მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები მშობლებს ურჩევენ, ადრეული ასაკიდან ჩართონ ბავშვები ცურვის, ცხენით ჯირითის, თხილამურებით სრიალის აქტივობებში იმისათვის, რათა მათ გამოუმუშავდეთ თავდაჯერებულობა, მობილობა და პოზიტიური განწყობა ახალი გამოცდილებისადმი.

სკოლამდელი ასაკის მხედველი ბავშვების კოგნიტური განვითარებისთვისაც კი არ არის დამახასიათებელი ერთიანი „გონებრივი რუკების“ და სივრცითი წარმოდგენებისგააზრება. მხოლოდ დაკვირვებისშედეგად მიღებულიფრაგმენტების თანმიმდევრული გამთლიანების შედეგად ახდენენ ისინი რთული მარშრუტების აგებას. ნებისმიერ შემთხვევაში, „გონებრივი რუკების“ შემუშავება და სივრცის აღქმა გარკვეულ ათვლის წერტილებთან მიმართებაში უნდა ყალიბდებოდეს. იმისათვის, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მოტორული უნარები განვითარდეს და მათ შეძლონ გარემოში ეფექტური გადაადგილება, ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს მათი სტიმულირება და სხვადასხვა გარემოს შემეცნება. სახლის პირობებში, მშობლებმა უნდა გააცნონ ბავშვებს სახლში და მის ირგვლივ არსებული გარემო. სივრცეში გადაადგილების მარშრუტების სწავლებისას, ბავშვს ერთდროულად შეიძლება განუვითაროთ როგორც მსხვილი მოტორული უნარები, ასევე მხედველობითი უნარებიც. სივრცეში უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვებმა ისწავლონ ყველა შეგრძნების გამოყენება.

არსებობს ისეთი თამაშები და აქტივობები, რომელიც ახდენს ბავშვის სტიმულირებას გადაადგილდეს სივრცეში და განახორციელოს ფიზიკური აქტივობები. მაგ. შეიძლება ბავშვს შეუწყოთ ხელი გადაადგილდეს ოთახში და მოძებნოს რაიმე ნივთი, ან კედელზე გაკეთებული ნიშანი. ბაშვებს შეიძლება ვასწავლოთ მარტივი მარშრუტი ერთი კედლიდან მეორემდე, რათა მათ წინასწარ გაიაზრონ რა საგნები ხდებათ გზაში.

მეტყველების განვითარება

თუკი მიზნად დავისახავთ გამოვყოთ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასა და განათლებაში, ეს აუცილებლად იქნება ენა და მეტყველება. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განათლების უმნიშნელოვანეს საკითხს წარმოადგენს კავშირის დამყარება გამოცდილებას, მეტყველებასა და მთლიან კოგნიტურ განვითარებას შორის.

მხედველ და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს შორის დიდი განსხვავებაა სიტყვათა მნიშვნელობის აღქმაში. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების მიერ გარკვეული სიტყვების გამოყენებას ხშირად „ცარიელ ენას“ ან ვერბალიზმს უწოდებენ. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ისეთ აბსტრაქტულ ცნებებთან მიმართებაში, როგორებიცაა ფერების, სივრცის, მოძრაობის აღმნიშვნელი სიტყვები ან ისეთ შორს მდებარე საგნებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ჰორიზონტი, ღრუბლები, მზე, ცა და სხვ . თუმცა, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს შეუძლიათ სიტყვების მნიშვნელობისა და ცნებების კატეგორიების ჩამოყალიბება მათ მიერ აღქმული გამოცდილების საფუძველზე. უბრალოდ, ისინი განსხვავებულად ახდენენ ინფორმაციის განზოგადებას, კლასიფიკაციას და სიტყვის მნიშვნელობის გავრცობას სხვადასხვა სიტუაციაში.

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მხედველობის დარღვევი მქონე მოსწავლეების სწავლებისას არ უნდა შეზღუდოს ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა „შეხედე“, დაინახე“, ან რაიმე ფერის წარდგენა. უბრალოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს საჭიროა უფრო ზუსტი და მეტი განმარტების უზრუნველყოფა.

მეტყველებისა და კოგნიტური განვითარების ეფექტურ სტრატეგიად აღიარებულია ბავშვთან დიალოგი. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის კოგნიტურ განვითარებისთვის აუცილებელია უფროსისა და ბავშვის მუდმივი ურთიერთობა, სადაც უფროსი უზრუნველყოფს სიტუაციის მართვასა და კონტროლს - ინსტრუქციების, ბავშვის სტიმულირების, დაინტერესებისა და მოტივირების, შეკითხვებისა და საუბრის გზით.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების მაქსიმალურად სრული აღწერა და განმარტება. დიალოგის საშუალებით, ბავშვებს შეიძლება მივაწოდოთ ინფორმაცია გარემოში არსებული საგნების, მოვლენების, მსგავსებისა და განსხვავებულობის შესახებ, რის საფუძველზეც შემდგომში ხდება ცნებების ჩამოყალიბება. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ არასწორი ინტერპრეტაცია და გაუგებრობა, ბავშვებს უნდა ავუხსნათ მეტაფორის არსი, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი ფრაზების მნიშვნელობა, ხოლო ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით, ბავშვს სასურველია ვასწავლოთ ერთი სიტყვის ბევრი სინონიმი, ანტონიმი და რაც მთავარია, გამოვიყენოთ სიტყვები სხვადასხვა კონტექსტში. ლინგვისტური განვითარების და დახვეწის ეს პროცესი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ახერხებს უფროსი

დაეხმაროს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს, არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული ცნებების დაუფლებაში.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და-ძმები და თანატოლები. ისინი ეხმარებიან ბავშვებს რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ და განავრცონ მიღებული ცოდნა. იმისათვის, რომ სხვა ბავშვები აქტიურად ჩავრთოთ აღნიშნულ პროცესში, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები უნდა წავახალისოთ, თავად გახდნენ ურთიერთობის ინიციატორები.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მასწავლებელი ძირითად აქცენტს აკეთებს არა ახალი სიტყვების სწავლებასა და გამოთქმის სრულყოფაზე, არამედ ცდილობს დააკვირდეს, რა იწვევს მოსწავლის ინტერესს და აწვდის ბავშვს ვრცელ და ბავშვისთვის გასაგებ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე; ასევე ინტერესით უსმენს მოსწავლეს, ყოველთვის ინტერესდება რისი თქმა სურს ბავშვს, აძლევს მას საშუალებას გამოხატოს საკუთარი აზრი.

ბავშვისთვის სიტყვის არ მიცემა ან გაწყვეტინება, ბავშვის ნაცვლად საუბარი, არასაკმარისი დროის მიცემა პასუხის გასაცემად, დიალოგის დომინანტურად წარმართვა თავიდან უნდა იქნას აცილებული. ასევე არასასურველია ბავშვს დაუსვათ ზედმეტი შეკითხვები, განსაკუთრებით კი ხშირად განმეორებადი შეკითხვები, რისი პასუხიც ბავშვმა დიდიხანია იცის.

ქვემოთ გთვაზობთ რამდენიმე რჩევას ბავშვთან ეფექტური დიალოგის წარმართვისთვის:

- ✓ წინასწარ განსაზღვრეთ დიალოგის თემა;
- ✓ გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბაჭდილებები, განიხილეთ ბავშვისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები;
- ✓ გაუკეთეთ კომენტარი ბავშვების სწავლის პროცესს, დაინტერესდით იმით, რასაც ბავშვები აკეთებენ, დაეხმარეთ მათთვის საინტერესო თემების გავრცობაში, დაუკავშირეთ ისინი მათ უშუალო გამოცდილებას;
- ✓ ესაუბრეთ ბავშვებს, მიაწოდეთ მათ მოვლენათა სხვადასხვა ინტერპრეტაცია და აღწერილობა;
- ✓ გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის აზრის გაზიარება და ბავშვის ხედვის გათვალისწინება;
- ✓ წაახალისეთ ბავშვი იყოს ინიციატორი და თავად დასვას კითხვები;
- ✓ მოუსმინეთ, რისი თქმა სურს ბავშვს, მიეცით მას ნება წამოჭრას ახალი თემები, დააკვირდით მათ ინტერესებსა და მიდრეკილებებს.
- ✓ საუბრისას გამოიყენეთ ე.წ. სოციალური ინტერაქციის წამახალისებელი ფრაზები, მაგ. “ოჰ, ეს მართლაც საინტერესოა ....“
- ✓ დააზუსტეთ, განავრცეთ და პერიფრაზით თავიდან ჩამოაყალიბეთ ბავშვის მიერ გამოთქმული აზრი;
- ✓ ბავშვთან დიალოგისას ნუ შეეცდებით იყოთ დომინანტი, რიგ-რიგობით ისაუბრეთ;

✓ მოუყევით ბავშვს თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ, მაგ. „დღეს საკვირველი რამ შემემთხვევა“;

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესში ნაკლებად ეფექტურია:

✓ საგანგებოდ, კონტექსტისაგან განცალკევებით დაგეგმილი ლექსიკის ან გრამატიკის სწავლება. მაგ. „დღეს ჩვენ ვისწავლით იმ ნივთების სახელებს, რომელიც საკლასო ოთახში გვხვდება“

✓ კითხვის დასმა, რომლის პასუხიც უკვე იცის ბავშვმაც და თქვენც. მაგ. „რა ფერისაა საქართველოს დროშა“?

✓ ბევრი ღია კითხვის დასმა, მაგ. „რა გააკეთეთ ამ შაბათ-კვირას?”

✓ ძალდატანებით პასუხის მოთხოვნა ან პასუხის მრავალჯერადი გამეორებინება;

✓ ბგერის ან სიტყვის მრავალჯერადი გამეორება გამოთქმის გამოსასწორებლად: მაგ. „აბა უკეთ გამოთქვი ბგერა „ს“;

✓ ისეთი მექანიკური კითხვების და პასუხების გამეორება, რომელიც ინტერესს უკარგავს ბავშვებს: აქცენტი ყოველთვის უნდა გაკეთდეს მოსწავლის ჩართულობასა და გარე სამყაროთი დაინტერესებაზე. ყოველთვის ეცადეთ დააკავშიროთ ბავშვის აღქმა, გარე მოვლენები და ბავშვის უშუალო გამოცდილება.

სწავლების და ინტერაქციის დირექტიული (საკუთარი აზრის თავს მოხვევის) სტილი, ჩვეულებრივ აღმოცენდება მშობლებისა და მასწავლებლების ინტერესიდან, განუვითარონ ბავშვს მდიდარი ლექსიკა და ასწავლონ რაც შეიძლება მეტი საგნის და მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა. ოჯახური კონტექსტის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევებიდან გამოიკვეთა, რომ ხშირად ოჯახს უჭირს სწავლების ეფექტური სტრატეგიის გამოყენება. ზემოაღნიშნული კვლევებიდანვე ჩანს, რომ ხშირად, სახლში, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები იღებენ საგნების მხოლოდ მშრალ დასახელებას და ნაკლებად კეთდება აქცენტი მათ აღწერილობაზე, ინტერპრეტაციაზე და გარე სამყაროსთან ურთიერთკავშირზე. დისკუსიები არ არის ცნებების ფართო გაგებაზე ორიენტირებული, უფრო მეტად მიმართულია ბავშვის მყისიერი, ვიწრო ინტერესის დაკმაყოფილებაზე, ხოლო თავად ბავშვები ნაკლებად იჩენენ ინიციატივას, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ საკუთარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. პარადოქსულია, მაგრამ უფროსების მიერ წარმოებული დისკუსიები უფრო მეტად აფერხებენ, ვიდრე ამდიდრებენ ბავშვის გამოცდილებას, რაც იმითაა გამოწვეული, რომ აღნიშნულ დისკუსიებში, ბავშვებს უფრო პასიური, მხოლოდ მსმენელის როლი აქვთ.

არსებობს მრავალი რჩევა როგორ გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია ოჯახურ კონტექსტში. უპირველეს ყოვლისა, მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მაგ. ახალი სათამაშოს გაცნობისას, გაცილებით პროდუქტიული იქნება ბავშვს უთხრან არა მხოლოდ სათამაშოს სახელი, არამედ ვრცლად აღუწერონ მისი გარეგნული სახე,

განუმარტონ მისი დანიშნულება. ასევე, სასურველია ბავშვი აქტიურად იყოს ჩართული ყოველდღიურ საოჯახი აქტივობებში, რაც კიდევ ეფრო გააღრმავებს მის ინტერესს გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ.

მოკლე განმარტებებისა და ინსტრუქციების მიწოდების შემთხვევაში, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს ხშრად არასწორი შეხედულება უყალიბდებათ ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ. შესაძლოა მათ იცოდნენ საგნის სახელი, მაგრამ ვერ ახდენდნენ მისი დანიშნულების იდენტიფიცირებას. მაგ. გოგონას აუხსნეს, რომ სამზარეულოდან მომავალ ხმას მიქსერი გამოსცემდა. „ეს მიქსერია“ იმეორებდა ის ყოველთვის, როდესაც ეს ხმა ესმოდა. ცოტა მოგვიანებით, როდესაც მას აუხსნეს რას წარმოადგენს და როგორ მუშაობს მიქსერი, გოგონა ძალიან გაბრაზდა საკუთარ თავზე და იმაზე, თუ რა მცდარ ასოციაციას იწვევდა მასში სიტყვა „მიქსერი“.

მხედველი ბავშვებისათვის, ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს მხედველობა წარმოადგენს. ის მათ საშუალებას აძლევს უფრო განზოგადებულად აღიქვან საგანი ან მოვლენა. მაგ. „ვაშლი“ - შეიძლება სხვადასხვა სახით გვხვდებოდეს - ბაღში ხეზე, დაჭრილი თეფშზე, გამყიდვლის დახლზე და ა.შ. სახლის პირობებში, მხედველ ბავშვს ადვილად უყალიბდება დამატებითი ასოციაციები, მაგ. საწურში ვაშლის გაწურვით წვენის მიღება. რაც შეეხება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშებს, მათთვის სიტყვა „ვაშლი“-ს სწავლებისას მნიშვნელოვანია სიტყვიერად, განმარტებების გზით ჩამოვუყალიბოთ დამატებითი ასოციაციები. მაგ. ძლიერი შეზღუდვის დროს, სასარგებლო იქნება ბავშვი ხელით შეეხოს, დაყნოსოს, დააგემოვნოს, ჩაერთოს ისეთ პროცესებში, როგორიცაა ვაშლის კრეფა, დაჭრა, მისგან საკვების მომზადება. ამ გზით ბავშვის ცნობიერებაში ჩამოყალიბდება ის მრავალი ატრიბუტიკა, რაც სიტყვა „ვაშლს“ უკავშირდება.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან მსგავსი აქტივობების და ბავშვის განვითარების სტიმულირება ყოველდღიურ აუცილებლობაა, ვინაიდან მათი კოგნიტური განვითარების ყველაზე რთულ სფეროებს წარმოდგენს:

1. სამყაროს ფიზიკური აღქმა: საგნების მოძრაობა, მიზეზ-შედეგობრიობა;
2. სივრცის აღქმა: სივრცე და დრო;
3. გარშემო მყოფ ადამიანთა სოციალური როლების და ურთიერთობების აღქმა, რომ არაფერი ვთქვათ მსჯელობაზე მორალსა და პოლიტიკაზე.
4. ცნებების ფორმირება და მათი გამოყენება.

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ზემოთ მოყვანილი სირთულეების დაძლევა შესაძლებელია მშობლებისა და სკოლის მასწავლებლების ერთიანი ძალისხმევით. ურთიერთობისა და მეტყველების ენობრივი გარემო, რომელსაც სახლსა და სკოლაში ვიყენებთ, შეიძლება იყოს ინტენსიური და მრავალმნიშვნელოვანი, რაც უფროსებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, სიამოვნება მიიღონ ურთიერთობით და აზრების ურთიერთგაზიარებით. ყოველთვის, როდესაც ბავშვი პირველად მიდის სკოლაში,

(როგორც მხედველი, ასევე მხედველობის დარღვევის მქონე), ხდება უშუალოდ ბავშვზე ორიენტირებული ურთიერთობების სიხშირის, ხარისხის, ხანგრძლივობისა და მიზნების შესუსტება. ზოგიერთი ბავშვისათვის, ერთი კონტექსტიდან მეორეში გადასვლა საკმაოდ მტკივნეული პროცესია, თუმცა არსებობს სტრატეგიები, რომელიც ბავშვებსა და მათ მშობლებს ეხმარება ბარიერების დაძლევაში. მაგ. ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიას განეკუთვნება ერთობლივი ღონისძიებები (ექსკურსია, თამაშები, დისკუსიები და სხვ.), რომელიც არა მხოლოდ ბავშვის მობილობას და თავდაჯერებულობას უწყობს ხელს, არამედ საშუალებას აძლევს მშობლებს ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება არაფორმალურ ვითარებაში.

ახალ სასწავლო წელს, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სკოლაში პირველად მისვლას სასურველია წინ უსწრებდეს მოსამზადებელი ვიზიტი, რომლის დროსაც ბავშვი ეცნობა სკოლის შენობას და შიდა მოწყობას; მონაწილეობს კლასში ჩარიცხვის ფორმალურ პროცესში და ეცნობა მასწავლებელს. ზოგიერთი სკოლა ცდილობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს მოუძებნოს მეგობარი, რომელიც მას პირველ თვეებში დაეხმარება გარემოსთან შეგუებაში.

დაწყებით კლასებში კომუნიკაციისა და დიალოგის ეფექტურ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლის დღიური, რომელიც ყოველდღიურად სკოლიდან სახლში და სახლიდან სკოლაში მოძრაობს და მასწავლებლებს, მშობლებსა და ბავშვებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაზიარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

საკლასო ოთახში, ხშირ შემთხვევაში ბავშვებთან ურთიერთობის ფორმა დირექტიული დიალოგია. ვერბალური კომუნიკაციის გზით, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას, ინსტრუქციებს, ამოწმებენ რა იციან ბავშვებმა, აქებენ და ხელს უწყობენ მათი აზროვნების განვითარებას. როდესაც მასწავლებელი ცვლის დიალოგის ფორმას და გადადის უფრო არაფორმალური, ურთიერთობის მარტივი სტრატეგიების გამოყენებაზე (პირადი ისტორიები, განმარტებითი კომენტარები, მარტივი ენის გამოყენება), ბავშვები გაცილებით აქტიური ხდებიან და სპონტანურად ერთვებიან დიალოგში.

აკრძალვის ეფექტის მქონე სტრატეგიები გულისხმობს დიალოგის მიმდინარეობის შეწყვეტას, შეცდომების გასწორების ან კითხვის დასმის მიზნით. მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა კითხვა-პასუხი-უკუკავშირი, ანუ მასწავლებელი სვამს კითხვას, ისმენს მოსწავლეებისაგან პასუხებს და აკეთებს კომენტარს.

ძალისმიერ, მაღალ კონტროლირებად სტრატეგიებს ჩვეულებრივ იყენებენ ის მასწავლებლები, რომლებიც ცდილობენ დასვან რაც შეიძლება მეტი კითხვა, მყისიერად გამოასწორონ მოსწავლის შეცდომები და სწრაფი ტემპით წარმართონ სასწავლო პროცესი. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ ყველა მონაწილეს ძალიან ცოტა დრო ეძლევა საკუთარი აზრის გამოსათქმელად. ამავე დროს არსებობს განსხვავებული სტრატეგიებიც, როდესაც მასწავლებლები ცდილობენ ბავშვს მისცენ საკუთარი აზრის გამოთქმის, განმარტების, ილუსტრირების, მოსმენისა და დაგეგმვის საშუალება. ასეთ გარემოში ყალიბდება ატმოსფერო,

სადაც წახალისებულია ვარაუდების გამოთქმა და ურთიერთგაზიარების გზით ამოცანების გადაჭრა.

წერისა და კითხვის სწავლება

ინფორმაციის მიღება და მიღებული ინფორმაციით სარგებლობა მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლისთვის, მაგრამ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების ენისა და კონცეპტუალური განვითარების, ასევე მაქსიმალური საგანმანათლებლო შედეგების მიღწევისათვის, უდიდესი როლი ენიჭება წიგნიერების ადრეულ დაუფლებას.

თანამედროვე მიდგომა, კითხვასა და წერას განიხილავს როგორც ინტეგრირებულ პროცესს, რომელიც არ უნდა ისწავლებოდეს ბავშვის მიერ ენის და კომუნიკაციის ერთიანი კონტექსტიდან მოწყვეტილად. ადრეულ ასაკში ბავშვისთვის წიგნების, ზღაპრების, საბავშვო ლექსების კითხვა ეხმარებათ ბავშვებს დაუფიქრდნენ ენის სტრუქტურას, ორგანიზებასა და ფუნქციებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს სასაუბრო ლექსიკისა და ენის გაგების ჩამოყალიბებას. ადრეული წიგნიერება ასევე აყალიბებს იმ უნარ-ჩვევებს, რომელებიც ბავშვებს ეხმარებათ ისეთი საგნების ათვისებაში, როგორებიცაა ისტორია, მეცნიერება და მათემატიკა. უფრო მოგვიანებით, წიგნიერება ეხმარება ბავშვებს უკეთ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი და კომუნიკაცია, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურულ ღონისძიებებში.

სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის წიგნების გაცნობა უფრო ფრაგმენტულ და იშვიათ ხასიათს ატარებს, რაც იწვევს იმას, რომ ხშირად მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები სკოლაში საკმაოდ შეზღუდული ცოდნით მოდიან, ასევე არ აქვთ განვითარებული ასაკის შესაბამისი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ქცევა. როგორც წესი, მხედველი ბავშვები ბევრ წერილობით სიმბოლოს და ტექსტს ადრეულ ასაკში, შემთხვევით ეცნობიან სხვადასხვა დაწესებულებასა და ყოველდღიურ გარემოში არსებული სიმბოლოებისა და ნიშნების მეშვეობით. მაგ. სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხედავს ბორჯომის ბოთლს და წარწერის დანახვაზე ცდილობს ამოიკითხოს სიტყვა „ბორჯომი“. სხვა შემთხვევაში, იგივე ბავშვი, მაღაზიის დანახვაზე ამბობს „მარკეტი“ და ა.შ. მხედველ ბავშვებში, ნაბეჭდი სიტყვების, მათი გამოყენებისა და მნიშვნელობის გააზრება ხდება ყოველდღიურ გარემოში, პრინციპით „აქ და ახლა“. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის წიგნიერების სწავლება კი მიზანმიმართული პროცესია და ძირითადად სახლში იწყება.

სახლის პირობებში, წიგნიერების განვითარებაზე მიმართული გარემო გულისხმობს რესურსების მრავალფეროვნებას, მაგ. დიდი შრიფტით ნაბეჭდი წიგნები, იარლიყები, „ხმოვანი და მულტისენსორული წიგნები“ და ტაქტილური მასალები. კითხვისათვის, მასწავლებლები ურჩევენ ე.წ. „წიგნების ჩანთას“ სადაც მოთავსებულია წიგნებში დახატული სურათების შესაბამისი სათამაშოები და

საგნები. ასევე ეფექტურია ე.წ. ტაქტილური წიგნები, რომლის გვერდებზეც ადვილად წებდება სხვადასხვა საგნები. კითხვის აქტივობისათვის სასურველია სხვადასხვა ტექსტურის მასალების გამოყენება.

ერთობლივი კითხვის დროს ყურადღება უნდა დაეთმოს თავად წიგნთან ურთიერთობას, მაგ. ბავშვს უნდა ვასწავლოთ როგორ დაიკავოს წიგნი, გადაშალოს გვერდი, იცოდეს სად არის გვერდის მანიშნებელი ციფრი, სურათი ან ტექსტი. მხედველობის ძლიერი დარღვევის შემთხვევაში, სასურველია სახლში, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნების კითხვის სწავლებისთვის მოსამზადებელი აქტივობების განხორციელება. ეს შეიძლება იყოს ხატვისა და ამობურცული ხაზების გასაკეთებელი საწერი საშუალებების გამოყენება. ასევე შესაძლებელია ბრაილის საწერი მოწყობილობის გაცნობა და ე.წ. „წერტილებიანი სურათის“ დახატვა. ვარჯიში უნდა მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ბრაილით დაწერილი ტექსტისათვის ხელის გაყოლება, ცარიელი სივრცეების ამოცნობა, ხაზებს შორის ინტერვალების გაკეთება და ა.შ.

სასარგებლოა ბავშვისათვის ბრაილის ან გადიდებული შრიფტით ისეთი ტექსტების გაცნობა, რომელიც ოჯახის ყოველდღიურ აქტივობას უკავშირდება, მაგ. შესაძენი პროდუქტების სია, რეცეპტები, მოსაწვევი და სამადლობელი ბარათები და ა.შ. ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში, კითხვისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას სწორედ გარკვეული ინტერაქციის, კომუნიკაციის ამსახველი ტექსტის კითხვის გამოცდილება განაპირობებს.

ბავშვისთვის წიგნების კითხვისას, სასურველია დრო დავუთმოთ მთავარი მოქმედი პერსონაჟებისა და შინაარსის განხილვას, საუბარს იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს სიუჟეტი მომავალში და კიდევ რა შეიძლება, რომ მოხდეს ზღაპარში ან მოთხრობაში. კითხვისას ბავშვებს ხშირად სურვილი უჩნდებათ გადავიდნენ ტექსტის იმ მონაკვეთზე, სადაც გარკვეული ამბები ხდება. ეს შესაძლოა სასარგებლო იყოს იმისათვის, რომ ბავშვის ყურადღება მივაპყროთ კონცეპტუალურ მომენტებზე, მაგ. როგორიცაა განსხვავება ზოოპარკში მცხოვრებ და საბავშვო წიგნებში მოლაპარაკე ცხოველებს შორის.

საგანმანათლებლო თვალსაზრისით ბრმა (უსინათლო) ბავშვებისთვის, კითხვისა და წერის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ბრაილი. ბრაილის გამოყენება ხშირად ხდება კლასში, სადაც სხვა მხედველი ბავშვები ჩვეულებრივად კითხულობენ და წერენ. მთავარია გვახსოვდეს, რომ ბრმა ბავშვს (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) ესაჭიროება დამატებითი დახმარება ბრაილის გამოყენების ისეთი უნარ-ჩვეების ათვისებაში, როგორებიცაა თითების სისხარტე და ნატიფი ტაქტილური მგრძნობლობა. ბრაილის ზოგიერთი ტექნიკური სახის საკითხის ასახსნელად ხშირად საჭირო ხდება სპეციალური განათლების პედაგოგის ჩართვა.

საკითხავი რესურსების გამრავალფეროვნებას ხელს უწყობს დიდი შრიფტითა და ბრაილით ნაბეჭდი წიგნების არსებობა. საკითხავი გარემო უნდა იყოს მიმზიდველი, წიგნები კარგად ორგანიზებული და დალაგებული. კონტრასტული ფერების, ტექსტურების, განათებისა და ეტიკეტების (როგორც ნაბეჭდი, ასევე ბრაილით)

საშუალებით წიგნების განლაგება ეხმარება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს ადვილად მოიძიონ მათთვის სასურველი ჟანრი, ავტორი ან თემა. თავად წიგნების შერჩევის კრიტერიუმი უნდა ითვალისწინებდეს მასში წარმოდგენილი ტექსტის ხარისხს, ბავშვების ინტერესებსა და მიდრეკილებებს. 5 დან 11 წლამდე ბავშვებისთვის აუცილებელია წიგნების შერჩევა მათი ასაკობრივი ინტერესების და ცოდნის გათვალისწინებით.

კითხვისგან სიამოვნების მისაღებად და დამოუკიდებლად კითხვის ბავშვისთვის შესაყვარებლ, სასურველია საყვარელი საკითხავი ლიტერატურის, მაგ. ტაქტილური სურათების მქონე წიგნების კოლექციის შეგროვება. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს დისკებზე, ფირებზე ჩაწერილი წიგნები და ყურსასმენები წარმოადგენენ . „დიდი წიგნები“ კი ამ მოსწავლეთა საერთო საკლასო აქტივობებში ჩართვის საშუალებას იძლევა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შესაძლებლობის უზრუნველყოფას ისეთი ერთობლივი აქტივობებისათვის, როგორიცაა ერთობლივი ან წყვილებში კითხვა, ერთმანეთის წერითი დავალებების განხილვა. წიგნიერებასთან დაკავშირებულ ყველა აქტივობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო გარემო იყოს ინკლუზიური ყველა ბავშვისთვის.

წერითი აქტივობებისათვის გამოყოფილ გარემოში უნდა იყოს მოსახერხებელი სამუშაო ზედაპირი, კარგი განათება, საწერი მასალების მრავალფეროვანი არჩევანი - ფერადი ფურცლები, ბარათები, სტეპლერი, წებოვანი ლენტი და დამჭერები, საჭიროების შემთხვევაში ბრაილით საწერი მოწყობილობა ან ბრაილის საბეჭდი აპარატი, რომელიც ბეჭდავს ბავშვის მიერ ბრაილზე აკრეფილ ტექსტს.

ასოების გამოყვანა და ხელწერა შეიძლება პრობლემური იყოს მხედველობის სხვადასხვა დარღვევის დროს, მაგ. ნისტაგმი და მხედველობის ვიწრო ველი, უშლის ხელს მთელი სიტყვის დანახვას. ასეთ შემთხვევაში ბავშვს შეიძლება დაეხმაროს მუქი ხაზები ფურცელზე.

ემოციური და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება

ახალდაბადებული ბავშვისთვის, პირველ სოციალურ კონტაქტს დედასთან ურთიერთობა წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ადრეული ინტერაქციის ორმხრივი პროცესი ძირითადად დამოკიდებულია მხედველობაზე. ჩვილის ყურადღების მიქცევა, ორმხრივი მხედველობითი კონტაქტი, ჟესტებისა და მოძრაობის იმიტაცია, ბავშვის სურვილების ამოკითხვა და საუბარი ეს ის ურთიერთგაზიარების კონტექსტია, რომელსაც ხშირად მოკლებული არიან მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები და მათი მშობლები.

ბავშვის ემოციური განვითარების საწყის პერიოდს ახასიათებს შეზღუდული რაოდენობის, ეგრეთწოდებული, საბაზისო თანდაყოლილი ემოციები, რომლებსაც იგი თანდათან ავლენს. ამ ემოციათა რიცხვს მიეკუთვნება შიში, უკმაყოფილება, განრისხება, სიხარული, გაკვირვება და რიგი სხვა. მათ სპეციფიკური სიტუაციები

იწვევს და ხასიათდებიან შესატყვისი (გამოსაცნობი) მიმიკური გამომეტყველებით და ქცევით. მაგალითად, ბავშვის მოძრაობაში ან ქმედებაში ჩარევა იწვევს მის განრისხებას და ამ ემოციას თან მოჰყვება შესატყვისი მიმიკა და ქცევა.

ბავშვი თანდათანობით იწყებს შიდა და გარე გამაღიზიანებლების ანალიზს, მას უჩნდება გარშემო არსებული გარემოს რეალობის აღქმა. განსაკუთრებულად ის აღიქვამს დედასთან ურთიერთობას. დედა მისთვის წარმოადგენს არსებას, რომელსაც ის უკავშირებს დადებითი ზეგავლენების შეგრძნებასა და უარყოფითების მოცილებას. დედის მიმართ მისი დადებითი რეაქცია გამოიხატება ღიმილით, ჩუმი, სიხარულით აღსავსე ბგერების გამოცემით, ხელების მოძრაობებით. ამ რეაქციას სპეციალისტთა ნაწილი პირობითად ეძახის "გამოცოცხლების" რეაქციას, მას დიდი მნიშვნელობა გააჩნია ბავშვის შემდგომი ფსიქიკური განვითარების პროცესში: ბავშვი ავითარებს ემოციურ კონტაქტს გარშემო მყოფ ადამიანებთან, ყურადღებით აღიქვამს მათ ხმებსა და ქმედებებს, ის იძენს ბავშვურ გამოცდილებას და მას უჩნდება მეტყველების განვითარების წინაპირობები.

ორი თვის ასაკიდან ბავშვი ღიმილით გამოხატავს, რომ იცნო დედა ან ახლობელი ადამიანები, ხოლო ექვსი, შვიდი წლის ასაკში ის ღიმილით გამოხატავს მხოლოდ მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანების დანახვას, უცნობებს კი უკვე თავშეკავებულად ხვდება. უცნობი ადამიანის გამოჩენამ მის სიახლოვეს შესაძლებელია შიშიც კი გამოიწვიოს.მსგავსი ქცევა ადასტურებს სოციალურად მნიშვნელოვანი უნარის არსებობას - განასხვავოს "ახლობელი" და "უცხო".

ერთ წლამდე ასაკის ერთად მყოფი ორი ბავშვი, როგორც წესი, საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ერთმანეთს. არც ორი წლის ასაკის ბავშვის თამაში წარმოადგენს თავისი არსით ერთობლივ ქმედებას და თითოეული მათგანი თავისთვის, ცალკე თამაშობს, მხოლოდ მოგვიანებით, სამი-ოთხი წლისთვის, თამაში ნელ - ნელა ხდება სოციალურად ორიენტირებული. მაგალითად, საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვი მარტო თამაშს შედარებით ნაკლებ დროს უთმობს და დიდხანს თამაშობს სხვა ბავშვებთან ერთად. ანუ ამ ასაკში მათ უკვე უჩნდებათ ერთობლივი და ჯგუფური თამაშის სურვილი. წინა სასკოლო ასაკში თამაშების სოციალური სტრუქტურა უფრო რთულდება და ამ თამაშებში წარმოჩნდება ბავშვების სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება.

ადრეულ სასკოლო ასაკში ბავშვის ფსიქიკა აღზრდის და სწავლების მეშვეობით აგრძელებს განვითარებას. სწავლების ზეგავლენით იზრდება და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ხდება ბავშვის გამოცდილება. ამ ეტაპზე ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე და ბავშვის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს წინა ეტაპებზე დაგროვებული გამოცდილება. მისი ქცევა და მოქმედება ხდება უფრო გააზრებული. ბავშვები სწავლობენ უფროსების მიერ აკრძალული ან თანატოლებში მიუღებელი ქცევისგან თავშეკავებას. იზრდება ემოციათა მრავალფეროვნება და მათი სირთულე. განსაკუთრებულად იკვეთება "მეორე სასიგნალო სისტემის" - სიტყვის როლი ბავშვის მიერ გარემოს შესწავლის პროცესში, მის ქცევასა და მოქმედებაში.

უდავოა, რომ ბავშვები სწავლას იწყებენ გაცილებით ადრე ვიდრე სკოლაში

წავლენ, მაგრამ სასკოლო ასაკამდე სწავლა არ წარმოადგენს მათ დამოუკიდებელ ქმედებას: საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში, ადამიანებთან და საგნებთან ურთიერთობაში, ბავშვი უფროსი ადამიანის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სკოლანდელი ასაკის სწავლების პროცესი, რა თქმა უნდა, რთული ხასიათისაა. აქ ახალი ინფორმაციის (მასალის) აღქმასთან ერთად თამაშსა თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ბავშვს უყენებენ ახალ სასწავლო ამოცანებს, როგორიცაა, მაგალითად, დიდაქტიკური ხასიათის თამაშები და დავალებები. მაგრამ ამ ეტაპზე სწავლა ჯერ კიდევ არ არის ბავშვის მთავარი მოვალეობა და ცხოვრების ძირითადი შინაარსი. ეს თავისთავად იცვლება სასკოლო სწავლის პროცესში ჩართვისთანავე. ბავშვის გარემოში არსებული საგნებისა თუ მოვლენების თაობაზე ზოგადი და კონკრეტული წარმოდგენებიდან მის წინაშე დგება თვისობრივად ახალი ამოცანები: ბავშვი უნდა დაეუფლოს მეცნიერების საწყის საფუძვლებს, მეცნიერულ ცნებათა განსაზღვრულ სისტემას. ბავშვის სწავლა უკვე არ წარმოადგენს მხოლოდ მის პირად საქმეს, ის იძენს უფრო მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო დანიშნულებას. სწავლის პროცესი, მოთხოვნები, რომლებსაც უყენებს ბავშვს სკოლა, დიდ წილად განსაზღვრავენ ცვლილებებს მის კოგნიტურ განვითარებაში.

ემოციური და სოციალური უნარების მსგავსი განვითარება მხედველი ბავშვებისთვის არის დამახასიათებელი. მხედველობა ხელს უწყობს ადრეული ინტერაქციის სპონტანურობას და კანონზომიერ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების ემოციური და სოციალური განვითარებაც იგივე კანონზომიერებას უნდა იმეორებდეს, ხშირად, მხედველობის ღრმა დარღვევის მქონე ბავშვები, მათთან მიახლოებასა და საუბარზე სიჩუმით რეაგირებენ. ზოგჯერ კი გარკვეული ხმების გამოცემით, თავის ან კიდურების მოძრაობით, ისინი გამოხატავენ ინტერესსა და სიამოვნებას. მხედველობითი კონტაქტის გარეშე, შესაძლოა ეს სიგნალები არავისადმი არ იყოს მიმართული, თუმცა მშობლებს შეუძლიათ „მოერგონ“ ბავშისაგან მიღებულ სიგნალებს და უპასუხონ მათ იმავე გზით, იქნება ეს ბგერების გახმოვანება, შეხება თუ ხელის მოხვევა. ზოგჯერ მშობლები ამბობენ, რომ მათი ჩვილები თავიდან არ რეაგირებენ მიახლოებაზე, ღიმილსა და ღუღუნზე, ხელში აყვანაზე, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ყურადღებით დაკვირვებისას ისინი ამჩნევენ ბავშვის რეაქციებს ისეთ სენსორულ სტიმულებზე, როგორიცაა სუნი, ხმები, შეხება და გაცილებით ადვილად „კითხულობენ“ ბავშვისგან მომავალ ინტერესისა და სიამოვნების გამოხატვის სიგნალებს.

სოცალური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ ჩვილი ბავშვი ძალიან სწრაფად აღიქვამს საკუთარ თავს და საკუთარ სხეულს ნებისმიერ კონტექსტში. უმეტესობისთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს მხედველობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დაინახონ ურთიერთკავშირი საგნებს შორის, გამოყონ საკუთარი სხეული სხვა ადამიანებისაგან და აღიქვან საკუთარი თავი სახლში, თუ გარე სამყაროში. უნდა ითქვას, რომ

აკვირდება რა სხვა ბავშვებისა და უფროსი ადამიანების სხეულის მოძრაობას, ბავშვი აღნიშნულ გამოცდილებას თავისთავად, ბუნებრივად აგროვებს.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი კი გამოცდილების თანდათან დაგროვებით აღიქვამს საკუთარ თავს სივრცესთან მიმართებაში და აღიქვამს მის გარშემო მყოფი საგნების კონტურებს. განვითარების კანონზომიერების მკვლევარი, პიაჟე, მიიჩნევს, რომ ბავშვი ასეთ გამოცდილებას მხოლოდ საკუთარი ფიზიკური აქტივობის გზით აღწევს. პიაჟეს ეს მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან მიმართებაში, რადგან მათ შემთხვევაში, ადრეული სწავლების უზრუნველსაყოფად, ვიზუალური დაკვირვება ჩანაცვლებული უნდა იქნას ფიზიკური აღქმნით.

წარმოდგენილ მასალაში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ რა გავლენას ახდენს მხედველობის დარღვევა ბავშვის განვითარების პროცესზე; ხაზი გავუსვით იმ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აისახება ბავშვის მიერ საგნებისა და გარემოს აღქმაზე, მათ შორისაა საგნების წვდომა, ხელის წავლება, სივრცის თვალიერება და იმის გაცნობიერება, რომ გარშემო მრავალი საგანი არსებობს თავისთავად და მუდმივად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის არ არიან მხედველობის უშუალო ველში. ვიზუალური და ტაქტილური დაკვირვების გზით, მოსწავლეთა უმეტესობა სწავლობს გარშემო არსებულ სივრცეს, ხვდება საკუთარი ქცევის მიზეზ-შედეგობრიობას და ანსხვავებს მნიშვნელოვან სტიმულებს მოვლენათა ერთობლიობიდან. სწორედ საკუთარი თავის სხვებისაგან დეფერენციაცია და რაც მთავარია, მიზეზ - შედეგობრიობის აღქმა არის აზროვნების საწყისი სტადია, როდესაც ჩვილი იწყებს გაცნობიერებას, როგორ აისახება მისი ქცევა გარე სამყაროზე.

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების აღწერა და სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობა

მხედველობის დარღვევების უმეტესობა დაბადებიდანვე ან პირველივე თვეებიდან ვლინდება. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდვა მკაფიოდ არ ვლინდება ბავშვის სკოლაში წასვლამდე, სადაც ის ნეგატიურად აისახება ბავშვის ქცევასა და აკადემიურ მოსწრებაზე.

ქვემოთ მოყვანილ სიმპტომებს ხშირად ავლენენ ის ბავშვებიც, რომელთაც არანაირი დაზღვევა არ აქვთ. დაკვირვება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს არა მხოლოდ შეზღუდვის მქონე ბავშვები, არამედ ისიც, ხომ არ აღენიშნება სხვა მოსაწავლეებს მხედველობის რაიმე ცვლილება. ასეთი სიმპტომებია:

- შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მკვეთრი ცვლილება;
- გადაღლის გრძნობა სამუშაოს შესრულებისას ამ მისი შესრულების შემდგომ;
- კითხვის გაუარესება ხანგრძლივი დროის შემდეგ;
- ყურადღებისა და კონცენტრაციის მოკლე ინტერვალი, განსაკუთრებით მაშინ, თუ აქტივობები მთელს კლასში ხორციელდება.
- ხელი-თვალის მოუქნელი კოორდინაცია;
- ძალიან ახლოს ჯდება ტელევიზორთან ან კომპიუტერის მონიტორთან;
- შეცდომები კითხვასა და წერაში, განსაკუთრებით ბორძიკი და სიტყვების გამოტოვება;
- გრძელი სიტყვების წაკითხვის გაძნელება;
- შეცდომები ისეთი ასოების წერაში, როგორიცაა „ხ“ „ძ“ „წ“ „შ“;
- ხაზებზე ასოების არასწორი განლაგება;
- პატარა, წვრილი ასოებით წერა, ცუდად დაცული ინტერვალებით;
- ნაწილობრივ მოხაზული ან არასწორი თანმიმდევრობით დაწერილი ასოები;
- საკუთარი ნაწერის წაკითხვის გაძნელება;
- დაფიდან ან რვეულიდან სწორად გადაწერის პრობლემა;
- კითხვის ძალიან დაბალი ტემპი, ტექსტზე თითის გაყოლება თვალის ფოკუსის შესანარჩუნებლად.
- კითხვის დროს ტექსტის ხშირი არევა;
- მოუსვენრობა და ინტერესის დაკარგვა ხანგრძლივი საკლასო სამუშაოსადმი;
- ცუდი ხარისხით დაბეჭდილი სამუშაო ფურცლიდან დავალების ამოკითხვის გართულება;
- წერითი სამუშაო, რომელიც არ გამოხატავს ბავშვის ზეპირ შესაძლებლობას,

ბავშვის ასაკის მიუხედავად, მხედველობის შეზღუდვაზე ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში, აუცილებელია სრული გამოკვლევის ჩატარება.

რამდენადაც მხედველობის გარკვეული ხარისხით გაუმჯობესება შესაძლებელია, აღნიშნული ინფორმაციის ცოდნა მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული მახასიათებლების მქონე ბავშვებთან მუშაობისას.

პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც ბავშვები დანიშნულებისამებრ არ ატარებენ მათთვის გამოწერილ სათვალეს ან კონტაქტურ ლინზას. ბავშვებში მხედველობის შეზღუდვაზე საუბარია მაშინ, როდესაც საუკეთესო კორექციის პირობებში, მათი მხედველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ახლო ან შორსმხედველობის სიმახვილის ნორმალურ მაჩვენებლებს.

ძალიან მნიშნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, როდის უნდა იყენებდეს ბავშვი სათვალეს. შესაძლო ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ის რჩევას უნდა იღებდეს ოპტომეტრისტისაგან. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებლად მითითებული უნდა იქნას მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

მოცემულ ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ პრაქტიკულ სტრატეგიებზე, რომლის გამოყენებითაც, მშობლებსა და მასწავლებლებს

შეუძლიათ შექმნან ოპტიმალური სასწავლო გარემო მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის.

გონივრულად ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შეუძლია ხელი შეუწყოს კურიკულუმის მეტ მისაწვდომობას მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისათვის. ზოგჯერ სასწავლო შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია უკეთესი სმენითი, ფიზიკური განთავსების პირობების შექმნითა და დიფერენცირებული სტრატეგიების გამოყენებით. სხვა შემთხვევებში, დამხმარე საშუალებებისა და სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ გაცილებით მეტ აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა.

მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში ხშირად ჩნდება კითხვები, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი აქტიური ჩართვა მობილობის, თამაშის, მეტყველებისა და სწავლის პროცესში. განვითარების ასპექტები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და დიდად არის დამოკიდებული მხედველობის გზით მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. როდესაც ბავშვს აქვს მხედველობის პრობლემები, იგი შეზღუდვით იღებს იმ ინფორმაციას, რომელიც სამყაროსა და მასში საკუთარი იდენტობის აღქმისათვის არის აუცილებელი. ამ დროს, იზოლაციის დაძლევაში მნიშნელოვანი როლი ეკისრება ბავშვის გარშემო მყოფ უფროს ადამიანებს, რომელთაც ფაქტიურად ხიდის როლი უნდა შეასრულონ ბავშვსა და გარე სამყაროს შორის. ყურადღებიანი მშობელი ახერხებს ბავშვს მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია და ჩამოუყალიბოს გარემოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი შეგრძნების სხვა მოდალობების გააქტიურებით და სიახლეებთან ასიმილირებისათვის მეტი დროის დათმობით. ადრეულ სტადიებზე, მშობლებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ გაამდიდრონ მოსწავლის გამოცდილება სხვადასხვა სენსორული სტიმულების გამოყენებით, როგორიცაა ხმები, სუნი, ტექსტურა და ფორმები. უფროსებს შეუძლიათ მიზანმიმართული ვერბალური ინტერპრეტირება გაუკეთონ ყველაფერს, რაც ბავშვების გარშემო ხდება.

მხედველობა დიდი როლს ასრულებს დამოუკიდებელ სწავლაში. მხედველი ბავშვები უწყვეტად სწავლობენ მოვლენების, ადამიანებისა და საკუთარ მოქმედებების შესახებ იმ გარემოზე დაკვირვებით, რომელიც მათ გარშემოა. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებს კი ნაკლები შესაძლებლობები აქვთ დააკვირდნენ, რას აკეთებენ ადამიანები მათ გარშემო, როგორ იქცევიან ისინი ამა თუ იმ სიტუაციაში და როგორ რეაგირებენ სხვათა ქცევაზე. დროთა განმავლობაში, ასეთი შეზღუდვა გავლენას ახდენს ბავშვების სასწავლო შედეგებზეც.

დღეს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე სპეციალურ სკოლაში, მხედველობის მქონე ბავშვებთან მომუშავე ყველა მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა დროულად გამოავლინოს, შეაფასოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და დაგეგმოს სასწავლო პროცესი აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩართულია სრული დღით ან გარკვეული დროით, მის ყველა მასწავლებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის გარემოებები,

რაც ამ მოსწავლის სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. გამოცდილება ადასტურებს, რომ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ორგანიზებული გარემო, დადებითად აისახება კლასში მყოფ ყველა ბავშვზე.

ყველა ბავშვი, მათ შორის მხედველობის შეზღუდვის მქონე, რეაგირებს ისეთ გარემო ფაქტორებზე, როგორიცაა განათება, სმენადობა, ოთახის ორგანიზება და ვიზუალური მხარე. საკლასო ოთახში კარგი სმენადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის, რომელთათვისაც ინფორმაციის სმენით აღქმას დამატებითი მნიშვნელობა აქვს. ისეთი ზოგადად გავრცელებული ხმა, როგორიცაა საათის წიკწიკი, შესაძლოა გარკვეული ორიენტირის როლს ასრულებდეს ბავშვისთვის. ასევე გასათვალისწინებელია, რომ დიდ სივრცეებზე მეტად ეფექტურია შედარებით პატარა, ნაცნობი განლაგების ოთახი, სადაც ინახება საჭირო რესურსები და დროდადრო ხდება მათი გადანაცვლება.

სასწავლო გარემოს გარდა, უმნიშნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვისათვის კურიკულუმის მისაწვდომობა. მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ის ერთმანეთს დაუკავშიროს სხვადასხვა საგნის ცნებები და მიაწოდოს მოსწავლეს მისთვის მარტივად აღსაქმელი გზით. რა თქმა უნდა, პირველ რიგში აქ იგულისხმება ვერბალური კომუნიკაცია, ხელების (ჟესტის) გამოყენება, განმარტებებისა და აღწერილობების მიწოდება; ასევე, ამა თუ იმ საგანში წარმოდგენილი მასალის „გაცოცხლება“ სხვადასხვა სენსორული მოდალობის გამოყენებით (ყნოსვა, ტექსტურა, ა.შ.) ხშრად დგება პატარა ჯგუფებში და ცალკე საკლასო ოთახში დამატებითი მუშაობის საჭიროება.

სასწავლო გარემო

მოსწავლეები გაცილებით მეტს სწავლობენ, როდესაც მათ ჯგუფურ თამაშებსა და აქტივობებში ჩართვას კრეატიული ხასიათი აქვს. პირველ რიგში, ისინი სიამოვნებას იღებენ სოციალური კონტაქტებიდან, სწავლობენ სხვებთან ურთიერთობას, მათი საჭიროებებისა და ხედვების გაზიარებას. ამავე დროს, ისინი აქტიურად ხდებიან ჩართული მათ გარშემო სამყაროს სხვადასხვა ასპექტებსა და ფიზიკურ აქტივობებში, ეცნობიან ყოველდღიურ ცხოვრებას და ყველაფერ იმას, რაც მათ გარშემო აკრავთ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი კომუნიკაციისათვის იყენებენ ენას, სწავლობენ თამაშის წესებს და საკუთარ აზრს გამოთქვამენ. ყოველივე აღნიშნული კი ხელს უწყობს მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებს, შეაბიჯონ წარმოსახვით სამყაროში და მათი თანატოლების მსგავსად მოირგონ სხვადასხვა როლები.

მხედველობა, თამაშის პროცესში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სხვათა ქცევების მოდელირება და იმიტაცია საჭიროებს ქცევაზე დაკვირვებას. სხვადასხვა ნივთების გამოყენება რეალურად არსებული საგნების (მაგ. ყველგანმავალის აგება სამშენებლო კუბურების დახმარებით ან რაკეტის კონსტრუირება მეტალის

დეტალებით) შესაცნობად, ბავშვს ეხმარება აღიქვას მსგავსება თვალით დანახულ საგანთან მიმართებაში. თამაშების შესახებ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვები, განსაკუთრებით სკოლამდელ ასაკში, ნაკლებად არის მიზანმიმართულად კონცენტრირებული თავად თამაშზე, ისინი უფრო მეტად დაკავებული არიან საგნების შესწავლითა და მათი მანიპულირებით. ამ დროს, სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით, ისინი უფრო „ჩაკეტილები“ არიან და თამაშში მთელი სხეულით არიან ჩართული.

თამაშის პროცესში არსებული ზოგიერთი განსხვავება მარტივად აიხსნება იმ სათამაშოებით (არსი და დანიშნულება) რომელსაც ბავშვები იყენებენ, უფროსებისა და თანატოლების მხრიდან მათდამი არსებული მოლოდინებით და იმით, თუ როგორ არის თამაში ორგანიზებული. მხედველობის მქონე ბავშვები ხშირად სწრაფადვე ინტერესდებიან სათამაშოთი მათი მიმზიდველი გარეგნული სახის გამო და ადვილად ხვდებიან მათ დანიშნულებას, განსაკუთრებით თუკი ის რაიმეს განასახიერებს, მაგრამ შეზღუდული მხედველობის მქონე ბავშვების შემთხვევაში ასეთი დამაინტერესებელი ფაქტორი აბსოლუტურად განსხვავებული იყოს. წარმოსახვითი თამაშისათვის, მათ ესაჭიროებათ გარკვეული დრო სათამაშოს, მისი შემადგენელი ნაწილების, ტექსტურის შესასწავლად.

ბევრი სათამაშოს მიზანია ფორმის, ფერის, მოდელისა და ზომის ცნებების აღქმის განმტკიცება ან თუნდაც ნატიფი მანიპულაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. წარმოსახვითი, ინტერაქტიური თამაშები უფრო სასარგებლოა წყვილებში ან მცირე ჯგუფებში იმ სათამაშოების გამოყენებით, რომელიც რაღაცას განასახიერებს. არსებობს სათამაშოები, რომელიც ეფექტურია კონსტრუირებისათვის (სამშენებლო კუბურები, კონსტრუქტირები), ზოგი წარმოსახვას უწყობს ხელს (თოჯინას სახლი, სამზარეულოს ნივთები, ცხოველები). იმიტაციური თამაშები, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სოციალურ ინტერაქციას, შეიძლება ორგანიზებული იქნას ე.წ. „მინი თეატრების“, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მოდელირების (მაგ. ფოსტა, სახანძრო სამსახური, მაღაზია) ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ ის სათამაშო ნივთები, რომელსაც თამაშისას ვიყენებთ, იყოს იმავე მასალისგან დამზადებული, რაც რეალურ ცხოვრებაში გვხვდება. მაგ. სამზარეულოს ნივთები სასურველია იყოს არა პლასტმატის, არამედ ლითონის. ამ შემთხვევაში, ბავშვი მარტივად ახდენს მათ იდენტიფიცირებას და დაკავშირებას რეალურ ნივთებთან.

კლასგარეშე აქტივობები

სკოლის შენობის გარეთ არსებული სივრცე ძალიან მნიშვნელოვანია მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის. ის, თუ როგორ არის ეს სივრცე დაგეგმილი და მოწყობილი, გავლენას ახდენს მათ მობილობასა და თამაშის შესაძლებლობაზე. დღეს სულ უფრო მეტი სკოლა აწყობს საკუთარ სპორტულ მოედნებს, სადაც სხვადასხვა ინვენტარი არის განთავსებული. მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი იყოს უსაფრთხო და არ უქმნიდეს ბარიერებს შეზღუდვის მქონე ბავშვებს.

კვლევებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი სათამაშო გარემო, განსაკუთრებით უწყობს ხელს 7-დან 13 წლამდე ბავშვების (როგორც გოგონებისათვის, ასევე ბიჭებისათვის) მიერ სამყაროს შემეცნებასა და სოციალურ ინტერაქციას. აღნიშნული გულისხმობს გარემოს, სადაც მრავლადაა წარმოდგენილი რეალური სამყაროს ამსახველი საგნები, (მაგ. ტრაქტორი, სატვირთო ავტომანქანა, ნავი, ა.შ.) და ასევე პატარა ნაწილებად დაყოფილი სივრცეები, რომელთა მისაწვდომად საჭიროა ზედაპირის (ტექსტურა, ფერი, მასალა) საშუალებით მარტივად აღქმადი ბარიერების დაძლევა. მაქსიმალური ეფექტისათვის, ბავშვებს ნათლად უნდა განვუმარტოთ გარემოს სტრუქტურა, თამაშის წესები და ის სტიმულები, რომელიც მოცემულ სივრცეშია განთავსებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები თამაშისას ხშირად ურთიერთობენ ოთახის წყნარ კუთხეში განმარტოებულები, ასეთი გარემოც კი ხშირად წარმოშობს კონფლიქტს. კონფლიქტების გადაჭრა, თანატოლებთან ურთიერთობების სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ბავშვებს (როგორც ჩვეულებრივი, ასევე მხედველობის შეზღუდვის დროს) ხშირად აქვთ ერთმანეთს შორის გაუგებრობები, რომელთა გადაჭრაში უფროსის ჩარევაა საჭირო. სწორედ მასწავლებლის ფუნქციაა სწორად შეარჩიოს ბავშვები, რომელიც მაქსიმალური სოციალურობით გამოირჩევიან და შეუძლიათ ჯგუფური აქტივობის წარმართვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფში მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვია და მას გარკვეული დახმარება ესჭიროება საგნებისა და მოვლენების აღსაქმელად. მასწავლებელს შეუძლია ბავშვებს შესთავაზოს ერთგვარი „ხარაჩო“, ანუ ჩამოაყალიბოს თამაშის სტრუქტურა, აუხსნას ბავშვებს რა წესები უნდა იქნას დაცული, როგორი უნდა იყოს რეაქცია ამა თუ იმ ქცევაზე და ა.შ.

სკოლის ფიზიკური გარემო

სახლის პირობებში, ბავშვები საკმაოდ ადვილად ერკვევიან გარემოში, იციან სად ინახება მათი სათამაშოები, სხვადასხვა საგნები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესანახი ადგილები არ იცვლება. უცხო გარემოში, მაგ. სკოლის შენობაში, მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვები გაცილებით მეტ სირთულეებს აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ არარეალისტურია მოვინდომოთ მთლიანად სასკოლო გარემოს შეცვლა, შეიძლება გატარებული იქნას კონკრეტული ზომები, რომელიც ბავშვს დაეხმარება დამოუკიდებლად გადაადგილებაში, უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და სწავლის გაუმჯობესებაში.

უსაფრთხო, დამოუკიდებელი მობილობა, ინდივიდებისაგან მოითხოვს ისწავლონ, როგორ იმოქმედონ გარემოში მიზანმიმართულად და თავიდან აიცილონ მოსალოდნელი საფრთხე. ამავე დროს, კარგად სტრუქტურირებული და განჭვრეტადი ფიზიკური გარემო ეხმარება ბავშვებს ადვილად გაუმკლავდნენ ახალ გარემოში მოხვედრით გამოწვეულ პრობლემებს. ბავშვებს პრობლემებს უქმნის იატაკზე დადებული და დაყრილი ნივთები (მაგ. დერეფანში იატაკზე დაყრილი

ჩანთები), ელექტრონული ხელსაწყოების ჩამრთველები, დამაგრძელებლები, ცეცხლსაქრობები - ყველაფერი ეს პოტენციურად საფრთხის შემცველი საგნებია, განსაკუთრებით ცუდად განათებულ გარემოში;

მხედველობის შეზღუდვის ზოგიერთი ფორმა, როგორიცაა პერიფერიული ან მონოკულარული მხედველობა, უფრო მეტად ართულებს გარემოს აღქმას, ვიდრე რომელიმე სხვა შეზღუდვა. წარმოიდგინეთ ბრმა (უსინათლო) ბავშვი, რომელიც შედის საკლასო ოთახში. ინფორმაციის უმეტეს ნაწილს ის იღებს ტაქტილური ფორმით (იატაკზე ფეხის და საგნების ზედპირზე ხელის შეხებით). ეცადეთ განჭვრიტოთ, რა მოხდება, თუკი ბავშვი კარგად იცნობს მარშრუტს, რომლითაც ის შენობაში გადაადგილდება. მაგ. აკვარიუმის ტუმბოს ხმაურს შეუძლია ბავშვს სასარგებლო ინფორმაცია მისცეს, მაშინ, როდესაც ავეჯის წვეტიანი კიდეები ან კედელზე ჩამოკიდებული საგნები მას საფრთხეს უქმნიან.

კედლებისა და იატაკის ზედაპირზე რაიმე სპეციფიური დეტალის არსებობა დაეხმარება მხედველობის შეზღუდვის მქონე ან ბრმა მოსწავლეებს, უსაფრთხოდ გადაადგილდნენ სივრცეში, განსაკუთრებით კი დერეფნებში, სადაც ხელისა და ფეხის შეხებით ინფორმაციის აღქმის ნაკლები შესაძლებლობაა. კარების შესასვლელებში დამაგრებული მეტალის თასმები კარგ ვიზუალურ და სმენით სტიმულს წარმოადგენს. გასასვლელებში და კიბის უჯრედზე ხშირად გამოიყენება რეზინის ან კორპის რბილი საფარი. კედლებისა და იატაკის სხვადასხვა ტექსტურის საფარით, შესაძლებელია ცალკეული ზონების გამოსყოფა, თუმცა არის სივრცეები, საიდანაც ზედმეტი ავეჯის გატანა და მეტი თავისუფალი ადგილია საჭირო. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის კარგი სამუშაო პირობების შესაქმნელად, სასურველია კონსულტაციების მიღება სპეციალისტისაგან. სკოლისა და საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს ადაპტაციის ხერხებს, კონკრეტულ და დეტალურ რჩევებს სასწავლო გარემოს მოსწყობის თაობაზე გაეცნობით მოცემული გზამკვლევის სპეციალურ თავში.

ვიზუალური გარემოს გაუმჯობესება

როდესაც ვაფასებთ ამა თუ იმ გარემოს ვიზუალურ მისაწვდომობას, კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ იმ სტიმულებს, რომელსაც ბავშვები იყენებენ გარემოში ეფექტური ორიენტირებისათვის და იმას, თუ რა უშლის მათ ხელს.

ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, რომ მხედველობის შეზღუდვის სხვადასხვა ფორმა განსხვავებულ სიძნელეებს უქმნის მოსწავლეებს. ზოგიერთი მათგანი ცუდად ხედავს დაბალ სინათლეზე, შორ მანძილზე, ზოგი ბავშვი უკეთ ფუნქციონირებს დაბალი განათების პირობებში, სხვებს კარგ განათებასთან ერთად, ინდივიდუალური სანათი ესაჭიროება. მაგ. ფოტოფობიის (სინათლის შიში) მქონე ბავშვებს, გაუჭირდებათ ნათელ და კაშკაშა გარემოში მუშაობა, სინათლის შუქზე მდგომი მასწავლებლის მოსმენა ან ფანჯრიდან შემომავალი შუქის არეში მოხვედრილი ეკრანისა და დაფის დანახვა.

სასკოლო სივრცეში ჩვეულებრივ გამოიყენება ორი ტიპის განათება. ზოგადი განათება ჩვეულებრივ მოდის ჭერში დაკიდებული დღის ნათების სანათიდან, რომლის სხივიც არკისებურად ვრცელდება მთელს გარემოზე. არასაკმარისი ცენტრალური განათება, როგორიცაა ჭერში დამაგრებული ერთი ნათურა, ქმნის მძიმე ჩრდილებს. ზედაპირი ბრწყინავს მაშინ, როდესაც ჭუჭყიანი ფანჯრიდან მზის სხივები შემოდის, ამდენად ეს ძალიან ადვილი გამოსასწორებელია თუკი ფანჯრები სისტემატიურად სუფთა იქნება. ინდივიდუალური სანათი საჭირო ხდება რაიმე კონკრეტული დავალებების შესრულების დროს.

მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთა სპეციალურ სკოლაში, გარემოს ზოგადი განათება გაცილებით ძლიერია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გარემოში გვხვდება, განსაკუთრებით ისეთ სივრცეებში, როგორიცაა კიბის უჯრედი. დამატებითი სანათებით ხდება კონკრეტული უბნების დამატებით განათება. ფანჯრებზე ყოველთვის არის ფარდები და დარაბები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც ჩვეულებრივ ერთგვარი განათებაა და არ ხდება მისი ადაპტირება, მკაფიო გარჩევითობის მიღების უზრუნველყოფა შეიძლება კონსტქსრების გაძლიერებით.

ჩვეულებრივ, სასკოლო გარემო სავსეა ვიზუალურად ბუნდოვნად აღსაქმელი საგნებით : თეთრ კარებზე დამაგრებული ალუმინის სახელური, ზუსტად კედლის ფერის ჩამრთველი, განცხადებების დაფაზე გამოკრული ტექსტების პატარა შრიფტი. კონტრაქტულ ჩარჩოში ჩასმული ფერადი კარები, გაცილებით გაუადვილებს მობილობას მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვს. კედლებსა და კიბის უჯრედზე დაყოლებული საზღვრის გამყოფი ზოლები გააუმჯობესებს როგორც ვიზუალურ, ასევე ტაქტილურ აღქმას. წითელი ფერის ჩამრთველი ბავშვს გაუადვილებს კედლის და თავად ჩამრთველის აღქმას, ხოლო კედლებზე, ხალიჩასა და კარებებზე გაკეთებული ფერადი კონტრსატები მათ გაუადვილებთ სივრცისა და მასში განთავსებულ საგნების აღქმას.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სანათს, ის საკმაოდ ყურადღებით უნდა შეირჩეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ეფექტურია ისეთი სანათები, რომელთა სიმაღლის დარეგულირებაა შესაძლებელი. სანათის დიზაინი უნდა უზრუნველყოფდეს ნათურიდან მომავალ სხივის კაშკაშის და სიცხის შესუსტებას. ცხადია, იმისათვის რომ იმუშაოს, სანათი დენის წყაროში უნდა იყოს ჩართული. აქაც დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ელექტრო კაბელებმა დამატებითი პრობლემები არ შეუქმნას ბავშებს.

როდესაც ბავშვი მუშაობს მაგიდასთან ან მერხთან, მნიშნელოვანია, რომ სანათი ანათებდეს სამუშაო სივრცეს ისე, რომ მასზე არ ეცემოდეს თავად ბავშვის სხეულის რომელიმე ნაწილის ჩრდილი. კარგ განათებად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ზურგსუკან, მარცხენა მხართან განთავსებული სანათი. სამუშაო სივრცის განათების ხარისხი ასევე დამოკიდებულია კედლის, ჭერისა და იატაკის ტექსტურასა და ფერზე.

სამუშაო პირობებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბრჭყვიალი, სხვადასხვა საგნის ანარეკლი, ჩრდილები, რაც კიდევ უფრო მძიმდება ცუდი განათების პირობებში. თეთრი საღებავით შეღებილი კედელი აირეკლავს მასზე დაცემული სინათლის

უმეტეს ნაწილს. ზედაპირის ისეთი ტექსტურა, როგორიცაა აგურის კედელი, ფილებით დაფარული სამუშაო ზედაპირი და ხის იატაკები ასევე გავლენას ახდენს არეკლილი განათებაზე. არ არის რეკომენდირებული მბრწყინავი იატაკები და სამუშაო ზედაპირი. დაფები უნდა იყოს მწვანე ან შავი ფერის, კედელთან იმგვარად განთავსებული, რომ არ ირეკლავდეს ჭერიდან დაცემულ სინათლეს. სასურველია თეთრი ან ყვითელი ცარცის გამოყენება.

მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვების შემთხვევაში, გარემო პირობების მორგება უნდა ხდებოდეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ისეთი პირობები, როგორიცაა მკაფიოდ გამოკვეთილი და კარგად განათებული სივრცეები, ადაპტირებადი სანათი საშუალებები და მაღალკონტრასტული ფერები, სასარგებლო იქნება არა მხოლოდ შეზღუდვის მქონე, არამედ სკოლის ყველა მოსწავლისათვის.

საკლასო ოთახის მოწყობა

საკლასო ოთახის ეფექტურად მოწყობას ხელს უწყობს იმის გააზრება, თუ როგორ აღიქვამენ გარე სამყაროს მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვები. კურიკულუმის ყოველდღიური აქტივობები დამოკიდებულია კონკრეტულ რუტინასა და პრინციპებზე: ბალანსი ჯგუფურ სამუშაოსა და ინდივიდუალურ სასწავლო აქტივობებს შორის, წიგნებისა და აღჭურვილობის გამოყენება, რესურსების შენახვა და მისაწვდომობა, დრო „წრეში მუშაობისა“ და განხილვისათვის.

მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებს სჭირდებათ ყოველდღიური რუტინის გაცნობა და შესაბამისად, კლასის სივრცის შესწავლა: სად ტარდება ესა თუ ის აქტივობა, სად ინახება აღჭურვილობა. სასურველი ნვთების ადვილად მოსაძებანდ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ერთი, სისტემატიური ადგილი, რომლის შერჩევაც საკმაო დაკვირვებით უნდა მოხდეს. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვისათვის დროის ზედმეტი ხარჯვა და იმედგაცრუება იქნება, ყოველ ჯერზე სხვებისათვის დახმარების თხოვნა ამა თუ იმ ნივთის მოსაძებანდ.

ჩვენს მიერ უკვე ნახსენები იყო სივრცის დეკორი ფერთა მაღალი კონტრასტის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს ოთახში სხვადასხვა ძირითადი სივრცის გამოყოფას. პირადი დამოუკიდებლობა და ბავშვის ნარჩენი მხედველობის მაქსიმალური გამოყენება ძალიან რეკომენდირებულია კარგად ორგანიზებულ საკლასო სივრცეში, სადაც ყველა სამუშაო სივრცე მკაფიოდ არის გამოყოფილი. განხცადებების დაფები, პოსტერები და სხვა ვიზუალური მასალა უნდა იყოს დაბლა განთავსებული, ისე რომ ბავშვს თავისუფლად შეეძლოს მისი დანახვა. დიდი შრიფტით ან ბრაილით ნაბეჭდი ტექსტები გამოკრული უნდა იყოს კარადებზე, სადაც სათამაშოები, წიგნები და სხვა სასწავლო რესურსები ინახება.

დაწყებით კლასებში, შესაძლებელია სხვადასხვა სივრცე (მაგ. საწერი, კომპიუტერის, ბიბლიოთეკა, სათამაშო) სხვადასხვა ფერით იყოს გამოყოფილი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად ვიზუალურ გარემოს,

მაგ. განათება, დეკორი და ელვარება. ამჯერად გვსურს ვისაუბროთ, თუ რამდენად მისაწვდომი და მასტიმულირებელი შეიძლება იყოს თავად სასწავლო კონტექსტი. კედელზე განთასებული მასალები შეიძლება იყოს როგორც ვიზუალურად, ასევე ტაქტილურად აღსაქმელი. მაგ. მწერების თემაზე მომუშავე ბავშვების ჯგუფმა, შეიძლება სხვადასხვა მასალების (კოლოფების, ბოთლების, ქსოვილების) გამოყენებით შექმნას მწერების გამოსახულებები, ხოლო ეგვიპტის თემატიკაზე მომუშავე ბავშვებმა დაამზადონ კედელი, სადაც გათხრების ტაქტილური ფორმით ილუსტრირებისათვის გამოიყენებენ ისეთ მასალებს, როგორიცაა ნიჟარები, მძივები, კენჭები, ალუმინის ფოლგა და ბოთლის საცობები.

მხედველობის შეზღუდვის მქონე ზოგიერთი ბავშვისათვის საჭიროა ისეთი გაბარიტული ნივთები, როგორიცაა ბრაილის საწერი მოწყობილობა, ხმის ჩამწერი, გამადიდებლები, მხედველობის დამხმარე ეკრანები და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის ჯდომის პოზა. მერხთან ჯდომამ, როდესაც ბავშვი ცდილობს ისარგებლოს მასზე მოთავსებული წიგნით ან მასალებით, შეიძლება გამოიწვიოს გადაღლა და ზურგის ტკივილი. ახლო მანძილზე სამუშაო დავალებებისათვის, სასურველია შესაძლებელი იყოს მერხის თავის წამოწევა, ისე რომ დავალება ბავშვის თვალთან განთავსდეს და არა ბავშვი გადაიხაროს მის დასანახად. ასეთი ტიპის მერხთან მუშაობისას ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს ადვილად უნდა შეეძლოს მერხზე თავისი ფანქრებისა და კალმების მოთავსება. ზოგიერთ ბავშვს გაცილებით მეტი სამუშაო სივრცე ესაჭიროება, მაგ. ტაქტილური დიაგრამების, ბრაილის ან დიდი შრიფტით ნაბეჭდი წიგნებისათვის. ხშირად, ზედმეტი სიპრიალის დასაფარად საჭიროა მერხის სამუშაო ზედაპირის დაბურვა.

მასწავლებლებს ხშირად უჩნდებათ შეკითხვა, თუ სად უნდა დასვან მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვები. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა ფაქტორი, მაგ. თავად სივრცეში არსებული შეზღუდვები, კურიკულუმის მოთხოვნები და თავად ბავშვის პრობლემები. ზოგიერთი ასპექტი მოითხოვს კონკრეტულ საჭიროებას, მაგ. მხედველობის დამხმარე ეკრანების, მაგიდის სანათებისა და ელექტრო გამადიდებლების გამოსაყენებლად საჭიროა ჩამრთველების არსებობა, რაც უმეტესად კედლებზე არის ჩამონტაჟებული. ბავშვის განთავსებას ასევე განაპირობებს ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორიცაა ფანჯრიდან პირდაპირ შემომავალი სინათლე, რასაც ხშირად ბავშვები ცდილობენ თვალი აარიდონ. უშუალოდ დავალებაზე ფოკუსირებული განათების საჭიროების შემთხვევაში, თავიდან უნდა იქნას აცილებული არეკლილი საგნებითა და შუქით გამოწვეული ბრჭყვიალი. თუკი მასწავლებლის სწავლების სტილი გულისხმობს დაფაზე ხშირ წერას ან საკლასო დისკუსიების ორგანიზებას, სასურველა ბავშვს წინა მერხზე მივუჩინოთ ადგილი.

ვიზუალური გარემო და ინდივიდუალური საჭიროებები

ხშირად, მასწავლებლები, რომელთაც კლასში მხედველობის შეზღუდვის მქონე

მოსწავლე ჰყავთ, არ არიან დარწმუნებული ისეთ ზოგად საკითხებში, როგორიცაა უნდა დაასვენოს თუ არა თვალი მოსწავლემ, რომელიც სათვალეს ატარებს და საფრთხის შემცველია თუ არა ცუდი განათების შემთხვევაში ნაწერის თვალთან ახლოს მიტანა მის წასაკითხად. ჯერ კიდევ არსებობს მოსაზრება (თუმცა დღეს უკვე გაქარწყლებული), რომ ნარჩენი მხედველობის შეზღუდულად გამოყენება, ხელს უწყობს მის დაცვას და შენარჩუნებას. რეალობაში, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ნარჩენი მხედველობის მაქსიმალურად გამოყენება და თუნდაც ხშირად ეს დამღლელიც იყოს, ამით ნარჩენი მხედველობა არ ზიანდება.

დამატებითი განათების საჭიროება დამოკიდებულია ბავშვის საჭიროებებზე. სინათლისადმი მაღალი მგრძნობელობის მქონე ბავშვებისათვის, სასურველია საერთო განათების საშუალო დონის შემცირება, რაც შესაძლებელია დავალებაზე ფოკუსირებული განათებისა და სამუშაო ზედაპირის სიპრიალის შემცირებით. ძალიან წინ გადახრა შესაძლებელს ხდის ვიზუალური მასალის უკეთ დანახვას და ამაში საშიში არაფერია, თუმცა ხშირად ასეთ პოზაში ჯდომა შესაძლოა საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს სხეულისათვის.

სათვალეების ტარება სარგებლობის მომტანი არ არის მხედველობის შეზღუდვის ყველა ბავშვისათვის, თუმცა ყველამ, ვისაც სათვალე გამოწერილი აქვს ექიმის მიერ, აუცილებლად უნდა ატაროს ის და ამის შესახებ გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა მასწავლებელი. ნათელია, რომ სათვალეებითა და კონტაქტური ლინზების საშუალებით არ ხდება მხედველობის მკურნალობა, თუმცა მათი ტარება მხედველობის გაუმჯობესებას უწყობენ ხელს. სასურველია, რომ სათვალე მუდამ იყოს სუფთა და ბავშვი მას სისტემატიურად ატარებდეს. მხედველობის მდგომარეობის ცვლილების გამო, სათვალის შესაბამისობა რეგულარულად უნდა გადამოწმდეს.

არსებობს რამდენიმე ზოგადი მოსაზრება ბავშვების თვალებზე ზრუნვასა და ვიზუალურ გარემოსთან მიმართებაში. ისეთ გარემოში, როგორიცაა სასკოლო ლაბორატორია ან საამქროები, სადაც ხის ხერხვა, წებოსთან ან ქვიშასთან მუშაობაა საჭირო, ბავშვები აუცილებლად უნდა ატარებდნენ დამცავ სათვალეებს.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები

მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებთან, სასურველია დაცული იქნას გონივრული ბალანსი აკადემიური კურიკულუმის ასათვისებელ მოცულობასთან დაკავშირებით. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ განსაკუთრებულ საჭიროებებს, როგორიცაა სოციალური დამოუკიდებლობა, მობილობა, კლავიატურის ათვისება კომპიუტერზე სამუშაოდ, ბრაილი. ის, თუ როგორ იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეთანხმებული, განხორციელებული და განხილული, დიდად არის დამოკიდებული ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და სკოლაში არსებულ რესურსებზე (კერძოდ, სკოლაში არსებულ დამხმარე პერსონალზე).

მოცემულ თავში გვსურს მიმოვიხილოთ ის ადაპტაციები, რომელიც მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისათვის არის მნიშნელოვანი სკოლის ზოგიერთ მნიშვნელოვან სივრცეში. ინკლუზიური განათლების მთავარ ღერძს წარმოადგენს სწავლისადმი მოქნილი, მრავალშრიანი და მრავალფეროვანი მიდგომების არსებობა. დიფერენცირება ნიშნავს მოსწავლეების განსხვავებულობის აღიარებას და ისეთი აქტივობების დაგეგმვას, რომელიც სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით, საშუალებას აძლევს ყველა მოსწავლეს ისწავლოს სხვადასხვა ტემპით, სხვადასხვა დონეზე. თუმცა, სწავლების დიფერენცირება არ არის ადვილად მისაღწევი და საჭიროებს ყურადღებით დაგეგმვასა და განხორციელებას.

სასწავლო გეგმის დეფერენციაცია

დიფერენცირება შეიძლება დაიგეგმოს როგორც მთელი სკოლის, ასევე საკლასო ოთახის დონეზე. დაწყებით სკოლაში, უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება, რამდენად შესაფერისია საკლასო გარემო და პირობები მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვისათვის. ამის შემდეგ, დამხმარე მასწავლებელი კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, რამდენად შესაბამისია მოცემული კურსი, მხედველობის ღრმა შეზრუდვის მქონე მოსწავლისათვის.

საკლასო ოთახში, დიფერენცირება შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. პირველ რიგში, ის შეიძლება შეეხოს სწავლების სტილს, ანუ, რა ფორმით მიაწვდის მასწავლებელი ინფორმაციას, როგორ არის დავალებები დაგეგმილი და რა ცნებები არის წარმოდგენილი. მეორე რიგში, ხდება მოსწავლეების აქტივობების ფორმის დიფერენცირება, ანუ მოსწავლეთა დაჯგუფება, საკლასო ინტერაქციები, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, სწავლის პროცესში უკუკავშირი და დახმარება. და ბოლოს, დიფერენცირების მიღწევა ასევე შესაძლებელია შედეგებისა და პასუხების გზით, როდესაც ყოველი მოსწავლე ახდენს საკუთარი ცოდნის პრეზენტაციას სხვადასხვა ფორმით (ზეპირი და წერითი პასუხი, პრეზენტაციები, ანგარიშები და სხვ.)

სწავლების სტილი და მასალის წარდგენა

დაბალ კლასებში, კურიკულუმის ბევრი საკითხი შეიძლება გაცილებით მისაწვდომი გავხადოთ, თუ მას პრეზენტაციის ფორმით გავიაზრებთ. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ჰუმანიტარული საგნების შემთხვევაში, როდესაც ხდება მასალის ადაპტირება და ვერბალური, აღწერითი და განმარტებითი ფორმით მიწოდება. მას შემდეგ, რაც თემა დაიგეგმება, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსწავლეთა წინაშე დასახულ მიზნებზე, მათ მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე. უნდა ვიფიქროთ, რამდენად შესრულებადი და რეალისტურია ეს მიზნები. გასათვალისწინებელია ისეთი საკითხები, როგორიცაა ენის ათვისების

სირთულეები, ლექსიკა, ცნებები და ტექნიკური ინფორმაცია.

მაშინ, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ აითვისონ წერილობითი ფორმით მიწოდებული მასალა, ათვისების სისწრაფე და სიზუსტე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ეს მასალა მიწოდებული. ნაწერი გაცილებით ადვილი წასაკითხია, როდესაც ის დიდი შრიფტით არის დაბეჭდილი. კითხვის დროს ასევე მნიშვნელოვანია ფერთა კონტრასტი. ხშირად ყველაზე ეფექტურია შავი ფერით თეთრ ან ოდნავ მოკრემისფრო ქაღალდზე ნაბეჭდი. ეცადეთ არ გამოიყენოთ ფერადი ქაღალდი. ასევე დღეს ხშირია სახელმძღვანელოები, სადაც ტექსტი სურათებზე არის დაბეჭდილი, რაც მის ამოკითხვას საკმაოდ ართულებს. სასურველია, გვერდზე არ იყოს ძალიან ბევრი ინფორმაცია, დიაგრამები და სურათები. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს დაფას. თუ ეს შავი დაფაა, მასზე მხოლოდ თეთრი ან ოდნავ მოყვითალო ფერის ცარცის გამოყენებაა რეკომენდირებული. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბევრ ბავშვს ურჩევნია ინფორმაცია მიიღოს ზეპირი ფორმით, დისკუსიის კომპონენტის ჩართვით, შესაძლოა ეს იყოს წყვილებში მუშაობაც. ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, რომ მნიშვნელოვანია ვერბალური ინფორმაცია მიწოდებული იყოს კონკრეტული, გამომხატველი და კონკრეტულ ცნებებთან დაკავშირებული ენითა და სიტყვებით. სკოლაში სასწავლი ყველა საგანი ბავშვს აძლევს ცოდნას სხვადასხვა სფეროში, ასწავლის მიღებული ინფორმაციის ორგანიზებისა დაანალიზის კონკრეტულ გზებს, ფიქრისა და წვდომის სხვადასხვა ფორმებს.

მათემატიკისა და სხვა სამეცნიერო საგნების სწავლებისას, ადრეულ ეტაპზე, შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს ისეთმა ტერმინებმა, როგორიცაა „ტოლია“, „მეტია/ნაკლებია“, „იზრდება/მცირდება“ მცდარი/ჭეშმარიტი“ „ზოგი/სხვადასხვა“, ა.შ. ასეთი საგნების სწავლებისას, ენობრივი ცნებები განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას, რეალობასთან კონკრეტული ბმების გაკეთებას და შესაძლებლობის შემთხვევაში, მათ რეგულარულ გამეორებას მოითხოვს. ბევრი ბავშვისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს ინსტრუქციების ენა. მაგ. „დაალაგეთ მეტობის ან კლების პრინციპით“, „გადაიტანეთ ეს დიაგრამა თქვენს ფურცლებზე“, „მიუთითეთ რომელია კაცია სურათზე კენტი“. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბევრ მოსწავლეში შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს ტექნიკურმა ტერმინებმა და უცნობმა ლექსიკონმა. თუმცა გვახსოვდეს, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ განმარტებებს სარგებლობა მოაქვთ არა მხოლოდ მათთვის, არამედ ყველა სხვა ბავშვისათვის.

გაკვეთილამდე და გაკვეთილის შემდგომი დახმარება

ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ბევრი ბავშვისათვის, ძალიან დიდი სარგებლობა მოაქვს წინა-საგაკვეთილო და გაკვეთილის შემდგომ დახმარებას. ასეთი აქტივობები ხშირად რთული დასაგეგმი და განსახორციელებელია დატვირთული სამუშაო გრაფიკისა და რესურსების გამო და სავარაუდოდ ყველაზე სასარგებლოა გაცილებით უფროსი მოსწავლეებისათვის, რომლებიც ზოგადი კურიკულუმით სწავლობენ, თუმცა საერთო კლასში მხოლოდ დროის ნაწილს ატარებენ, ხოლო

დანარჩენ დროს დამატებით დახმარებას საჭიროებენ.

წინა-საგაკვეთილო დახმარება ძალიან ეფექტურია მოსწავლეთა დასახმარებლად, რათა მათ შეძლონ იმ გაკვეთილებში მაქსიმალური ჩართვა, სადაც ვრცელი მასალა არის წერილობითი ან ვერბალური ფორმით წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში დამხმარე მასწავლებელი წინასწარ გააცნობს ბავშვს გაკვეთილის შინაარსს, განუმარტავს ყველა შესაძლო გაუგებარ მომენტებს და უყალიბებს გარკვეულ საფუძველს ძირითადი ცოდნის მისაღებად. წინა-საგაკვეთილო დახმარება ასევე მოიცავს ისეთი უნარების განვითარებაზე მუშაობას, როგორიცაა წიგნში რომელიმე კონკრეტული გვერდის მოძებნა, სარჩევის, ლექსიკონის, სურათებისა და დიაგრამების გამოყენება. წინა-საგაკვეთილო დახმარების დროს, მასწავლებელს შეუძლია ბავშვთან ერთად განიხილოს მისი ინდივიდუალური საჭიროებები, თუ როგორ, რა მოცულობითა და ტემპით უნდა იქნას ორგანიზებული მათი სამუშაო.

გაკვეთილის შემდგომი დახმარება იძლევა შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ გაიაროთ მთავარი ცნებები და პროცესები, განიხილოთ რამ იმუშავა კარგად, რა სიძნელეები გაჩნდა და შეამოწმოთ თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაო. შეგიძლიათ კიდევ უფრო დეტალურად განხილოთ ყველა სუსტი მომენტი ან ნაკლოვანება და კიდევ ერთხელ მისცეთ მოსწავლეს განმარტებები. გაკვეთილის შემდგომ დახმარებაში მთავარია ის, რომ მოსწავლეს საშუალება ეძლევა თქვენი დახმარებით, თავად შეაფასოს რა დამატებითი დახმარება ესაჭიროება მას და მოირგოს სწავლის მისთვის ყველაზე მოხერხებული მეთოდი.

აქტიური (რეალურ რეჟიმში) სწავლება

კარგი შედეგების მისაღებად, ძალიან ხშირად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეალური ცხოვრების გამოცდილების მაგალითებზე სწავლებას. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვები ყოველთვის ვერ იქნებიან დამოკიდებული სხვების მიერ გარემოსა და საგნების აღწერილობაზე, რომლის დამახსოვრებაც მათ უხდებათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ის თუ როგორ აგებენ ისინი პირად მეხსიერებას სუნებთან, გემოსთან, ფორმებთან, ტექსტურებთან და ბგერებთან მიმართებაში, განსხვავდება მხედველი ბავშვების შემთხვევისაგან. სწავლის მნიშვნელოვან ბაზას ქმნის პრაქტიკული ვიზიტები ფერმაში, სამხატვრო გალერეაში, სხვადასხვა სახის შენობაში, ქარხნებსა და ავტობუსის გაჩერებაზე, მუზეუმებსა და სტუდიებში.

ზოგჯერ ცუდად მხედველი ბავშვებისათვის რთულია მათემატიკური სქემების ილუსტრირების პროცესი. ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა დრო, მანძილი, რაოდენობა ან შეფასება შესაძლოა მოითხოვოს გააზრების ისეთი პრაქტიკული ელემენტები, როგორიცაა სკოლამდე მისასვლელად საჭირო დროის შეფასება და შემდეგ მასზე საჭირო ტემპის მორგება.

რა თქმა უნდა გარდაუვალია ისეთი სფეროების არსებობა, რომლის პირდაპირი გზით შეფასებაც შეუძლებელია: ზოგიერთი მოსწავლისათვის შეუძლებელი

შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი ფენომენის ან გარკვეული სიჩქარით მოძრავი საგნის შეგრძნება. მეცნიერებასთან დაკავშირებული ისეთი აქტივობა, როგორიცაა ცდების ჩატარება, მოითხოვს მოსწავლესთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობას და ახნა-განმარტებას, თუმცა ზოგიერთი აქტივობა, მაგ. მიკროსკოპის გამოყენება ,შეიძლება მაინც ძალიან რთული, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელი აღმოჩნდეს.

შორ მანძილზე განთავსებული და თვალით უხილავი საგნების „გაცოცხლება“ შესაძლებელია გადიდებული ფოტოების, ფირზე ჩაწერილი ხმების, მუსიკის, არტეფაქტების, ხელსაწყოების, საარქივო მასალების, საიუველირო ნაკეთობების, მოთხრობების, პოემების საშუალებით. მაგ. ბუნების დაცვის თემაზე დაგეგმილი გაკვეთილისათვის, მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ცხოველის სათამაშო მოდელებს, მცენარის ნიმუშებს. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი ცდილობს მაქსიმალურად საინტერესო და სახალისო გახადოს მასალა ყველა მოსწავლის, მათ შორის მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისათვის.

მუშაობის ფორმები:

მხედველობასთან დაკავშირებით, სწავლაში არსებული შეზღუდვების მქონე ბავშვს, რა თქმა უნდა გაცილებით მეტი დრო ესაჭიროება, ვიდრე მის კარგად მხედველ თანატოლს. მუშაობის ტემპზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა ასპექტი: ოთახის მოწყობასთან მიმართებაში საკუთარი თავის აღქმა, ტექსტის მოძებნა წიგნში და მისი გადაყვანა მისაწვდომ ფორმატში. დამატებით სირთულეს ქმნის მოსწავლის კონცენტრირების, მოსმენის და ინფორმაციის გადამუშავების უნარი. ზოგადი განათლების მასწავლებლებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ უნდა ჰქონდეთ მაქსიმალურად რეალისტური მოლოდინები. ამდენად, იმ ჯგუფში მუშაობისას, სადაც ბავშვებს დამატებითი მუშაობა და განსხვავებული ტემპი ესაჭიროებათ საერთო სასწავლო მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დავალებების შესრულების სხვადასხვა მოქნილი ფორმების არსებობა. ზოგიერთ საგანში სასურველია სპეციალური დამხმარე საშუალებების გამოყენება, როგორიცაა სპეციალური მანათობელი მარკერებით აღჭურვილი სახაზავები, ფარგლები და სხვა ინსტრუმენტები.

არსებობს სხვადასხვა გზა, თუ როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმაში. ცნებები უნდა იყოს მაქსიმალურად „მიბმული“ კონკრეტულ საგნებთან, ცნებებთან და პროცესებთან. დრდადრო, სხვადასხვა საკითხზე თანამშრომლობითი გუნდური მუშაობა სასარგებლოა ყველა ბავშვისათვის. თუმცა, თანამშრომლობითი გუნდური მუშაობა ეს ჯგუფურ მუშაობაზე მეტია. მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს დაგეგმოს რეალურად თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება, როდესაც ყველა მოსწავლეს თავისი საკუთარი როლი აქვს დაკისრებული. უფრო ხშირად, შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფებულ ჯგუფებშიც კი, მოსწავლეები ცდილობენ იმუშაონ ინდივიდუალურად და მიიღონ ინდივიდუალური შედეგები.

ნამდვილი თანამშრომლობითი მუშაობა გულისხმობს მთელი ჯგუფის მუშაობას ერთ კონკრეტულ პროექტზე ან დავალების იმგვარ დაყოფას ელემენტებად, რაც საბოლოო ჯამში ერთი შედეგის მიღებაზეა ფოკუსირებული. მაგ. მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ ერთ სპორტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული კედლის გაზეთის მომზადება: დავალებები დაიყოფა შემდეგ სეგმენტებად: კედლის გაზეთის გაფორმება, სურათების მოძიება, ტექსტების დაწერა, ა.შ. მეცნიერებასთან დაკავშირებულ საგნებში შეიძლება „მკვლევართა გუნდმა“ ერთად შეარჩიოს აღჭურვილობა, აღრიცხოს მონაცემები, გააკეთოს ჩანაწერები, ა.შ. მისაღებია გადაწყვეტილება ვინ რა დავალებას შეასრულებს და რაზე იქნება პასუხისმგებელი, ვინ მოახდენს სამუშაოების კოორდინირებას. როდესაც სამუშაო მიმართულია ერთი საერთო შედეგის მიღებაზე, ჯგუფი ახერხებს შეზღუდული სამუშაო დროისა და არსებული რესურსების პირობებში ერთად შეასრულოს დავალება. ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთ რისკად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო და მარტივი დავალებები მიეცეთ, ხოლო დომინანტური როლი სხვებმა შეასრულონ. ზოგიერთი მოსწავლე მონდომებულია გააკეთოს ის, რაც მას ყველაზე უკეთ გამოსდის, ხოლო ზოგი ძალიან ადვილად წყვეტს საქმიანობას, თუ მის მოსაზრებას გუნდი არ იზიარებს. ეფექტურად მართული ჯგუფური მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება თვით-შეფასების, თავდაჯერებულობის გამომუშავებაში და საშუალებას აძლევს მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს უფრო აქტიურად ჩაერთონ პოზიტიურ ინტერაქციაში, მოლაპარაკებებსა და განხილვებში.

წყვილებში მუშაობა

სტრატეგია, რომელიც კარგად მუშაობს როგორც დაწყებით, ასევე საშუალო საფეხურზე, არის მოსწავლეთა დაწყვილება. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ინდივიდუალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მიმართებაში, როდესაც მაგ. მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს და სწავლაში ეხმარება მისდამი სიმპატიით განწყობილი თანატოლი. გაკვეთილის პროცესში, ახალ თემაზე გადასვლის, მოსასმენად მნიშვნელოვანი მომენტების, განცხადებების, ინსტრუქციების შესახებ, მეწყვილე წინასწარ შეთანხმებული ნიშნით (თავის დაკვრა ან რაიმე სიტყვა) მიანიშნებს მეორე მოსწავლეს. ასეთ წყვილებში, ორივე ბავშვი ერთ საკითხზე მომუშავე თანაბარ პარტნიორად მოიაზრება. ისინი იზიარებენ დავალების შესრულების პასუხისმგებლობას, ამოწმებენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ სწავლაში.

ასეთი სტრატეგიის გამოყენების ფორმას წარმოადგენს წყვილებში კითხვა ან წერა. ერთი კითხულობს, მეორე კი ისმენს. წინასწარ შეთანხმებულ სიგნალზე, მათი როლები იცვლება. ასევე მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ წერითი დავალების შესრულებაზე და განავრცონ ერთმანეთის ნაწერი. კითხვისა და წერის ასეთი ფორმა ეხმარება პარტნიორებს შეინარჩუნონ ინტერესი და ჩართულობა. ამავე დროს ხდება

შეფასება, თუ რამდენად გაიგო თითოეულმა მათგანმა ტექსტი.

დამხმარე, სპეციალური მასწავლებელი კლასში

ზოგადიგანათლებისსისტემაშიმომუშავემასწავლებელთაუმრავლესობისათვის, ინდივიდუალური საჭიროების მქონე ბავშვთან მუშაობაში, ყველაზე ეფექტურ დახმარებას კლასში დამხმარის ყოფნა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იმისათვის რომ ორი უფროსი ადამიანის თანამშრომლობა კლასის პირობებში ეფექტური იყოს, საჭიროა აქტივობათა ყურადღებით დაგეგმვა.

დამხმარე პირმა, რომელსაც სურს ინდივიდუალურ ბავშვთან ინტენსიურად მუშაობა, უნდა გადაწყვიტოს, სად უფრო ღირებული იქნება მუშაობა, საერთო კლასში თუ მოსწავლის გაკვეთილიდან გამოყვანის პირობებში. საერთო კლასში მუშაობის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ გაცილებით ადვილია ინდივიდუალური სამუშაოს ჩართვა საერთო პროცესში, გაადვილებულია პერსონალთან ურთიერთობა და ხდება „სტიგმის“ თავიდან აცილება. დამხმარე მასწავლებელს ან კლასის ასისტენტს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სწავლების დიფერენცირების ეფექტურობაში.

დამხმარის ყოლა ძალიან დიდი ფუფუნებაა და ყველა კლასს არ აქვს ამისი საშუალება, მაგრამ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, საჭიროა იმის გააზრება, როგორ უნდა იქნას ეს რესურსი გამოყენებული. ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: როგორია ხმაურის ან მოძრაობის დასაშვები დონე, ვინ არის პასუხისმგებელი დისციპლინაზე, რა ტიპის ჩანაწერები უნდა გაკეთდეს, ვინ რას ამზადებს და კონკრეტულად რომელ გაკვეთილზე არის საჭირო დახმარება. დამხმარეს ინდივიდუალური უნარებიდან გამომდინარე, მისი როლი შეიძლება სხვადასხვა იყოს:

- დამხმარე მუშაობს ერთ კონკრეტულ ბავშვთან (მასთან ერთად კითხულობს), ძირითადი მასწავლებლის მიერ მომზადებული და მიწოდებული მასალის ფარგლებში;
- კლასი მუშაობს ჯგუფებში, ხოლო დამხმარე დახმარებას უწევს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს;
- დამხმარე თავისუფლად გადაადგილდება კლასში და ეხმარება ყველა მოსწავლეს;
- დამხმარეს წვლილი შეაქვს საგაკვეთილო პროცესში და პერიოდულად პასუხისმგებლობას იღებს გაკვეთილზე;
- ერთი მასწავლებელი ასწავლის, ხოლო მეორე პროცესს აკვირდება;
- ორივე ერთად გეგმავს გაკვეთილს, ამზადებს მასალებს და იზიარებს სწავლების პროცესს.

საშუალო სკოლების კონტექსტში, ძირითადად, საგნის მასწავლებელი არის მთავარი პირი, რომელიც მართავს დისციპლინას, წარუდგენს მასალას ჯგუფს, ახდენს რესუსებისა და მასალების ორგანიზებას და ზოგადად განსაზღვრავს კლასში

გადაადგილებისა და ხმაურის დასაშვებ ნორმებს. დამხმარე მოსწავლეს ეხმარება დავალების უფრო მცირე სეგმენტებად დაყოფაში, უხსნის და განუმარტავს მათ, აცნობს დამატებით აქტივობებსა და მასალებს, ილუსტრაციების გამოყენებით ცდილობს გააფართოვოს მოსწავლის წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

ტექნილოგიები სასწავლო გარემოში

მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებთან მიმართებაში, დიფერენცირება გულისხმობს ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას, რაც საშუალებას აძლევს ამ მოსწავლეებს იმუშაონ მათი თანატოლების ტემპში, მათთან ერთად დაასრულონ დავალებებზე მუშაობა და წარმოადგინონ სათანადო ფორმით. მაგ. ზოგიერთ ბავშვს შეუძლია ნორმალური ან დიდი შრიფტის გამოყენება, თუმცა ეს გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, რამდენადაც მათი ხელწერა იმდენად გაუგებარია, რომ ხშირად თავადაც ვერ არჩევენ საკუთარ ნაწერს. მიუხედავად აღნიშნულისა, მაღალ-ტექნოლოგიური დამხმარე აღჭურვილობის უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის მხოლოდ ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს. დამხმარე ელექტრონული გამადიდებელი ეკრანების გამოყენება ეხმარება ბავშვებს ტექსტის წაკითხვაში, თუმცა ის ვერ დაეხმარება მათ ვიზუალურ აღქმაზე დაფუძნებული ცნებების გააზრებაში.

ტექნოლოგია, ინდივიდუალური დახმარების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, თუმცა მისი სრულყოფილი მოხმარება გარკვეულ ცოდნას მოითხოვს. დეტალურად დამხმარე საშუალებებსა და მათ სასწავლო პროცესში გამოყენებას, გაეცნობით მოცემული გზამკვლევის შესაბამის თავში.

ნაბეჭდი ტექსტის მისაწვდომობა

ტექნოლოგია ეხმარება მხედველობის შეზღუდვის მქონე ბევრ ადამიანს ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში გადაყვანით. ისეთი მარტივი საშუალებები, როგორიცაა ხელში დასაჭერი ან მაგიდაზე დასამაგრებელი გამადიდებლები შეიძლება გამოყენებული იქნას ნაბეჭდ ტექსტთან, რუკებთან, გეგმებსა და დიაგრამებთან მუშაობისას. მხედველობის პერფერიული შეზღუდვის მქონე ბავშვებს, კითხვისას სიტყვის დანახვაში ეხმარება ე.წ. „შემავიწროებელი“.

დამხმარე ელექტრონული საკითხავი ეკრანი (CCTV) შედგენა კამერისაგან, მოძრავი ურიკისაგან, რომელზეც თავსდება წასაკითხი მასალა და მონიტორისაგან. ზოგიერთი სისტემა საშუალებას აძლევს კამერას, ფოკუსში დაიჭიროს შორს მანძილზე განთავსებულ ტექსტი, ტექსტის გადიდების მასშტაბი, განათება და კონტრასტი შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდის საჭიროების მიხედვით. ეს აღჭურვილობა ასევე შეიძლება მიუერთდეს საბეჭდ მოწყობილობას ან კომპიუტერის ეკრანს. სისტემა იძლევა ძალიან დიდი მასშტაბის გადიდების შესაძლებლობას,

თუმცა ის საკმაოდ ძვირადღირებულია და გადასატანად რთული, რაც ხშირად განაპირობებს მისი მომხმარებლის საერთო საკლასო სივრციდან იზოლირებას.

ნაბეჭდი მასალის მისაწვდომობას ასევე განაპირობებს ისეთი აღჭურვილობისა და მასალების გამოყენება, როგორიცაა გამადიდებელი ასლგადამღები, ფირზე ჩაწერილი მასალა, ტაქტილური დიაგრამები და ა.შ.

დასკვნა

წარმოდგენილ მასალაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მხედველობის შეზღუდვს მქონე ბავშვების სწავლების პროცესი გახდეს უფრო ეფექტური, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება და ასაკობრივი ჯგუფის ზოგდი კურიკულუმით სწავლა. გაცილებით პატარა ბავშვებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომუნიკაცია, სოციალური ინტერაქცია. ასევე შესაძლებელია ბავშვების სტიმულირება, რათა შეისწავლონ მათ გარშემო არსებული გარემო როგორც ვიზუალური, ასევე ფიზიკური გზით, განივითარონ თვალი-ხელის კოორდინაცია, ტაქტილური და მოტორული უნარები. ბავშვის მიერ გარემოს შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უკავია სივრცის აღქმაში, ენისა და კონცეპტუალურ განვითარებაში, თუმცა ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, როგორ უწყობენ ხელს მათ ხელს და როგორ ახდენენ გარემოს ორგანიზებას.

თუკი მიზნად დავისახავთ გამოვყოთ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლის განათლებასა და განვითარებაში, ეს აუცილებლად იქნება ენა. აქაც მნიშვნელოვანია სახლში და სასკოლო გარემოში შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ცნებების გაგებას და გააზრებას. ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი დავალებებისა და აქტივობების გამოყენება, როგორიცაა ყურადღების მიქცევა მსგავსებებსა და განსხვავებულობაზე, სიტყვების კატეგორიზაციაზე და განსაზღვრაზე. თუმცა დიალოგი ეს არის ძირთადი კონსტრუქტივისტული პროცესი, სადაც ორივე მხარეს აქვს აქტიური როლი. საკლასო ოთახის კონტექსტში, დიალოგებს უფრო კონკრეტული გამოყენება აქვს, თუმცა აქაც კი ენობრივი გარემო უნდა უზრუნველყოფდეს მეტ-ნაკლებ ჩართულობას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ მასალაში, მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთა სწავლების გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ისეთი აქტივობები, როგორიცაა კლასის ორგანიზება, წიგნიერების გარემოსა და სამუშაო პირობების შექმნა სარგებლობის მომტანია ზოგადად ყველა მოსწავლისათვის.

რა თქმა უნდა, სწავლების სხვადასხვა სტილის, აღჭურვილობისა და მასალების გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს თანატოლებთან ერთად, იმავე ტემპით შეასრულონ დავალებები, საჭიროებს სპეციალისტების გარკვეულ ჩართულობას და დახმარებას.

მითები და რეალობა მხედველობის დარღვევების შესახებ

მხედველობისა და მხედველობის დარღვევების შესახებ არასწორი შეხედულებები ხშრად ჩნდება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან გამოუცდელი მასწავლებლების ურთიერთობის შედეგად.

რატომ არ ატარებს ბავშვი სათვალეს, თუკი მას მხედველობის პრობლემა აქვს?

სათვალე ყოველთვის არ არის ეფექტური გამოსავალი მხედველობის გაუმჯობესებისათვის. თვალის ისეთ მდგომარეობას, რომელიც უკავშირდება ბადურის, ოპტიკური ნერვის ან მისი სხვა ნაწილის დაზიანებას, სათვალე ვერ შველის. სინათლის სხივის გარდატეხის პრობლემების დროს, როგორიცაა ახლომხედველობა (ჰოპერმეთროპია ან მიოპია) გარკვეული ეფექტი აქვს ოპტიკური საშუალებების - სათვალის, კონტაქტური ლინზების გამოყენებას, თუმცა რამდენადაც ამ ბავშვებს მხედველობის შეზღუდვა აქვთ, მათი მხედველობა „ნორმალურ“ სტანდარტს ვერასოდეს გაუტოლდება. ბავშვებს, რომელთაც ფოტოფობია (სინათლის შიში) აქვთ, შესაძლოა დაბურული სათვალე, ხოლო სხვა ბავშვებს სპეციალური ფილტრები დასჭირდეთ.

რამდენად მიზანშეწონილია ბავშვისათვის მხედველობითი აქტივობების შეზღუდვა? შესაძლებელია თუ არა არსებული მხედველობის დაკარგვა მისი გამოყენებით?

მხედველობის კონსერვაცია შეუძლებელია. ასე რომ, ყოველთვის ეცადეთ ბავშვმა გამოიყენოს არსებული მხედველობა, თუმცა ყურადღება მიაქციეთ იმ ნიშნებს, რომელიც მის გადაღლაზე მიუთითებს.

ბავშვები სხვადასხვა განათებას ანიჭებენ უპირატესობას - რატომ ხდება ეს?

დაბალი განათება თვალს ზიანს არ აყენებს. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ. ალბინიზმის დროს, ბავშვი თავს უფრო კომფორტულად დაბალი განათების პირობებში გრძნობს. თუმცა არიან ბავშვები, რომელთათვისაც უფრო მეტი შუქია საჭირო. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ინდივიდუალური სანათები, რომელთაც ხშირად მერხის განათებასაც უწოდებენ.

ამცირებს თუ არა ზოგადად მხედველობას, ცალ თვალში მხედველობის დაქვეითება 50 %-ით?

ცალ თვალში მხედველობის დაქვეითება ზოგადად ნიშნავს დაქვეითებულ

მხედველობას, თუმცა არა 50 %-ით (ანუ განახევრებას). არის საკითხები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას კლასში ადგილის სწორად შერჩევისას იმ მოსწავლისათვის, რომელსაც მონოკულარული მხედველობა აქვს. ბავშვები, რომელთაც კარგად მხედველ თვალში ნორმალური მხედველობა აქვთ, ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებული როგორც მხედველობის დაქვეითების მქონენი.

თუკი მოსწავლე რეგისტრირებულია როგორც ბრმა (უსინათლო). ნიშნავს ეს, რომ ის საერთოდ ვერ ხედავს?

ოფიციალურად, „ბრმად“ (უსინათლოდ) რეგისტირებული მოსახლეობის მხოლოდ 10%-ზე ნაკლები არის ტოტალურად ბრმა. ბევრს აქვს ნარჩენი მხედველობა, ან სინათლის და სიბნელის გარჩევის უნარი. „უსინათლოდ“ რეგისტრირებულ ბევრ ბავშვს შეუძლია ზოგიერთი აქტივობის დროს გამოიყენოს ნაბეჭდი ტექსტი (მისი სათანადოდ გადიდების ან დამხმარე მოწყობილობის საშუალებით) და ბრაილი სხვა აქტივობების დროს.

არის თუ არა სწორი მოსაზრება, რომ მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებს, სხვა ბავშვებზე მეტად აქვთ განვითარებული სხვა შეგრძნებები?

მხედველობის შეზღუდვა არ ნიშნავს სხვა შეგრძნებების (მაგ. სმენა ან შეხებით მგრძნობელობა) უფრო მეტად განვითარებას. ყურადღება ალბათ უფრო მეტად გავამახვილოთ იმ სტრატეგიებზე, რომელიც ამ შეგრძნებების განვითარებაზეა ფოკუსირებული. მაგ. სმენით სტრატეგიებს ძალიან დიდი ადგილი უკავია მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროგრამებში.

თუკი ბავშვი ატარებს სათვალეს ყოველთვის, ხომ არ გამოიწვევს ეს თვალის კუნთის მუშაობის შეწყვეტას?

სათვალის ან კონტაქტური ლინზების გამოყენება არ „აზარმაცებს“ თვალს, ხოლო მათი გამოუყენებლობით ბავშვი კარგავს მხედველობითი გზით მისაღებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამის შემოწმება ადვილად შეიძლება ოპტომეტრისტის (მხედველობის შემოწმების სპეციალისტი) დახმარებით.

სუსტად მხედველი მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები

შესავალი

სწავლა რთული, შრომატევადი პროცესია, როგორც მოსწავლისთვის ასევე მასწავლებლისთვის. სწავლის პროცესი მოითხოვს დიდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკური ძალისხმევას, სადაც აღქმის ორგანოებს (მხედველობა, სმენა, ტაქტილური შეგრძნებები) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. თანამედროვე სწავლების თეორიები გულისხმობენ მულტისენსორული სწავლების სისტემის გამოყენებას და ამ სისტემაში მხედველობას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესის მოწყობას, რადგან ამ ეტაპზე ბავშვებს უწევთ სწავლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დასწავლა, უვითარდებათ წვრილი მოტორიკის, თვალისა და ხელის კოორდინაციის, აზროვნების ბაზისური უნარ-ჩვევები. ამ უნარების განვითარებაზე დამოკიდებულია ბავშვის წარმატება სწავლა/განათლების მომდევნო საფეხურებზე.

ისმის კითხვა, იმ დროს როცა მხედველობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლის პროცესში, რა ხდება მაშინ, როდესაც ბავშვს აქვს დარღვევა მხედველობის სიტემაში? შესაძლებელია თუ არა ამ ბავშვის ჩართვა ზოგად სასწავლო პროცესში და თუ კი, როგორ, რა ფორმით? რა სახის დამხმარე აქტივობები, აღჭურვილობები შეიძლება დაჭირდეს სკოლას, რათა უზრუნველყოს მოსწავლე ყველა საჭირო მასალით. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები უფრო ხელმისაწვდომს ხდის სასწავლო მასალებს და მეთოდებს სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის. გახსოვდეთ, რომ თუ გაზრდით სასწავლო კურსის ხელმისაწვდომობას სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის, ეს მთელს კლასს გამოადგება.

მოკლე ისტორია

მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე სუსტად მხედველი მოსწავლეების განათლება ძირითადად აწყობილი იყო ბრმათა სწავლების სისტემაზე, მეტ წილად თუ არა სრულად, კითხვისას გამოიყენებოდა ბრაილის შრიფტი, გამეფებული იყო ტერმინი „არსებული მხედველობის შენარჩუნება“ ითვლებოდა, რომ თუ სუსტად მხედველი ადამიანი რაიმე ფორმით გამოიყენებდა მხედველობას სწავლაში (კითხვა წერა), შეიძლებოდა მომხდარიყო მხედველობის სრულად დაკარგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვალის დაძაბვა (კითხვა არის რთული პროცესი და მასში თვალს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება) გამოიწვევდა არსებული მხედველობის დაკარგვასაც. უმრავლეს შემთხვევაში, თუ სუსტად მხედველ მოსწავლეებს მოარგებენ სასწავლო მასალას (საკითხავი მასალის შრიფტის ზომას და ფორმას,

გამოიყენებენ სხვადასხვა გამადიდებელ საშუალებებს) მათ შესაძლებლობა ექნებათ ისწავლონ წერა-კითხვა და ზოგად სასწავლო პროცესში ჩაერთონ უფრო აქტიურად, ვიდრე მხოლოდ ბრაილის შრიფტის გამოყენებისას.

სუსტად მხედველი მოსწავლეების ძირითადი გამოწვევები სასწავლო პროცესში

იმისათვის, რომ სწორი და ადეკვატური დახმარება გაეწიოს სუსტად მხედველ მოსწავლეს, პირველ რიგში სწორი წარმოდგენა უნდა შეგვექმნას მხედველობის სისტემის ფუნქციონირებაზე. მხედველობის სისტემა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალ კომპონენტიანი სტრუქტურაა . იმისათვის, რომ ადამიანმა „დაინახოს“, აღიქვას რაიმე ობიექტი საჭიროა:

* ფერის აღქმა - გაარჩიოს სხვადასხვა ფერის ობიექტები ან სხვადასხვა ფერის საზღვრები ერთ ობიექტზე;
* ფორმის აღქმა - ამოიცნოს სხვადასხვა საგანი მათი ფორმის მიხედვით;
* მოძრაობის აღქმა - უნარი ამოიცნოს მოძრავი ობიექტი.

თვალით აღქმის პროცესში ხორციელდება შემდეგი სახის აქტივობები:

- ფიქსაცია - მზერის ფიქსირება მხედველობის ობიექტზე, მაგ. კითხვის დროს ასოებზე და სიტყვებზე;
- თვალის საკადური მოძრაობა - თვალის კაკლების ერთმანეთთან შეთანხმებული ნახტომისებური მოძრაობა, რომელიც უზრუნველყოფს მზერის გადატანას სივრცის ერთი წერტილიდან მეორეზე;
- აკომოდაცია - ბროლის ფორმის ცვლილება ობიექტის დაცილების შესაბამისად;
- სხივის გარდატეხა - ობიექტიდან არეკლილ სხივის გარდატეხა რქოვანასა და ბროლის საშუალებით და ფოკუსირება ფოსოზე გამოსახულების სიცხადისთვის;
- მხედველობის სიმახვილე - თვალის მიერ უმცირესი დეტალების მკაფიოდ გარჩევის უნარი;
- მხედველობის ველი - სივრცე, რომლის ერთბაშად დანახვა არის შესაძლებელი თვალის მოძრაობის გარეშე.

მხედველობის დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროს და იწვევდეს სხვადასხვა სახის სირთულეს. ზოგადად სუსტად მხედველი ადამიანის სირთულეები შესაძლებელია დაჯგუფდეს შემდეგ არეებად:

- ორიენტაცია და მობილობა;
- ყოველდღიური „თვითმოვლის“/თვითმომსახურების აქტივობების განხორციელება;
- კომუნიკაცია, ურთიერთობები;
- სწავლა/განათლების პროცესი.

სუსტად მხედველი მოსწავლეების განათლება უნდა მოიცავდეს ყველა არეს, რათა მოხდეს პიროვნების სრულფასოვანი განვითარება და მან შეეძლოს სკოლაში მიღებული ცოდნის გადატანა ყოველდღიურ აქტივობებში. ამისათვის აუცილებელია მხედველობასთან დაკავშირებული სირთულეების დროული

იდენტიფიცირება, ადეკვატური სასწავლო გეგმის შემუშავება, ინდივიდუალური პროგრამის განხორციელება.

სასწავლო გარემო საკლასო ოთახში პირობითად შეიძლება დავყოთ რამდენიმე მიმართულებად.

ამ თავში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ყველა სფერო, მაგრამ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია დავიწყოთ შეფასებით.

შეფასება

სუსტად მხედველი მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებლია ოფთალმოლოგის კონსულტაცია. შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია ჩართული სპეციალისტების როლების და პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება. შეფასება პირობითად შეიძება დავყოთ ფორმალურ და არაფორმალურ ფორმებად. ფორმალურ შეფასებაში იგულისხმება სამედიცინო კუთხით მხედველობის შეფასება, რომლის დროსაც მიმდინარეობს მხედველობის სისტემის ანატომიური და ფუნქციური შეფასება სამედიცინო პერსონალის მიერ. ამ შეფასების მიზანია დადგინდეს დარღვევის ფორმა და გატარდეს შესაბამისი აქტივობები მხედველობის მაქსიმალურად გაუმჯობესებისთვის.

არაფორმალური შეფასება - როგორც გამოცდილება აჩვენებს, ხშირ შემთხვევაში საკმარისი არაა მხოლოდ ფორმალური „სტანდარტული“ ტესტებით მხედველობის დიაგნოსტირება. გარემო ყოველთვის ერთფეროვანი არაა და შესაბამისად ყოველთვის იცვლება განათების ფორმები და ინტენსივობა, შესაძლებელია მხედველობის სიმახვილის გაზომვისას მაქსიმალური განათება 600 ლუქს შეადგენდეს და ადამიანს გაუჭირდეს თავისი „მაქსიმალური“ შედეგის გამოვლენა და პირიქით,შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მეტი განათების შემთხვევაში, მაგალითად ეზოში, დღის შუქზე, პიროვნებამ გამოავლინოს მხედველობის სიმახვილის მაღალი მაჩვენებელი. არაფორმალური შეფასება არის დამხმარე საშუალება, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება შეიქმნას სრული სურათი სუსტად მხედველი პიროვნების მხედველობასთან დაკავშირებით.

მხედველობის ფუნქციური შეფასება - ეს არის შეფასების სისტემა, რომლის დროსაც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას თუ როგორ იყენებს პირი მხედველობას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა „ბუნებრივი“ სტრატეგიები აქვს მას სირთულეების გადალახვისთვის. სასკოლო გარემო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არე, სადაც სუსტად მხედველ მოსწავლეს უწევს ფუნქციონირება. სკოლას ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს არის ადგილი, სადაც პიროვნებას უწევს ხანგრძლივი დროით ფუნქციონირება, ახალი ინფორმაციის, ცოდნის მიღება, კომუნიკაციის ახალი ურთიერთობების დამყარების და შესაბამისად, ეს არე მაქსიმალურად ადაპტირებული უნდა იყოს, რათა პიროვნებას გაუადვილდეს ფუნქციონირება.

მხედველობის ფუნქციური შეფასება გულისხმობს მხედველობის სისტემის შეფასებას „მუშაობის“ პროცესში, როდესაც ადამიანს უწევს სხვადასხვა დავალების შესრულება მრავალფეროვან გარემოში, სადაც ხშირად იცვლება განათება, საგნების განლაგება ფერი და სხვა.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო მნიშვნელოვანია ყველა ფორმის შეფასების გამოყენება, რათა შეიქმნას სრული სურათი, გამოვლინდეს შესაძლებლობების მაქსიმალური რაოდენობა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ეფექტური სასწავლო გეგმის შედგენას.

სკოლის მასწავლებელს ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება სუსტად მხედველი მოსწავლეების შეფასების პროცესში. ის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სრული სურათის შექმნის პროცესში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მასწავლებელი შეიძლება იყოს პირველი პირი .რომელმაც შეიძლება „შეამჩნიოს“ სირთულე მოსწავლის მხედველობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირება. სწავლა, ეს არის პროცესი, როდესაც მოსწავლემ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს; შესაბამისად, ეს არის პროცესი, რომელზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს თუ რა სირთულეები ექმნება მოსწავლეს და რატომ. ასევე შესაძლებელია პირი, რომელსაც აქვს სირთულეები მხედველობასთან დაკავშირებით, ვერ ხვდებოდეს ამას, რადგან ის დაბადებიდან ასე აღიქვამს სამყაროს და არ აქვს „სწორი“ გამოცდილება. მას არ შექმნია სირთულეები მხედველობასთან დაკავშრებით იქამდე, სანამ არ დაიწყო კითხვის და ანგარიშის სწავლა. მასწავლებელს უნდა გაჩნდეს სირთულის დროულად აღმოჩენის უნარი. ქვემოთ ჩამოთვლილია ის არეები და „ინდიკატორები“, რაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეს აღენიშნება გარკვეული სირთულეები.

საკლასო ოთახში ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის ქცევას, რომელიც შესაძლოა მიგვანიშნებდეს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობას. აღნიშნული ქცევა შესალებელია იყოს:

- თავის პოზა;
- დისტანცია (მაგალითად, დისტანცია წიგნსა და მოსწავლის თავს შრის);
- თალების მოძრაობა დავალებაზე მუშობისას;
- სხეულის (თავის) დახრის კუთხე დავალებასთან მიმართებაში;
- მზერის ფიქსაცია დავალებაზე (ხანგრძლივობა);
- თვალების სიელმე;
- თვალების მოჭუტვა (სიხშირე და სიძლიერე);
- სხეულის მთლიანი პოზა;
- სხეულის მოქმედებები მოძრაობისას;
- დაღლა (დავალებაზე მუშობისას დაღლის სიხშირე);
- სირთულეები საგნების მოძიებაში: საკლასო სივრცეში მოსწავლეს უჭირს საჭირო ინვენტარის, მასალი მოძიება;
- სირთულეები საგნების იდენტიფიკაციაში. უჭირს საგნების

ერთმანეთისგან გარჩევა, ერთი ზომის ფორმის საგნების გარჩევა, მაგ. ფანქარი და პასტა ან სხვა;

- სირთულეები საგნების კუთხეების დანახვის და ფიგურა/ფონის გამორჩევაში;
- გაწვდილი ხელის აცილება საგნების აღებისას;
- საგნების გაქრობა ვიზუალური ველიდან (მხედველობის არე);
- წაბორძიკება, წაქცევა ან საგნებზე დაჯახება მოძრაობისას ან ოთახში გადაადგილებისას;
- დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვის სირთულე;
- კითხვის შენელებული სიჩქარე. მოსწავლე კითხულობს თანატოლებზე გაცილებით ნელა;
- შემცირებული კითხვის ხანგრძლივობა. მოსწავლე ხშირად ჩერდება, არ ამთავრებს ტექსტს ბოლომდე;
- ხელნაწერი ტექსტის გარჩევის სირთულე;
- დაფაზე ან პროექტორზე დაწერილი ტექსტის გარჩევის სირთულე;
- წიგნებში ან პრესაში სიმბოლოების, ნიშნების ან ციფრების გარჩევის სირთულე;
- საგნებისხანგრძლივადდანახვის(დათვალიერების)არათანმიმდევრულობა (არასტაბილური მხედველობა).

მასწავლებელმა უნდა მოახერხოს და შეაგროვოს (დააკვირდეს, ჩაიწეროს) მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მოსწავლის ქცევასა და გარემო ცვლილებებზე რეაგირებაზე. პირველ რიგში ეს დაგვეხმარება დავაზუსტოდ სწავლის პროცესში აღმოცენებული პრობლემა ხომ არ არის გამოწვეული მხედველობასთან დაკავშირებული ფაქტორებით. მეორე- თუ მოსწავლე სუსტად მხედველია, დაგვეხმარება გავიგოთ რა სახის სტრატეგიებს იყენებს მოსწავლე ბუნებრივად, რათა დაძლიოს პრობლემები და გარემოს ადაპტირებაში რომელ მიმართულებებს უნდა მიექცეს ყურადღება. მაგალითად, შესაძლებელია დაკვირვებამ აჩვენოს ,რომ მოსწავლე ახერხებს ტექსტის წაკითხვას ისე, რომ მასალა მიაქვს თავთან ახლოს. ამ დროს წელში არის ძალიან მოხრილი, მხრები აქვს აწეული და დაძაბული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიგებთ იმ ოპტიმალურ დისტანციას მასალასა და თვალებს შორის, რომლის დაცვის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია წაკითხვა, მაგრამ ამავდროულად ვხვდებით, რომ პოზა, რომელსაც ის იღებს, არის საფრთხის შემცველი ხერხემალის არასწორი განვითარებისთვის და ასევე დამღლელია მოსწავლისთვის. შესაბამისად, როდესაც დაიგეგმება კითხვისთვის დამხმარე აქტივობები, მათში აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. კითხვისთვის საჭირო დისტანციის, სკამის ან მერხის მორგება მოხდება ისე, რომ მინიმუმამდე დავიდეს ხერხემლის არასწორი განვითარება;
2. დადგინდება დავალებების შესრულების ოპტიმალური დრო. მოსწავლეს არ დაეღლება მხრები და ხელები და ამავდროულად იქნება წარმატებული, რადგან

საკითხავ დავალებას დროზე გაართმევს თავს და თან არ მოხდება მისი სხეულის გადაღლა.

ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებზე დაკვირვება ასევე დაეხმარება სხვა სპეციალისტებსაც სწორად დაგეგმონ სუსტად მხედველი მოსწავლის სასწავლო პროცესი. მაგალითად, მშობლებს სახლში საყოფაცხოვრებო და სასწავლო გარემოს ორგანიზებისთვის.

გარემოს მოწყობა

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. აუცილებელია სწორად განისაზღვროს მათი შესაძლებლობები და საჭიროებები, რათა ისინი ეფექტურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და არაფერმა აგრძნობინოთ საკუთარი განსხვავებულობა. მათ უნდა შეეძლოთ ყველა იმ აქტივობის შესრულება, რასაც ასრულებენ მათი ამხანაგები, იქნება ეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობები, თუ სხვა შემეცნებითი, ან გასართობი ღონისძიებები. სკოლამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სსსმ ბავშვების ყველა აქტივობაში ჩართვას.

ამ საკითხის გადასაჭრელად გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გარემოს მოწყობა. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვისაუბრებთ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ გარემო უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლისათვის. საჭიროა, იმგვარად ადაპტირებული გარემოს მოწყობა, რომ ბავშვმა შეძლოს დამოუკიდებლად, თავისუფლად და უსაფრთხოდ გადაადგილება სკოლის შენობაში თუ მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აკმაყოფილებს, თუ არა თქვენი სკოლა ყველა იმ მოთხოვნას, რაც არის კონკრეტული მოსწავლისათვის საჭირო, ამისათვის ბევრ კითხვაზე მოგვიწევს

პასუხის გაცემა. შეუძლია თუ არა ბავშვს უსაფრთხოდ მივიდეს შენობის შესასვლელთან? შეუძლია თუ არა მისთვის საჭირო ყველა ოთახის მოძებნა, იქნება ეს საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, სასადილო, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, თუ სხვა ადგილი, დამოუკიდებლად? არის თუ არა სკოლის ეზო და სპორტული მოედანი მისთვის უსაფრთხოდ აღჭურვილი და შეუძლია თუ არა ბავშვს ამ აღჭურვილობის გამოყენება? შეუძლია თუ არა სწრაფად დატოვოს შენობა საგანგებო მდგომარეობის /მიწისძვრა, ხანძარი და ა.შ/. დროს?

რომ დავაკმაყოფილოთ ყველა ეს მოთხოვნა, საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე საკითხი: განათება, კონტრასტები, აკუსტიკა, ნივთების განლაგება, სასწავლო მასალის ადაპტირება და ა.შ. ამ თავში მოთხრობილია, თუ როგორ უნდა მოახერხოს მასწავლებელმა გარემოს სწორად ადაპტირება. რა უნდა გაითვალისწინოს ამისათვის და რა მასალა ან მეთოდი შეიძლება გამოიყენოს, რათა გაუადვილდეს და მაქსიმალურად კარგად გაართვას თავი ამ საკითხს. ჩვენ შევეცადეთ, ამ თავში შეგვეტანა ყველა ის სტრატეგია და რეკომენდაცია, რაც დაეხმარება მასწავლებელს გარემოს სწორად მოწყობაში, ვინაიდან ეს ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ბავშვის სრულფასოვანი ჩართვისათვის.

გარემო თუ არ იქნება სწორად ადაპტირებული, მოსწავლე ვერ ჩაერთვება ყველა დაგეგმილ აქტივობასა თუ ღონისძიებაში და შესაბამისად, ვერ მიიღებს ხარისხიან განათლებას. თქვენს მიერვე სწორად ადაპტირებული გარემო, თავადვე გაგიადვილებთ სასწავლო პროცესის წარმართვას. მიღებული დადებითი შედეგი კი საგრძნობლად აგიმაღლებთ პროფესიონალიზმსა და მოტივაციას.

უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მისაცემად, პირველ რიგში საჭიროა მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა. ამისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია გარემოს სწორად მოწყობა. უნდა დავრწმუნდეთ, რომ სკოლა და საკლასო ოთახი მოსახერხებლად და უსაფრთხოდ არის მოწყობილი, უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებს შეუძლიათ ისევე სწრაფად გადაადგილება და ყველა საჭირო ადგილისა თუ ნივთის გამოყენება, როგორც მათ თანაკლასელებს.

უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთათვის გარემოს მოწყობისას უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის დეტალი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს, ან პირიქით, ხელი შეუშალოს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვას და სივრცეში ორიენტირებას. ასეთი შეიძლება იყოს რამდენიმე ფაქტორი: აკუსტიკა, განათება, კონტრასტები, ნივთების განლაგება, მოსწავლის პოზიცია და სხვა. სწორად მოწყობილი გარემო დაეხმარება როგორც უსინათლო ან მცირემხედველ მოსწავლეს, ასევე მასწავლებელსა და თანაკლასელებს, მოხერხებული სამუშაო ატმოსფეროს შექმნაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან და დიდ სირთულეებთან. ხშირად მხოლოდ მცირე ძალისხმევაა საჭირო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

პირველ რიგში აუცილებელია ვიცოდეთ რა საჭიროებები გააჩნია მოსწავლეს.

უნდა დავაზუსტოთ მისი მხედველობითი შესაძლებლობები: მხედველობის ხარისხი, დარღვევის თავისებურებები, ასევე თუ რამდენად იყენებს მოსწავლე ნარჩენ მხედველობას მისი არსებობის შემთხვევაში.

გამოიყოფა სამი კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის მხედველობის სიმახვილეს და იმას, თუ როგორ შეუძლია მას ამ მხედველობის გამოყენება. ეს კატეგორიებია: მცირემხედველი, ფუნქციური უსინათლო და უსინათლო.

მცირემხედველი მოსწავლეები მაქსიმალურად იყენებენ ნარჩენ მხედველობას. მათ აუცილებლად სჭირდებათ გადიდებული შრიფტით ნაბეჭდი მასალა, კონტრასტული ფერები, სწორი განათება ან გამადიდებლები. ისინი მუშაობენ შედარებით ნელა და შეიძლება შეექმნათ აქედან გამოწვეული სიძნელეები.

ფუნქციური უსინათლოები ძირითადად იყენებენ ბრაილის შრიფტს. მათ აქვთ იმდენი მხედველობა, რომ შეუძლიათ დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ გადაადგილდნენ საკლასო ოთახში.

უსინათლოობაში შედის თითქმის უსინათლო და ტოტალური უსინათლო. მათ შეიძლება ჰქონდეთ უმნიშვნელო მხედველობა, მაგალითად ხედავდნენ სინათლეს, ან ტოტალური უსინათლოს შემთხვევაში, საერთოდ არ ჰქონდეთ მხედველობა. ისინი დამოკიდებულნი არიან სხვა შეგრძნებებზე.

მხედველობის ხარისხისა და ფუნქციური უნარების შესაბამისად, განსხვავებულია მათი საჭიროებებიც. მცირემხედველი მოსწავლეების შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ, რა მანძილიდან და როგორი განათებით რისი დანახვა შეუძლია მოსწავლეს, რამდენად ეხმარება მას შრიფტის გაზრდა და კონტრასტები, ან რა დამხმარე საშუალებებს იყენებს.

მოსწავლის შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ როგორია მისი მხედველობის ხარისხი; შეუძლია თუ არა სინათლის, ჩრდილის, მკვეთრი კონტრასტების აღქმა; რამდენად ეფექტურად იყენებს აკუსტიკურ, ტაქტილურ და სხვა შეგრძნებებით მიღებულ ინფორმაციას; სარგებლობს თუ არა ბრაილის შრიფტით და სხვა.

მხედველობის ხარისხის შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის შემდეგ, მასწავლებელმა თავად უნდა იზრუნოს მოსწავლისათვის საჭირო გარემოს შექმნაზე საკლასო ოთახში და მის მაქსიმალურად ჩართვაზე საგაკვეთილო პროცესში. თავდაპირველად მან უნდა დაარეგულიროს უსინათლო ან მცირემხედველი მოსწავლისა და მისი თანაკლასელების ურთიერთობები. ვინაიდან, თავიდან მოსწავლეს გაუჭირდება ახმის მიხედვით თანაკლასელების ამოცნობა, მასწავლებელმა უნდა მიმართოს ყველას სახელებით. მან უნდა აღწეროს თითოეული მოსწავლის აქტივობა და დაასახელოს, რომელი მოსწავლე რას აკეთებს. ხმამაღლა უნდა თქვას რას წერს დაფაზე და მაქსიმალურად უნდა აღწეროს ვერბალურად ყველა ის ილუსტრაცია, რასაც გამოიყენებს კლასში. უნდა იდგეს სახით მოსწავლეებისკენ და ილაპარაკოს გარკვევით. თუ ის დადგება ზურგით და ილაპარაკებს ჩუმად, უსინათლო ან მცირემხედველი მოსწავლისათვის ძნელად აღსაქმელი იქნება მისი ნათქვამი.

გასათვალისწინებელია მოსწავლის სხეულის პოზიცია. მცირემხედველი

მოსწავლე უნდა იჯდეს ისე, რომ მისი სხეულის ჩრდილი არ ეცემოდეს მერხს. მისი ხედვის კუთხე არ უნდა იყოს მახვილი დაფის მიმართ. ასევე დაფის ზედაპირი არ უნდა ირეკლავდეს სინათლეს და მისი ყველა კიდე თანაბრად უნდა ჩანდეს მოსწავლის ადგილიდან. ამ შემთხვევისთვის გამოდგება წინა და შუა მერხი.

უსინათლო მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია ეკავოს ისეთი პოზიცია, რომ კარგად ესმოდეს მასწავლებლის და საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეს კლასისკენ შემობრუნების საშუალება. ამისათვის გამოდგება წინა გვერდითი მერხი.სასურველია, ის მოცილებული იყოს ფანჯარას, რათა ხელი არ შეუშალოს შემოჭრილმა ხმაურმა. ორივე, უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლისათვის, მნიშვნელოვანია წინა მერხზე, დაფასთან და მასწავლებელთან ახლოს ჯდომა. ამგვარად მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლის ისე განთავსებაზე საკლასო ოთახში, რომ მან მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი. ასევე თქვენ უნდა შეძლოთ ზედმეტი ხმაურის აცილება მოსწავლისათვის.

აუცილებელია უსინათლო მოსწავლეს ჰქონდეს ისეთი მერხი, საიდანაც ადვილად არ ჩამოუვარდება ნივთები. შესაძლოა, მან საჭირო ნივთის ხელით მოძებნისას, უნებლიედ ხელი გაკრას და ჩამოაგდოს მერხზე მოთავსებული სასწავლო საგნები. ამიტომ, მერხს უნდა ჰქონდეს შემაღლებული კიდეები. ამ პრობლემის გადაჭრა თქვენ თავადაც შეგიძლიათ მერხზე რაიმე ფირფიტების დაკრობით. ასევე მცირემხედველი მოსწავლისათვის აუცილებელია მერხზე დასადგამი წიგნის დასადები, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს წიგნის თვალთან მიახლოება. უსინათლო მოსწავლისათვის გასათვალისწინებელია ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი მასალის, ტაქტილური (შეხებითი) მაკეტებისა თუ თვალსაჩინოებების მოცულობა და სასურველია ჰქონდეს მოზრდილი მერხი, რათა უფრო კომფორტულად მოახერხოს მასალის გამოყენება.

მხედველობის დაზიანების თავისებურებიდან გამომდინარე, მცირემხედველ მოსწავლეს შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებული განათება. მას, ვისაც კონტრასტი ეხმარება გამოსახულების აღქმაში, დასჭირდება ჭარბი სინათლე, რათა უკეთ დაინახოს ხელოვნური განათების პირობებში, ვიდრე ბუნებრივ სინათლეზე. შესაძლებელია პირიქით, მოსწავლეს ხელს უშლიდეს ჭარბი, ან არეკლილი სინათლე. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მისი დაცვა არახელსაყრელი განათებისგან. ზოგჯერ ერთსა და იმავე ადამიანს სხვადასხვა დროს განსხვავებული განათება ესაჭიროება. ამიტომ მას თავად უნდა მიეცეს განათების რეგულირების საშუალება. სასურველია, გამოვიყენოთ რეგულირებადი სანათი, ფარდა-ჟალუზი და სხვა. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლისათვის შესაბამისი განათება. ამისათვის შეიძლება არც იყოს საჭირო რაიმე დამატებითი ხელსაწყო და მხოლოდ მოსწავლის არსებულ სინათლესთან სწორად განთავსება იყოს საკმარისი.

მოსწავლეს, რომელსაც აქვს ნარჩენი მხედველობა, დაეხმარება ოთახში კონტრასტების არსებობა. თუკი მას უჭირს რბილი შუქ-ჩრდილის აღქმა, უფრო თვალსაჩინო იქნება, მკვეთრად განსხვავებული ტონალობები კონტრასტების შესაქმნელად. გამოიყენება მკვეთრად განსხვავებული ინტენსივობის ფერები,

ასევე აქრომატული (თეთრი და შავი) ფერები და მათი უკიდურესად ნათელი და მუქი ტონები. არაეფექტურია შავისა და წითლის და მათი მსგავსი კომბინაციების გამოყენება.

კონტრასტებით შეიძლება გამოიყოს საკლასო ოთახის ზონები, კედლის კუთხეები, კარისა და ფანჯრის სახელურები. კონტრასტული მაჩვენებლები კეთდება საფეხურების კიდეებზე, შემაღლებული ან ჩაწეული ადგილების მოსანიშნად, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს დროულად შეამჩნიოს ისინი და უსაფრთხოდ გადაადგილდეს.

კონტრასტებს ასევე ვიყენებთ გზის მაჩვენებლების, სხვადასხვა აბრებისა და მანიშნებლების დასამზადებლად. მასწავლებლები ყოველდღიურად იყენებენ ამ მეთოდს სხვადასხვა თვალსაჩინოებებზე მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისათვის.

სასურველია შეთანხმებული იყოს სასწავლო სივრცეში კონტრასტის გამოყენების ტიპი. კლასი შეიძლება შეთანხმდეს მუქ დაფაზე თეთრი ცარცით წერაზე, ან პირიქით. ინდივიდუალურად უნდა დაყენდეს მოსწავლის კომპიუტერის ეკრანზე ფუნქციები ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, მონიტორის მუქ ფონზე გამოჩნდეს ღია ფერის ასოები, ან პირიქით. ასევე მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება თვითონ შეარჩიოს სამუშაო ფურცლისა და კალმის ფერი.

კონტრასტების გამოყენებისას საჭიროა დავიცვათ ზომიერება, რათა გარემო არ გადაიტვირთოს და არ გახდეს უგემოვნო და გამაღიზიანებელი.

უსინათლო მოსწავლისათვის აბრებსა და სხვა მანიშნებლებზე კონტრასტების ნაცვლად საჭიროა ბრაილის შრიფტის, ან სხვა ტაქტილური ნიშნების გაკეთება. მნიშვნელოვანია, სკოლის შენობაში ყველა ოთახის კარს ჰქონდეს ბრაილის შრიფტით წარწერა. სასურველია, ორივე, უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლისათვის ერთდროულად იყოს კონტრასტული და ტაქტილური ნიშნები. საკლასო ოთახების კარებზე წარწერები უნდა გაკეთდეს კარის სახელურიდან ზემოთ, არაუმეტეს 30 სმ-ისა, 24-იანი შრიფტით.

უსინათლო მოსწავლე კარგად იყენებს აკუსტიკურ ინფორმაციას. ამისათვის მას შესაბამისი გარემო სჭირდება. როგორც ცნობილია, რბილი ავეჯის, ფარდებისა და ხალიჩების არსებობა ახშობს ხმაურს და უკეთეს პირობას ქმნის ორიენტირებისათვის. დიდ, გაშლილ და ცარიელ ოთახში, ბგერა მრავალგზის ირეკლება და გარდატყდება კედლებსა და ბრტყელ ზედაპირზე. შესაბამისად, ასეთ სივრცეში რთულდება გადაადგილება. მასწავლებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს საკლასო ოთახში წესრიგი, რათა უწესრიგოდ მიმობნეულმა საგნებმა ბარიერი არ შეუქმნას უსინათლო მოსწავლეს გადაადგილებაში.

ვინაიდან უსინათლო მოსწავლე სწავლობს კეთებით და გამოცდილებით, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტაქტილური მასალა გარემოს შესასწავლად და აღსაქმელად. ამიტომ, მასწავლებელმა უნდა აჩვენოს უსინათლო მოსწავლეს ყველა ის ნივთი, რისი ჩვენებაც შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში, იქნება ეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, ხილი, ბოსტნეული

თუ სხვა. ასევე ის უნდა შეეცადოს მაქსიმალურად ბუნებრივთან მიახლოებული მასალით დამზადებული თვალსაჩინოებების გამოყენებას. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემის გათვალისწინებით, ხშირად მოუწევს ხელით დაამზადოს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება.

აუცილებელია მასწავლებელმა გამოიყენოს ტაქტილური რუკები, ნახაზები და მაკეტები.

მასწავლებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს ყველა სასწავლო მასალის ბრაილის შრიფტით დამზადება. მოსწავლეს უნდა მიეცეს ხმოვანი მასალის გამოყენების საშუალება.

მცირემხედველ მოსწავლეს უნდა მიეცეს სურათის საკუთარ მერხზე კარგად დათვალიერების უფლება.

მასწავლებელმა უნდა მისცეს უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებს მეტი დრო დავალების შესასრულებლად. საშინაო დავალების მიცემის შემთხვევაში გაითვალისწინოს მათი წერისა და კითხვის ტემპი და ამის მიხედვით შეურჩიოს დავალების მოცულობა.

მასწავლებელი არის სასწავლო პროცესის წარმმართველი და მას აქვს თითოეული მოსწავლისათვის გარემოს სწორად ადაპტირების პასუხისმგებლობა. ასევე მან უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა, მოსწავლის მაქსიმალურად ჩართვა და თანაკლასელთა შორის ურთიერთობის დარეგულირება.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმარება ხარისხიანი განათლების მიღებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის ჩამოყალიბებაში.

კლასის ფიზიკური გარემო

სუსტად მხედველი მოსწავლის შეფასების შემდეგ, მას მერე, რაც მოხდება მისი ძლიერი მხარეების მხედველობის ფუნქციური გამოყენების სპეციფიკაციებში გარკვევა, მნიშვნელოვანია განხორციელდეს საკლასო გარემოს ადაპტაცია. უმრავლეს შემთხვევაში ყურადღება ექცევა განათების სისტემას, იმას თუ როგორია ბუნებრივი და ხელოვნური განათების დონე ოთახში, ხომ არ ხდება მისი მკვეთი ცვლილება სასწავლო დღის განმავლობაში. შესაძლებელია თუ არა დაემატოს დამატებითი განათების საშუალებები, მერხის სანათი სხვა. არის თუ არა შესაძლებელი მოხდეს განათების სისტემის რეგულირება, ბუნებრივი განათების შემთხვევაში სხვადასხვა სისქის ფარდები, ხელოვნური განათების შემთხვევაში სანათის სიკაშკაშის მაკონტროლებელი სპეციალური ჩამრთველის დაყენება. სასწავლო ოთახში განათების ფონის შეცვლის შესაძლებლობა ზრდის მოსწავლის წარმატებული აკადემიური და ფსიქოსოციალური განვითარების ალბათობას. სასურველია მოხდეს ოთახის კარის და ფანჯრების გამორჩევა საერთო ფონიდან.

თუ არის შესაძლებლობა, სასურველია, იმ საკლასო ოთახების წინ, რომლითაც ხშირად სარგებლობს უსინათლო ან მცირემხედველი მოსწავლე, გავაკეთოთ,

როგორც კონტრასტული ფერის ნიშნული, ასევე რელიეფური მიმანიშნებლები კედელზე ან უფრო სასურველია, იატაკზე. იატაკს ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება უსინათლო ბავშვისთვის, რადგან იგი ფეხით შეიგრძნობს განსხვავებას და არ მოუწევს კედელ-კედელ ხელის გაყოლებით სიარული. რელიეფურ მიმანიშნებლებად შეგვიძლია გამოვიყენოთ სქელი ბაწარი, რომელსაც დავგრეხთ, დავდებთ იატაკზე და დავამაგრებთ ისე, რომ არ იმოძრაოს, არ ქონდეს აწეული ადგილები, ან დავაგოთ რბილი საფენი. არსებობს სპეციალური ფილები, სხვადასხვა რელიეფური მიმანიშნებლები, მაგრამ მათი შეძენა ფინანსებთანაა დაკავშირებული და შესაძლოა, მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციის ჩარევით ვერ მოხერხდეს მათი შეძენა, ამიტომ ბაწრის გამოყენება მარტივი და იაფი გზაა. ასევე შესაძლებელია, იატაკზე დავაწებოთ წვრილი კენჭები, რომლებიც საკლასო ოთახის შესასვლელის წინა ადგილს მოიცავს. იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ კიბეების დასაწყისთან და დასასრულთან. რასაკვირველია, მოსწავლე უნდა გავაფრთხილოთ მათი არსებობის შესახებ, რათა იცოდეს, რომელი მიმანიშნებელი რას ემსახურება.

თუ მოსწავლე მცირემხედველია, მაშინ შეგვიძლია საკლასო ოთახის კარზე, სახელურის გარშემო შემოვავლოთ სამიზნე, ყვითელი ფერის ლენტი ან შევღებოთ ყვითლად. ამგვარ სახელურს მოსწავლე უფრო ადვილად შეამჩნევს. აუცილებელია სახელური და კარი განსხვავდებოდნენ კონტრასტული ფერებით. ასევე, კარის სახელურიდან ზემოთ, არაუმეტეს 30 სმ-ში უნდა გაკეთდეს წარწერა, როგორც გადიდებული ბრტყელი შრიფტით, ასევე ბრაილით. სტანდარტულად, შრიფტის ზომა დიდდება 24-მდე, თეთრ ფონზე შავად, მის ქვეშ კი შეგვიძლია გავაკეთოთ ბრაილის წარწერა ''მესამე კლასი'', ''ბუნების კაბინეტი'', ''გოგონების საპირფარეშო''...

თუ თქვენს სკოლაში მხოლოდ ერთი მხედველობა დაქვეითებული მოსწავლეა, შეგიძლიათ უშუალოდ მის მხედველობას მოარგოთ წარწერები, მხედველობის ხარისხიდან და ტიპიდან გამომდინარე, შესაძლოა რომელიმე მოსწავლეს დასჭირდეს 36-იანი ან უფრო დიდი ზომის შრიფტი, სხვისთვის კი 12-იანიც საკმარისი იყოს. ზოგიერთ მხედველობა დაქვეითებულ ადამიანს ურჩევნია წაიკითხოს შავ ფონზე ყვითელი ასოებით, სხვები შავზე თეთრს ან თეთრზე შავს ამჯობინებენ და აშ.

სკოლის დერეფანი უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ უზრუნველყოს სუსტად მხედველი მოსწავლის უსაფრთხო გადაადგილება. უნდა არსებობდეს სხვადასხვა სახის მიმნიშნებლები. მაგალითად სურათზე გამოყოფილია სხვადასხვა სახის მიმნიშნებლები და დამხმარე საშუალებები: საკლასო კარების სახელური არის შავი მის გარშემო არის ასევე კონტრასტული შეფერილობა რათა მოსწავლემ ის ადვილად იპოვოს. კედლები შეღებილია რამდენიმე ფერში, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ კედლის და კარის გარჩევა. ყველა კედელს მიყვება სახელური, რათა მოსწავლე უსაფრთხოდ გაუყვეს კორიდორს. რეკომენდირებულია შეიქმნას სუსტად მხედველი მოსწავლისთვის „კლასში გადაადგილების რუქა". მოსწავლეს უნდა დავათვალიერებინოთ მთელი სასწავლო ოთახი, მერხების და დაფის სხვადასხვა დამხმარე საშუალებების განლაგების ადგილები.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკლასო ოთახში მაქსიმალურად დამოუკიდებლად ორიენტირება და გადაადგილება, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:



- შეირჩეს სუსტად მხედველი მოსწავლის სასწავლო მერხი;
- შეირჩეს და გაკეთდეს მიმანიშნებლები;
- შერჩეული მარშრუტი აღიწეროს და დაერთოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მასშემდეგ რაც შეირჩევა მოსწავლის მერხი, ბავშვს უნდა ვასწავლოთ მერხამდე დამოუკიდებლად მისვლა. უნდა შედგეს „ბილიკი", რომლის დახმარებითაც მას დამოუკიდებლად შეეძლება კლასში შესვლა, კარებიდან საკუთარ მერხამდე, მერხიდან დაფამდე და უკან მისვლა. მარშრუტზე აუცილებელია გაკეთდეს ვიზუალური და ტაქტილური მიმანიშნებლები, მაგალითად, განვიხილოთ ნახაზი. წითელი რგოლით აღნიშნულია ის მერხი, სადაც უნდა იჯდეს სუსტად მხედველი მოსწავლე. ისრები მიგვანიშნებს მარშრუტს რომელიც უნდა გაიაროს მოსწავლემ, რათა დამოუკიდებლად მივიდეს მერხამდე, როგორც ნახაზიდან ჩანს გზაზე არსებულ მერხებს კუთხეებში დატანილი აქვს დამატებითი ვიზუალურ- ტაქტილური მიმანიშნებლები, ისნი ეხმარებიან მოსწავლეს რათა იცოდეს, სად იწყება და მთავრდება მერხი. აუცილებელია, რომ გვახსოვდეს, ნებისმიერი ცვლილება კლასში (საგნების გადაადგილება) აუცილებელია განხორციელდეს ისე, რომ არ დაირღვეს კლასში გადაადგილების რუქა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ცვლილებები გარდაუვალია,

უნდა შედგეს ახალი რუქა, რაც უნდა დაფიქსირდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. ასევე დაუშვებელია მარშრუტზე რაიმე სახის დაბრკოლებების დატოვება ან /და მიმანიშნებლების შეცვლა გაფრთხილების გარეშე.

მოსწავლის პირადი მერხი სუსტად მხედველი მოსწავლის პირადი მერხი შეიძლება ზომით და ფორმით განსხვავდებოდეს სხვა დანარჩენი მერხებისგან. მისი დამზადება და მოსწავლეზე მორგება სკოლის ადმინისტრაციის საქმეა. მერხის ადგილმდებარეობა უნდა შეირჩეს მოსწავლესთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში აღიჭურვოს ელექტრო კვების წყაროთი (ცცტვს /?/სა და სხვა აპარატურის შესაერთებლად). შერჩევისას უნდა იყოს გათვალისწინებული საკლასო ოთახში მიმდინარე ყველა პროცესი. მერხის განლაგება ანდა ფორმა არ უნდა იყოს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელი. რამდენიმე ზოგადი რეკომენდაცია:

- სასწავლო მერხი - უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება L ფორმის მერხი. მერხის ფორმა საშუალებას იძლევა ისე განთავსდეს მასზე სხვადასხვა ხელსაწყო, რომ მოსწავლეს არ გადაეტვირთოს სამუშო სივრცე.
- მოსწავლის სკამი - მოსწავლის პოზას ჯდომისას ძლიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, მისი სკამი შესაძლებელია განსხვავდებოდეს კლასის სხვა სკამებისგან. ის უნდა ერგებოდეს მოსწავლეს, არ აზიანებდეს მოსწავლის ხერხემალს.
- დახრილი დაფა - უმრავლესობა მერხებისა აღჭურვილია სადგამით, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება საკითხავი ან საწერი მასალის დახრის კუთხე.

ზოგადი რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის

მასწავლებელი არის კლასში სასწავლო პროცესის წარმმართველი, რაც თავის თავში გულისხმობს უამრავ ფუნქციასა და პასუხისმგებლობას. რამდენად კეთილმოწყობილი და უნივერსალური გარემოც უნდა დახვდეს მასწავლებელს, თუკი ის თავად არ მოირგო და მოარგო მოსწავლეებს, სასწავლო პროცესი არ იქნება სასიამოვნო და ნაყოფიერი. მით უმეტეს, რომ ჩვენ შემთხვევაში იშვიათად გვეძლევა სრულყოფილად აღჭურვილი და უზრუნველყოფილი გარემოს ფუფუნება. ამიტომ მასწავლებელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ემატება, უშუალო მონაწილეობა მიიღოს უსინათლო და მცირემხედველი ბავშვებისათვის ხელსაყრელი გარემოს მოწყობაში. ეს მას საშუალებას მისცემს თავი და მოსწავლეებიც აარიდოს ზედმეტ პრობლემებს, დაეხმაროს მათ განათლების მიღებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის ჩამოყალიბებაში. ტექნიკურ თუ სხვა ტიპის ბარიერებს არ მისცეს საშუალება, შეაფერხონ მოსწავლის პიროვნული და ფიზიკური განვითარება. თითოეულ მასწავლებელს ამ საქმეში გაწეული მცირე ძალისხმევაც კი დაუბრუნდება მნიშვნელოვანი შედეგის სახით, რაც მოტივაცია უნდა იყოს ყოველი მათგანისათვის.

უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთათვის გარემოს მოსაწყობად მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის ფაქტორი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. თავდაპირველად მას მოუწევს:

- მოსწავლის მხედველობითი და ფუნქციური უნარების შეფასება;
- სასწავლო (საკლასო) გარემოს ადაპტირების დაგეგმვა;
- საკუთარი, მოსწავლეთა და ადმინისტრაციის ვალდებულებების განსაზღვრა;
- სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება;
- მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს კლასში მოსწავლის მოსახერხებელ ადგილას განთავსება, ისე, რომ მან თავი იგრძნოს მაქსიმალურად კომფორტულად;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლისათვის მოსახერხებელი განათება. ამისთვის, შესაძლოა, არც იყოს აუცილებელი რაიმე დამატებითი ხელსაწყოების მოხმარება და საკმარისი იქნება არსებული სინათლის წყაროს მიმართ მოსწავლის სწორ პოზიციაში განთავსებით;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, აგრეთვე, ზედმეტი ხმაურის მოსწავლისთვის აცილება. მან მოსწავლეებს უნდა მიმართოს სახელით და დაარეგულიროს მათი დიალოგი ისე, რომ უსინათლო მოსწავლისათვის გასაგები იყოს, ვინ საუბრობს და ვის მიმართავს;
- მასწავლებელმა უნდა ისაუბროს გარკვევით და შეეცადოს იდგეს სახით მოსწავლეებისაკენ. თუ ის იმოძრავებს მერხებს შორის და ისაუბრებს ხმადაბლა, ზურგით მსხდომ მოსწავლეებს გაუჭირდებათ მისი ნათქვამის მოსმენა. სასურველია ხმის გაფანტვისა და ხმაურის შემოსვლის ასაცილებლად, მეცადინეობისას ფანჯრები იყოს დახურული. ამგვარად თავიდან ავიცილებთ მოსწავლეების ყურადღების გაფანტვას;
- მასწავლებელმა უსინათლო მოსწავლეს უნდა მისცეს ბრაილის დაფა-ფანქრის, ხმის ჩამწერი თუ სხვა დამხმარე მოწყობილობების გამოყენების საშუალება. თუკი მოსწავლე მუშაობს კომპიუტერთან და იყენებს ყურსასმენებს, მასწავლებელი უნდა მივიდეს მასთან და შეეხოს მხარზე, როცა მას მიმართავს;
- მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს საკლასო წესრიგსა და რუტინას, რათა მაქსიმალურად აირიდოს თავიდან მოულოდნელი წინაღობები მიმობნეული საკლასო ინვენტარის, ან გამოღებული კარისა და ფანჯრების სახით;
- მასწავლებელმა დაფაზე უნდა წეროს გარკვევით, მცირემხედველ მოსწავლესთან შეთანხმებული ზომის ასოებით. საჩვენებელ მასალაზე უნდა გამოიყენოს მკვეთრი მარკერები მნიშვნელოვანი ადგილების ხაზგასასმელად;
- მასწავლებელმა, მცირე ზომის სურათის ჩვენებისას, მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება თავის მერხთან დამხმარე საშუალებების გამოყენებით დაათვალიეროს ნაჩვენები სურათი;
- საშინაო დავალების მიცემისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის წერის, კითხვისა თუ მუშაობის ტემპი და შესაბამისად განსაზღვროს დავალების ოდენობა;
- როდესაც მასწავლებელი კლასს უჩვენებს ვიზუალურ მასალას, საბოლოოდ

უნდა უზრუნველყოს, რომ სურათის შინაარსი არ დარჩეს გაუგებარი უსინათლო მოსწავლისათვის. მიაწოდოს მოსწავლეს მისთვის წინასწარ მომზადებული სურათის აღწერა ბრაილის შრიფტით, ელექტრონულად ან თავად სიტყვიერად აღწეროს ნაჩვენები ვიზუალური მასალა;

- უსინათლო მოსწავლეებისთვის, რომლებიც ფლობენ ბრაილის შრიფტს, გზის მაჩვენებლებზე და ყველა სხვა მნიშვნელოვან ნიშნებზე უნდა იყოს ბრაილის წარწერები, ან ტაქტილურად აღქმადი მანიშნებლები;
- მასწავლებელმა მოსწავლეს (წინასწარი შეთანხმების საფუძველზე) საშუალება უნდა მისცეს მისთვის მოსახერხებელი ფორმით მოახდინოს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია;
- მასწავლებელმა ყოველივე ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად უნდა შეძლოს საკუთარი, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების, ნებისმიერი არსებული რესურსის მობილიზება და გამოყენება. ყველაზე ეფექტური იქნება, თუ მოსწავლეები, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, თავად ეცდებიან გარემოს ადაპტირებას მათი და თავიანთი მეგობრების მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იქნება მრავალფუნქციური აქტივობა, რომლის სარგებელი მატერიალური პროდუქტის გარდა, იქნება მორალური და მენტალური აღზრდაც.

სოციალური „ურთიერთობები“ სასწავლო პროცესში

სოციალური ურთიერთობები შედგება სხვადასხვა აქტივობისაგან. კლასში, გარდა წერითი და კითხვის აქტივობებისა, ასევე არის ჯგუფური განხილვები დისკუსიები, პრეზენტაციები. ხდება ინფორმაციის გაცვალა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. ასეთი კომუნიკაციის დროს ხშირად ვიყენებთ ჟესტებს, მიმიკას. ეს ბუნებრივად ხდება და ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესს. სუსტად მხედველი მოსწავლეები ამ შემთხვევაში აწყდებიან სხვადასხვა სახის სირთულეებს. მათ შეიძლება ვერ შენიშნონ მოსაუბრის (მასწავლებლის ან სხვა მოსწავლის) ჟესტები ან მიმიკა, მხოლოდ მოსმენილმა კი შეიყვანოს შეცდომაში და დააბნიოს. ამის გამო შეიძელბა გახდეს პასიური, არიდებდეს თავს ჯგუფურ დავალებებსა და პრეზენტაციებს, გაუჭირდეს თანატოლებთან ინტერაქცია. სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ყველა მოსწავლის ჩართულობას. განვიხილოთ რამდენიმე რეკომენდაცია, რაც მოეხმარება მასწავლებელს სუსტად მხედველი მოსწავლე ადვილად ჩართოს კლასის აქტივობებში.

მასწავლებლის პრეზენტაცია

როდესაც მიმართულებას აძლევთ ან ინფორმაციას აწვდით სუსტად მხედველ მოსწავლეს, უმნიშვნელოვანესია, რომ ინფორმაცია ორგანიზებული

და სტრუქტურირებული იყოს ლოგიკურად. ინფორმაცია არ უნდა იყოს დამოკიდებული სხეულის ენაზე, გარემო მიმნიშნებლებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს შეეძლოთ კონკრეტული, დალაგებული ვერბალური ინსტრუქციების მიცემა მოსწავლეებისთვის. სანამ მოსწავლეებს წაუკითხავთ თემას, ჩაიწერეთ თქვენი საკუთარი ლექცია, მოისმინეთ და გაანალიზეთ გასაგებია თუ არა სათქმელი ტექსტი.

- დაელაპარაკეთ კლასს საკლასო ოთახში შემოსვლისას და გასვლისას;
- თქვით თქვენი სახელი. არ ჩათვალოთ, რომ სუსტად მხედველი მოსწავლე ამოგიცნობთ ხმით, მაშინაც კი, თუ თქვენ ერთმანეთს უკვე შეხვედრიხართ;
- აღწერეთ ნებისმიერი მასალა, რასაც აწვდით. აუხსნით ნებისმიერი ვიზუალური მასალა ან დიაგრამა;
- გააფრთხილეთ მოსწავლე, თუ გადაადგილებას აპირებთ ან აპირებთ დაასრულოთ საუბარი;
- მიმართეთ მოსწავლეს სახელით, თუ გინდათ მიიქციოთ მისი ყურადღება;
- ვერბალურად გაეცით პასუხი სუსტად მხედველი მოსწავლის შეკითხვას, რადგან შესაძლებელია მათ ვერ დაინახონ თქვენი მიმიკა ან ჟესტები (თავის დაქნევა გაღიმება სხვა);
- გამოიყენეთ დიდი ასოებით დაბეჭდილი სლაიდები და არა ხელნაწერი მასალები;
- ნება დართეთ მოსწავლეს გააკეთონ პრეზენტაციის უდიო ჩანაწერი;
- წინასწარ მიაწოდეთ წიგნში საჭირო გვერდის ნომერი, რომ გაუადვილდეს მოძებნა

ჯგუფური მუშაობა/დისკუსიები

არის ალბათობა, რომ სუსტად მხედველ მოსწავლეს უჭირდეს პატარა ჯგუფურ დისკუსიებში და სხვა ინტერაქციულ აქტივობებში მონაწოლეობის მიღება. სპეციალური საჭიროებები შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი იყოს. მაგრამ სწავლების ზოგადი სტრატეგიები, რომელთა გამოყენებითაც ყველა მოსწავლე ისარგებლებს, შემდეგია:

- გასაგებად ჩამოაყალიბეთ ძირითადი დისკუსიის წესები;
- დამატებით მიაწოდეთ კურსის/დისკუსიის ელექტრონული მასალები;
- გასაგებად აღწერეთ ვიზუალური მასალა;
- გააკეთეთ კითხვების და პასუხების პერიფრაზირება და ხაზი გაუსვით საკვანძო საკითხებს დისკუსიის განმავლობაში;
- სუსტად მხედველ მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ ვიზუალური დამხმარე მასალის, ჰენდაუტების და დემონსტრაციების დანახვის სირთულე. მიაქციეთ ჯგუფში ყურადღება იმას, თუ როგორ იყენებს მათ საჭიროების შემთხვევაში. სასურველია ჯგუფური დავალებებისთვის მეტი დროის მიცემა;
- გამოიყენეთ აღწერითი სიტყვები, როგორიცაა: პირდაპირ, წინ, მარცხნივ და

ა.შ. როცა საუბრობთ მისი სხეულის ორიენტაციაზე. იყავით კონკრეტულები მიმართულებების მიცემისას და მოერიდეთ ბუნდოვანი ტერმიენების გამოყენებას, როგორიცაა „აი იქ“, „აქ“, „ეს“ და ა.შ.

- აღწერეთ და გააცანით მოსწავლეებს საკლასო ოთახის, ლაბორატორიის, აღჭურვილობა, რომლის გამოყენებასაც აპირებთ მუშობისას - დანადგარები, მასალები, და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ისწავლიან საკლასო ოთახს, შეინარჩუნეთ საკლასო ოთახის დიზაინი ისეთი, როგორიც არის. ნებისმიერი ცვილება ხელახლა გააცანით კლასს;
- თუ ჯგუფური მუშობისთვის ოთახში ავეჯს ან ნივთებს გადააადგილებთ, აუცილებლად გააფრთხილეთ ამის შესახებ მოსწავლეები;
- არ დატოვოთ არანაირი წინაღობები, რომელსაც შეიძლება სუსტად მხედველი მოსწავლე შეეჯახოს ჯგუფური მუშაობისას;
- არ აიღოთ და არ გადააადგილოთ სუსტად მხედველი მოსწავლის ნივთები მისი გაფრთხილების გარეშე;
- ისეთი დემონსტრაციები, რომლებიც ფერთა შორის განსხვავებებს ეფუძნება, უფრო ძნელი აღსაქმელი იქნება უსინათლო მოსწავლეებისთვის, ვიდრე ის დემონსტრაციები, რომელიც აქცენტს აკეთებს ფორმაზე, ტემპერატურაზე ან ტექსტურაზე.

ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს უკუკავშირი, რომ არ დავკარგოთ კლასთან კონტაქტი. პრაქტიკამ აჩვენა, რომ შეიძება მასწავლებელი კარგად, ყველა წესის დაცვით აწყობდეს პრეზენტაციებსა და ჯგუფურ აქტივობებს, მაგრამ ეს ორმხრივი პროცესია და მნიშველოვანია მოსწავლეების აზრის ცოდნაც. რამდენიმე პრეზენტაციისა და ჯგუფური აქტივობის შემდეგ, გამოჰკითხეთ თქვენს მოსწავლეთა მთელ ჯგუფს და არა მარტო სუსტად მხედველს, იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც პოზიტიური ან ნეგატიური წვლილი შეიტანა მათი სწავლის გამოცდილებაში.

სასწავლო მასალის ადაპტირება წერა/კითხვის პროცესში

სუსტად მხედველი მოსწავლეების წერა/კითხვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ შემდეგი: ყველა დარღვევა სპეციფიკურია და მოითხოვს ინდივიდუალურ შესწავლას. ამ თავში განხილული იქნება ზოგადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში მასწავლებელს გაუადვილდება მოსწავლისთვის სასწავლო მასალის ადაპტირება.

კითხვის სწავლება თავისთავად რთული და მრავალ კომპონენტიანი პროცესია, მასში ჩართულია სხვადასხვა სისტემა. წამყვანი როლი ენიჭება მხედველობას. მოსწავლეს უნდა შეეძლოს ნაბეჭდი ასოების, სასვენი ნიშნების გარჩევა, ამოცნობა.

იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს კითხვის პროცესი, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

1. დისტანცია საკითხავ ტექსტსა და მოსწავლის თვალებს შორის;

2. შრიფტის ტიპი და ზომა;
3. კითხვის სიჩქარე;
4. კითხვის სიზუსტე;
5. ტექსტის გააზრება;
6. კონტრასტი;
7. საკითხავი მასალის შუქის არეკვლის ხარისხი;
8. მოსწავლის თვალების საკადური მოძრაობა.

შესაძლებელია მოსწავლეს ყველა ამ კომპონენტში დაჭირდეს დახმარება. შესაბამისად, განვიხილოთ თითოეული სფეროს ადაპტაციის ფორმები:

1. დისტანცია საკითხავ ტექსტსა და მოსწავლის თვალებს შორის - უმრავლეს შემთხვევაში მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ის ოპტიმალური მანძილი, რომლის დროსაც მას შეუძლია მცირე ზომის სიმბოლოების, დეტალების ამოცნობა რაიმე სახის საგნისგან. მოსწავლესთან სწორი მუშაობის შემდეგ, შესაძლებელია მასთან ერთად დადგინდეს ის მანძილი, რომლის დროსაც არ შემცირდება განათების ხარისხი, სხეულის პოზა იქნება მაქსიმალურად კომფორტული ბავშვისთვის და მას შეეძლება ტექსტის ამოცნობა.

2. „შრიფტის“ ზომა - სწავლის პროცესში შესაძლებელია მასწავლებელს დაჭირდეს საკითხავი ტექსტის შედგენა, ადაპტირება (მოსწავლე ვერ კითხულობს წიგნში ან მოსწავლე საჭიროებს დამატებით საკითხავ მასალას). აუცილებელია მოსწავლესთან ერთად შეირჩეს სასურველი შრიფტი, მისი ზომა და ფერი.

3. შრიფტის ფორმა - სხვადასხვა შრიფტს აქვს სხვადასხვა ფორმა და ზომა. ქვემოთ მოყვანილია ქართული ფონტების სხვადასხვა ვერსიები რომლებიც არის ერთ ფერში და ერთ ზომაზე დაყენებული

- აკადნუსხური : nino wavida skolaSi
- ავაზამთავრული: nino wavida skolaSi
- G&G_DumbadzeM: nino wavida skolaSi
- Sylfaen: ნინო წავიდა სკოლაში
- G&G_IllliaM: nino wavida skolaSi

სხვადასხვა ფონტს სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვს. მაგალითად, აკადნუსხურის w და G&G_DumbadzeM w რომ შევადაროთ, აკადნუსხურის წ -ს მუცლის გვერდი აქვს წვრილი და შესაძლებელია მოსწავლეს გაუჭირდეს მისი აღქმა მაშინ, როდესაც G&G_DumbadzeM წ თავიდანვე მუქი და სრულია. ასევე მუშობისას აღმოაჩენთ, რომ ერთი და იგივე ზომის ასოები სხვადასხვა ზომისაა და სხვადასხვანაირად აღიქმება. ზომა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტექსტი და შიფტიც დიდია. შესაბამისად, შეიძლება ერთი ფონტის გამოყენებისას წინადადება არ დაეტიოს სტრიქონში, მეორისას კი დაეტიოს. სხვადასხვა სახის ფონტების მოძიება შესაძლებელია აქ http://fonts.ge/. გვერდზე ასახულია დეტალური ინფორმაცია ფონტის შესახებ, ასევე მისი დაინსტალირების შესახებაც.

4. კითხვის სიჩქარე - ყველა ადამიანი განსხვავდება ტექსტის კითხვის სიჩქარით. ერთი და იგივე ზომის ტექსტი კლასში სხვადასხვა მოსწავლემ შეიძელბა სხვადასხვა

დროში წაიკითხოს. უმრავლეს შემთხვევაში სუსტად მხედველ მოსწავლეებს მეტი დრო ჭირდებათ ტექსტის წასაკითხად. კითხვის სიჩქარე დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე, როგორიცაა ტექსტის ტიპი (ნაცნობი ან უცნობი ტექსტი), განათება, შრიფტის ფორმა და ზომა. კითხვის სიჩქარეს მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან თუ გვეცოდინება მოსწავლის კითხვის ოპტიმალური სიჩქარე, ადვილად მოვახერხებთ კლასის ჯგუფურ აქტივობებში ჩართვას, გვეცოდინება დავალებების საერთო ოდენობა, რომლის წარმატებით თავის გართმევასაც შეძლებს მოსწავლე. კითხვის სიჩქარის დადგენა ასევე მნიშვნელოვანია, რადგან მასზე მეტწილად არის დამოკიდებული წაკითხულის გააზრება. ხშირად საკლასო აქტივობების შესრულებისას განსაკუთრებით, კითხვითი დავალებებისას, მოსწავლეები ორიენტირებული არიან დავალების სწრაფად შესრულებაზე და ხშირად კითხულობენ სწრაფად. შემდგომში კი უჭირთ აზრის გამოტანა. თუ მასწავლებელს ეცოდინება მოსწავლის კითხვის ოპტიმალური სიჩქარე, მას შეეძლება გააუმჯობესოს ტექსტის გაგების ხარისხიც.

5. კითხვის სიზუსტე - რამდენად უშეცდომოდ კითხულობს მოსწავლე ტექსტს, ხშირია თუ არა შეცდომები. სიტყვის, წინადადების წაკითხვის პროცესში რამდენჯერ უბრუნდება ტექსტს, კითხვისას ასოებისა და ბგერების დამთხვევის კითხვის სიზუსტეს უნდა მიექცეს ყურადღება, რათა ზოგადად კითხვის ხარისხი და სიჩქარე გაუმჯობესდეს. უნდა მიექცეს ყურადღება რა ტიპის შეცდომებს უშვებს მოსწავლე კითხვისას, რა სახის პრობლემები აქვს მას სიზუსტესთან დაკავშირებით. შეცდომების ანალიზი საშუალებას მოგვცემს კარგად შევარჩიოთ დახმარების სტრატეგიები.

6. კონტრასტი - კონტრასტი ეს არის მკვეთრად გამოხატული სხვაობა ფიგურასა და ფონს შორის. კითხვის პროცესში მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის. თუ ასოები, სიტყვები და სასვენი ნიშნები კარგად განირჩევა ფონისგან მოსწავლეს გაუადვილდება საკითხავი მასალის ათვისება. კონტრასტში აუცილებელი არაა ყოველთვის გამოყენებული იყოს ერთმანეთის ოპოზიციური ფერები მთავარი არის ისეთი კონტრასტის შერჩევა რომლის დროსაც მოსწავლე ყველაზე კარგად ახერხებს სიმბოლოების გარჩევას. თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას მაქსიმალურად მოვარგოთ სასწავლო მასალა მოსწავლის საჭიროებებს. განვიხილოთ Microsoft word ის შესაძლებლობები რომლებიც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საჭირო ადაპტაციები კონტრასტთან მიმართებაში:

- ასოებს შორის მანძილის გაზრდის ფუნქცია საშუალებას გვაძლევს დავაშოროთ ერთმანეთს ასოები. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც

ასოების გამუქებას (Bold) ვიყენებთ. იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ოპერაცია, საჭიროა მოვნიშნოთ სიტყვა ან ტექსტი რომლის გაზრდაც გვინდა, გავხსნათ დიალოგური ფანჯარა Font. spacing ის გასწვრივ დიალოგურ ფანჯარაში გავზარდოთ მანძილი.

- ფონის ფერის შეცვლა. ხშირად სუსტად მხედველი მოსწავლეების ტექსტის კითხვის ხარისხი უმჯობესდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხავ მასალას ეცვლება ფონის ფერი. ეს შესაძლებელია როგორც სასწავლო მასალის წიგნების ადაპტირებისას, ასევე კომპიუტერის მეშვეობით ციფრული მასალის წაკითხვისას.



სურათი 1

წიგნების ადაპტირებისას გამოიყენება ფერადი გამჭვირვალე ფურცლები ან „სახაზავი“, რომლებიც ედება წასაკითხ მასალას ზემოდან. /სურათი 1./ ფერი აუცილებლად ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. მასწავლებელმა და მოსწავლემ, კონსულტაციის შემდეგ უნდა დატოვოს ის ფერი, რომლითაც ყველაზე კარგად კითხულობს მოსწავლე.

ელექტრონული საკითხავი მასალის ფონის შეცვლა Microsoft windows-ში. ოპერაციული სისტემა Microsoft windows-ი სხვადასხვა სახის ადაპტირების საშუალებას იძლევა. დამატებით იხილეთ ქვეთავი MS windows და Microsoft office ინტერფეისის ფონის, ფერის ზომის მოდიფიკაციები.

ასევე ერთერთი ყველაზე მარტივი საშუალება ფონის შეცვლის არის hilighter მარკერების გამოყენება, რომლითაც შესაძლებელია წასაკითხი მასალის გაფერადება. მარკერის ფერიც უნდა შეირჩეს მოსწავლესთან კონსულტირების საფუძველზე.

7. საკითხავი მასალის შუქის არეკვლის ხარისხი. ყველა ზედაპირი ერთმანეთისგან განსხვავდება სინათლის სხივის არეკვლის ინტენსივობით. მასწავლებლისთვის აუცილებელია გაითვალისწინოს ეს ფაქტორი სუსტად მხედველი მოსწავლის კითხვის სწავლების პროცესში. თუ საკითხავი მასალის ზედაპირი პრიალაა, მაშინ მასზე პირდაპირი სინათლის სხივის მოხვედრის შემთხვევაში არეკლილი შუქი ხელს შეუშლისი მოსწავლეს კარგად გაარჩიოს საკითხავი დავალება. უმრავლეს შემთხვევაში განათების ადგილის ან ფორმის (LED ნათურა) შეცვლა ამცირებს არეკვლის ხარისხს და შესაბამისად, სუსტად მხედველ მოსწავლეს უადვილდება ტექსტის წაკითხვა. გამჭვირვალე ფერადი ფურცლებიც ხელს უწყობს შექმნილი პრობლემის მოგვარებას.

8. მოსწავლის თვალების საკადური მოძრაობა თვალის საკადური მოძრაობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია კითხვის დროს. გამართულად ფუნქციონირებს თუ არა ეს პროცესი არ არის მასწავლებლის დასადგენი, მაგრამ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა ამ პროცესზე. სპეციალისტებს არ უნდა გამოჩრეთ ეს მოვლენა მხედველობიდან. მასწავლებელი უნდა დააკვირდეს მოსწავლეს კითხვის პროცესში მისი თვალების მოძრაობას. თუ მოსწავლეს

ხშირად ეკარგება ტექსტი, უჭირს სიტყვების გამოთქმა. თვალები არაბუნებრივად გადაადგილდება ტექსტზე, მაშინ შესაძლებელია იყოს რაიმე სახის სირთულე თვალების საკადურ მოძრაობასთან მიმართებაში.

სწორად დაგეგმილი აქტივობების გატარების შემთხვევაში კითხვის პროცესი მოსწავლისთვის იქნება წარმატებული და პროდუქტიული. ხშირად დამხმარე საშუალებები არის ერთადერთი გზა იმისთვის, რომ მოსწავლემ წარმატებით გაართვას თავი სასწავლო დავალებებს. ქვემოთ განვიხილავთ ყველა სახის დახმარე საშუალებებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესში.

კითხვის სწავლებისას ძირითადად გამოიყენება სამი სახის მასალა:

- ბეჭდური (წიგნები, ჰანდაუთები, ჟურნალები);
- ელექტრონული საკითხავი მასალა (E text);
- აუდიო წიგნები/ტექსტები .

ყველა სახის მასალას მიესადაგება სხვადასხვა ფორმის დამხმარე საშუალებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოსწავლეს წარმატებით შეასრულონ საკლასო დავალებები. ზოგადად დამხმარე საშუალებები შეიძება დაიყოს სამ დიდ კატეგორიად:

- ოპტიკური დამხმარე საშუალებები;
- არა ოპტიკური დამხმარე საშუალებები;
- არა ვიზუალური დამხმარე საშუალებები.

ოპტიკური დამხმარე საშუალებები

ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანების სრულფასოვან განათლებას. არსებობს სპეციალური ეკრანის წამკითხველი პროგრამები (Ing. Screen-reader), რომლებიც სხვა პროგრამების მსგავსად იტვირთება კომპიუტერში, მათ შორის ნეთბუქშიც და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი ჩვეულებრივ სარგებლობს კომპიუტერით. იგი არ იყენებს მაუსს, არამედ სარგებლობს კლავიატურით. საჭიროა, მას ვასწავლოთ ასეთი ეკრანის წამკითხველების გამოყენება. ისინი თავისუფლად მოიპოვება ინტერნეტში. არსებობს მათი შემსწავლელი ელექტრონული წიგნებიც. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეს მიეცით საშუალება კომპიუტერთან იმუშავოს ყურსასმენების გამოყენებით. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ შრიფტი ვცვალოთ, გავზარდოთ, დავაპატარავოთ, დავაყენოთ კონტრასტები და მაქსიმალურად მოვარგოთ იგი ჩვენს მოსწავლეს. ამ შემთხვევაში, თავად მოსწავლეს ვეკითხებით, თუ რომელი შრიფტი ურჩევნია. შეგვიძლია მას ვაჩვენოთ სხვადასხვა შრიფტები და თავად აირჩიოს სასურველი მათგანი. შემდეგ, დავალებების მიცემისას, შემაჯამებლების, ტესტების, გამოცდების შედგენისას, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ შერჩეული შრიფტის ზომა და დადგენილი კონტრასტი. ეს მეტად მნიშვნელოვანია, როგორც მხედველობის გავარჯიშებისთვის, ასევე

აკადემიური წარმატებისთვის. არასწორად შერჩეულმა შრიფტმა, კონტრასტმა, განათებამ შესაძლოა კიდევ უფრო მეტად დააზიანოს მოსწავლის მხედველობა. შეუსაბამო გარემო იწვევს გადაღლას, თვალის დაძაბვას, ნერვულ გადატვირთვას, რაც საბოლოოდ მოტივაციის ვარდნაზე და აკადემიურ წარუმატებლობაზე აისახება. ქვემოთ, დეტალურად გაგაცნობთ სასწავლო დამხმარე საშუალებებს.

1. გამადიდებელი „ლინზა“. გამადიდებელი ლინზები ეს არის ყველაზე გავრცელებული დამხმარე საშუალება სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის. მისი შერჩევა ხორციელდება სპეციალისტთან ერთად, მოსწავლის უშუალო ჩართულობით. გამადიდებლები განსხვავდება გადიდების „ძალით“ 2x -16 x მდე. გამადიდებლები შეიძება იყოს როგორც ბინოკულარული ასევე მონოკულარული(ერთი თვალით) მხედველობისთვის. /სურათი 3/

სურათი 3

გამადიდებლის გამოყენების ძლიერი მხარეები:

- იძლევა სასწავლო მასალაზე დამატებითი მანიპულაციის გარეშე მუშობის საშუალებას;
- არ საჭიროებს დამატებით მოდიფიკაციებს;
- არის პრაქტიკული გამოყენებაში, არ საჭიროებს რაიმე სახის სპეციფიკურ მომსახურებას;
- მოსწავლეს საშუალებას აძლევს იმუშაოს არაბეჭდვით მასალაზეც (გეომეტრიული ფორმები, მონეტები სხვა);
- გამადიდებლებს აქვთ სხვადასხვა დამხმარე, დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა განათება, წითელი სანიშნი ზოლი, რაც აადვილებს სამუშაო პროცესს.

შესაძლებელია მოსწავლეს დაჭირდეს სხვადასხვა გამადიდებელი დავალებების ფორმატიდან გამომდინარე. მაგალითად, კითხვისას გამოიყენოს მილისებრი გამადიდებელი, ხოლო გამადიდებელი(სურათი 3) ხოლო სურათის, რუქის დათვალიერებისას მრგვალი გამადიდებელი.

სურათი 4 მილისებრი გამადიდებელი

გამადიდებლების გამოყენებას აქვს თავისი წესები. ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლის მომზადება გამადიდებლის გამოყენებისთვის.

გამადიდებლის პრაქტიკული გამოყენება: გამადიდებლების შერჩევისას უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის აქტივობები:

- მოსწავლის მიერ შესასრულებელი აქტივობების ანალიზი - იმ საკითხავი თუ საწერი მასალის შემოწმება, რომლით მუშობისას მოსწავლეს მოუწევს გამადიდებლის გამოყენება;
- გამადიდებლის ოპტიმალური ზომის და ფორმის დადგენა;
- გამადიდებლის გამოყენებისას მოსწავლის სამუშაო პოზის შეფასება. უნდა შემოწმდეს ჯდომის პოზა, ხელის მტევნისა პოზა;
- განისაზღვროს მუშობის ოპტიმალური დრო. გამადიდებლის გამოყენება მოსწავლისგან მოითხოვს დამატებით ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას. მნიშვნელოვანია მუშობისას მოსწავლე არ გადაიღალოს, ამისთვის საჭიროა იმ ოპტიმალური დროის განსაზღვრა, რომლის დროსაც მოსწავლე არის მაქსიმალურად პროდუქტიული;
- დაიგეგმოს მოსწავლის მიერ გამადიდებლის გამოყენების აქტივობები. სხვადასხვა ფორმისა და სიმძლავრის გამადიდებლის გამოყენებისას შეიძლება საჭირო იყოს სხვადასხვა ტიპის ტექნიკა კითხვის დროს. მაგალითად თუ გამადიდებელი 4X ან მეტს გადიდებას ახდენს, მოსწავლეებისთვის რთულია კითხვისას ხაზის დაცვა და მომდევნო ხაზზე გადასვლა. უმეტეს შემთხვევაში ამ დროს რეკომენდირებულია კითხვისას უკვე წაკითხული ხაზის საშუალებით უკან დაბრუნება და მომდევნო ხაზის წაკითხვა;
- მოსწავლემ უნდა ისწავლოს გამადიდებლების მოვლა/შენახვის წესები, რათა თავიდან აირიდოს გამადიდებელი შუშის დაკაწვრა, დაბინძურება.

გამადიდებელ მოწყობილობებს აქვთ ასევე შეზღუდვები. მაგალითად, რაც უფრო იზრდება გადიდების საჭიროება, მით უფრო ჭირს გამადიდებლით ტექსტის წაკითხვა. თუ გამადიდებელი საშულება დიდია შესაძლებელია მოსწავლეს ადვილად დაეღალოს ხელის მტევანი.

ტელესოპი და ბინოკულარი. ტელესკოპი ოპტიკური გამადიდებელი საშუალებების ერთერთი სახეობაა. გამადიდებლის მსგავსად ისიც შეიძლება იყოს როგორც ბინოკულარული, ასავე მონოკულარული ტიპის. ბინოკულარი, თავისი დასახელებიდან გამომდინარე, მხოლოდ ბინოკულარული მხედველობისას გამოიყენება. ძირითადად იგივე მახასიათებლები აქვს, რაც გამადიდებელს. განსხვავება ისაა, რომ ტელესკოპის ფოკუსის რეგულირება შეიძლება შორ დისტანციებზე და ის მეტად უნივერსალურია, ვიდრე გამადიდებელი. მისი მეშვეობით მოსწავლეს არა მხოლოდ ახლო მდებარე საგნების ან საკითხავი მასალის გარჩევა, არამედ შორს მყოფი საგნებისა და მოვლენების გარჩევაც

სურათი 5

შეუძლია. მას შეეძლება როგორც საკითხავი მასალის წაკითხვა, ასევე დაფაზე დაწერილი დავალებების გარჩევაც. ტელესკოპი მეტად გამოიყენება სივრცეში ორიენტაციისთვის და სხვადასხვა სახის მიმნიშნებლების გასარჩევად ღია სივრცეში.

2. ელექტრონული გამადიდებელი საშუალებები

- ვიდეო გამადიდებელი cctv (Closed Circuit Television);
- კომპიუტერული პროგრამები გამადიდებლები (Computer magnification software);
- გამადიდებლის პროგრამები ანდროიდის ბაზაზე მომუშავე ტელეფონებისთვის (smartphone android magifiers) .

cctv ვიდეო გამადიდებელი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური დამხმარე საშუალებაა სუსტად მხედველი პირებისთვის. ვიდეო გამადიდებელი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: სადგამი, მაღალი გარჩევადობის ვიდეო კამერა, მონიტორი. უახლეს მოდელებს შეუძლია ტექსტის 82X მდე გადიდება.

სურათი 6

ძირითადი უპირატესობები:

- იძლება სასწავლო მასალაზე დამატებითი მანიპულაციის გარეშე მუშობის საშუალებას;
- არ საჭიროებს დამატებით მოდიფიკაციებს;
- აღჭურვილია სპეციალური ფუნქციებით, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოირგოს cctv ვიდეო სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე. სურვილისებრ cctv ვიდეო გამოყენებისას შესაძლებელია სასურველი გადიდების შერჩევა, ფონის, ფერის, კონტრასტის ხარისხის შეცვლა;
- მოსწავლეს საშუალებას აძლევს იმუშაოს არაბეჭდვით მასალაზეც

(გეომეტრიული ფორმები, მონეტები სხვა);

- გამოიყენება როგორც კითხვის ისე წერის პროცესში;
- შესაძლებელია დამატებითი მოწყობილობების მიერთება, როგორიცაა ციფრული ვიდეო, კამერა, პორტატიული მეხსიერების ბარათი (flash drive);
- შესაძლებელია დამატებითი მონიტორის მიერთება (ზომა არ არის შეზღუდული);

cctv ვიდეოს პრაქტიკული გამოყენება:

- მოსწავლის მიერ შესასრულებელი აქტივობების ანალიზი - იმ საკითხავი თუ საწერი მასალის შემოწმება, რომლით მუშობისას მოსწავლეს მოუწევს cctv ვიდეოს გამოყენება. მოწყობილობას მოყვება სპეციალური სადგამი. უნდა შემოწმდეს, როგორ შეესაბამება სადგამი სასწავლო მასალას, დაჭირდება თუ არა დამატებითი მოდიფიკაციები;
- cctv ვიდეოს არსებული მონიტორი აკმაყოფილებს თუ არა მოსწავლის საჭიროებებს;
- განისაზღვროს მუშობის ოპტიმალური დრო. cctv ვიდეოს გამოყენება მოსწავლისგან მოითხოვს დამატებით ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას. მნიშვნელოვანია მუშობისას მოსწავლე არ გადაიღალოს, ამისთვის საჭიროა იმ ოპტიმალური დროის განსაზღვრა რომლის დროსაც მოსწავლე არის მაქსიმალურად პროდუქტიული.

ძირითადი შეზღუდვები: საჭიროებს მუდმივ კვების წყაროს. იკავებს საკმაო სივრცეს სამუშაო მაგიდაზე. საჭიროებს ტექნიკურ მომსახურებას.

კომპიუტერული პროგრამები და ციფრული გამადიდებლები

კომპიუტერებმა, დამხმარე ტექნოლოგიებმა და პროგრამებმა გაზარდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის ხარისხი, განსაკუთრებით წერილობითი კომუნიკაციის შესაძლებლობები სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის. დამხმარე კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა გააუმჯობესა სიტყვის გადამამუშავებელ პროგრამებთან ხელმისაწვდომობა. სუსტად მხედველ მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ეკრანის წამკითხველი პროგრამები (screen reader) და მეტყველების გარდამქმნელი სისტემები დავალების შესრულების დროს. ინტერნეტი იძლევა საშუალებას, რომ განახორციელონ ონლაინ ძიება სახლიდან ან ჩააბარონ წერითი დავალებები ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. განვიხილოთ რამდენიმე ბაზისური ფუნქცია და პროგრამა, რომელიც გააუმჯობესებს სუსტად მხედველი მოსწავლის სასწავლო პროცესს:

- ეკრანის წამკითხველი screen narrator;
- ეკრანის გამადიდებელი;
- თაგვის მიმნიშნებელი ისრის გამადიდებელი;
- MS windows და Microsoft office ინტერფეისის ფონის, ფერის, ზომის მოდიფიკაციები.

ეკრანის წამკითხველი screen narrator

MS windows საოპერაციო სისტემაში არსებული დამხმარე პროგრამებიდან ეკრანის წამკითხველი არის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო პროგრამა ოპერატიული სისტემის მოხმარების დროს. ყველაზე გავრცელებული პროგრამებია NVDA http://www.nvaccess.org/ და Javws. http://www.freedomscientific.com. ორივე პროგრამა ადვილად ინსტალირდება ოპერაციულ სისტემაზე. ეკრანის წამკითხველები საშუალებას აძლევს სუსტად მხედველებს წაიკითხონ ტექსტი კომპიუტერში. ტექსტს კითხულობს ხმამაღლა ხმის სინთეზატორი. ის ასევე ახმოვანებს ყველა მოქმედებას, რასაც მომხმარებელი ახორციელებს კომპიუტერზე მუშაობისას.

ეკრანის წამკითხველის პრაქტიკული გამოყენება

- ადვილად ინსტალირდება და აქვს გასაგები, მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი სტრუქტურა (ინტერფაისი);
- ეხმარებას სუსტად მხედველ მოსწავლეს კომპიუტერზე მუშაობის პროცესში, სხვადასხვა მანიპულაციების სწრაფად განხორციელებაში;
- შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს მოისმინოს ელექტრონული ტექსტი (ციფრული წიგნი, ვებ გვერდის მასალა);
- აქვს ხმის სიჩქარის, ფორმის შეცვლის დამატებითი ფუნქციები.

ეკრანის გამადიდებელი (screen magnifier) ეკრანის გამადიდებელი სისტემები ადიდებს ეკრანის ნაწილებს, რაც საშუალებას აძლევს სუსტად მხედველ მომხმარებელს გამოიყენოს კომპიუტერში არსებული მასალები. ეკრანის გამადიდებელი საშუალებას იძლევა გადიდდეს მხოლოდ მონიშნული ადგილები. არსებობს სხვადასხვა სახის გამადიდებელი პროგრამები. ამ შემთხვევაში განვიხილავთ MS windows სტანდარტულ, უფასო გამადიდებელ პროგრამას. არის მარტივი და ადვილი მოხმარებაში.

პროგრამის გასააქტიურებლად უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები: 1. შევდივართ სტარტში, 2. ვირჩევთ კონტროლ პანელს, 3. გამოდის დიალოგური ფანჯარა „Control Panel“. ჩამონათვალში ვირჩევთ „Ease of Access Center“. 4. ახალ დიალოგურ ფანჯარაში მივუთითებთ start magnifier. მოქმედების პირდაპირი მისამართი Control Panel\All Control Panel Items\Ease of Access Center

პროგრამა ჩაირთვება ავტომატურად. მას გააჩნია მუშობის სამი რეჟიმი: (სურათი 7)

1. მთლიანი ეკრანის გადიდება (Full screeen) ამ რეჟიმშ ავტომატურად დიდდება დესკტოპზე არსებული ყველა პროგრამა და დიალოგური ფანჯრები;
2. გამადიდებელი (lens) ეკრანზე გამოდის გამადიდებელი რომელიც დაყვება თაგვის მოძრაობებს და ადიდებს მხოლოდ მითითებულ ელემენტებს;
3. ფიქსირებული რეჟიმი (docked). რეჟიმში ეკრანის ზემოთა ნაწილი ფიქსირდება და დიდდება მხოლოდ ის მონაკვეთები, რომელსაც მონიშნავს მომხმარებელი თაგვით. (სურათი 8)



სურათი 7

სურათი 8

პროგრამის პრაქტიკული გამოყენება windows

- ა
- აქვს გასაგები, მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი სტრუქტურა (ინტერფაისი);
- ეხმარება სუსტად მხედველ მოსწავლეს კომპიუტერზე მუშაობის პროცესში სხვადასხვა მანიპულაციების სწრაფად განხორციელებაში;
- შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს წაიკითხოს ელექტრონული ტექსტები, დაათვალიეროს ფოტო სურათები, გამოიყენოს სხვადასხვა საოფისე პროგრამები მისთვის სასურველი ფონის, შრიფტისა და კონტრასტის პირობებში.

თაგვის მიმნიშნებელი ისრის გამადიდებელი

➢ თაგვის ისრის გადიდება ეხმარება სუსტად მხედველ მოსწავლეს ადვილად, ეფექტურად გამოიყენოს თაგვი ოპერატიული პროგრამის მოხმარებისას. საოპერაციო სისტემა windows ს აქვს თაგვის მიმნიშნებლის ბაზისური ფორმები, თუმცა ასევე არსებოს დამოუკიდებელი პროგრამები

- biggy http://www.rjcooper.com/biggy/
- philip-henderson http://www.philip-henderson.co.uk/cursor.shtml

განვიხილოთ windows-ის სტანდარტული პაკეტის მიმნიშნებლები. 1 შევდივართ სტარტში. 2. „Control Panel“ ში ვირჩევთ თაგვის ემბლემას (Mouse). 3. ახალ დიალოგურ ფანჯარაში ვირჩევთ pointers (მიმნიშნებელი). 4. პროგრამა გვაძლევს მიმნიშნებლების ფორმების, ზომების მრავალფეროვან არჩევანს. ვირჩევთ სასურველს და ვხურავთ დიალოგურ ფანჯარას. (სურათი 9)



სურათი 9

MS windows და Microsoft office ინტერფეისის ფონის, ფერის ზომის მოდიფიკაციები

ფონისა და ფერის შეცვლა. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ფონის ფერის შეცვლას. შევდივართ control panel-ში, ვირჩევთ Personalization. აქ პროგრამა გვთავაზობს წინასწარ შექმნილ ვერსიებს. შეგიძლიათ აირჩიოთ შემოთავაზებული ვერსიები. იმ შემთხვევაში თუ გესაჭიროებათ მეტი მოდიფიკაცია, მონიშნეთ windows color. ახალ დიალოგურ ფანჯარაში, დაბლითა მარცხენა ჩამონათვალში მონიშნეთ window, მის გასწვრივ color1 და color2 შეცვალეთ სასურველი ფერით და დაამახსოვრებინეთ.



- მოცემულ სურათზე ფონის ფერად შერჩეულია წითელი ფერი.

სურათი 10

პროგრამის პრაქტიკული გამოყენება

- საოპერაციო სისტემის პერსონალიზაცია საშუალებას იძლევა მოვარგოთ პერსონალური კომპიუტერი მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- ზრდის საოფისე პროგრამების წარმატებულად გამოყენების ალბათობას;
- აუმჯობესებს წერა/კითხვის დავალებებს;
- აუმჯობესებს ინტერნეტისა და სხვა სახის მედია საშუალებების გამოყენებას.

ეკრანის გამადიდებელი ანდროიდის ბაზაზე მომუშავე ტელეფონებისთვის. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები დღითიდღე იხვეწება, რამდენიმე წლის წინ სრულიად წარმოუდგენელი იყო მობილური ტელეფონის ფუნქციებში ფოტო და ვიდეო გადაღების ფუნქციების არსებობა. დღესდღეობით, სმარტფონების ახალი თაობები სულ უფრო და უფრო ძლიერი მოდიფიკაციისაა, თანამედროვე პროცესორები და ანდროიდის საოპერაციო სისტემა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ციფრული გამადიდებლები ხელმისაწვდომი გახდეს სმარტფონების მომხმარებლებისთვის. მინიმალური სისტემური მოთხოვნები 5 მპ კამერა ანდროიდის საოპერაციო სისტემა. უმრავლესობა პროგრამების არის უფასო. მომხმარებელს აქვს საშუალება შეარჩიოს მისთვის ყველაზე მოსახერხებელი ვერსიები google play store ზე. გთავაზობთ რამდენიმეს:

- Magnificent Magnifier HD
- silver magnifie
- Screen Magnifier HD

პროგრამის პრაქტიკული გამოყენება

- სასწავლო მასალაზე დამატებითი მანიპულაციის გარეშე მუშაობის საშუალებას იძლევა;
- არ საჭიროებს დამატებით მოდიფიკაციებს;
- არის პრაქტიკული გამოყენებაში, არ საჭიროებს რაიმე სახის სპეციფიკურ მომსახურებას;
- მოსწავლეს საშუალებას აძლევს იმუშაოს არა ბეჭდვით მასალაზეც (გეომეტრიული ფორმები, მონეტები სხვა).

არა ოპტიკური დამხმარე საშუალებები

ფურცელი გამუქებული ხაზებით (Bold line paper) ძირითადად გამოიყენება წერითი დავალებების შესრულებისას. ფურცლის გამუქებული საზღვრები უადვილებს სუსტად მხედველ მოსწავლეს წერითი დავალებების შესრულებას. ფურცლები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის, მისი შერჩევა ხორციელდება მოსწავლესთან ერთად.



სურათი 11

- ბრტყელ გულიანი მარკერები, ჰაილაითერები ძირითადად გამოიყენება წერითი დავალებების შესრულებისას. მარკერის ფორმა, ზომა და ფერი უნდა შეირჩეს მოსწავლესთან ერთად. ჰაილაითერი ხშირად გამოიყენება მასწავლებლის მიერ საკითხავი მასალის ფონის, ფერის შესაცვლელად.



სურათი 12

- სამუშაო მასალის სადები (slant board) - მარტივი ადვილად მოსახმარი დაფა, რომელიც გამოიყენება როგორც წერითი, ისე საკითხავი დავალებების შესრულებისას. მარტივი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ სხვადასხვა გარემოში ან სხვადასხვა ზომის საკლასო მერხზე. სწორად დამონტაჟების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლის ჯდომის სწორ პოზას.

სურათი 13

LEDსანათებისაშუალებასიძლევასაჭიროების შემთხვევაში დაყენდეს დამატებითი განათება, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს სამუშაო მასალის აღქმა სასწავლო პროცესში.

სურათი 14

- typoscope ძირითადად გამოიყენება კითხვის დროს, საშუალებას აძლევს მოსწავლეს მთლიანი ტექსტიდან გამოარჩიოს სამიზნე სიტყვა, წინადადება, სტრიქონი. ამცირებს წასაკითხი ზედაპირის შუქის არეკვლის დონეს.



სურათი 15 typoscope და ხელის მოწერის დამხმარე საშალება

- CPF სათვალეები. სპეციალური ფილტრის მქონე მზის სათვალეები სხვადასხვა ფერის შუქის სხივის გასაფილტრად. როგორც გამოცდილებამ ანახა CPF სათვალეები ხელს უწყობს სხვადასხვა სახის არასაჭირო სინათლის ხელისშემშლელი ეფექტის შემცირებას. მაგალითად, ყვითელი ფერის ლინზების გამოყენებისას ძლიერდება ყვითელი ფერის სხივების გატარება სათვალის ლინზაში და იწვევს „განათებული" არეალის ეფექტს, რაც ხელს უწყობს კონტრასტის უკეთეს აღქმას.

არა ვიზუალური დამხმარე საშუალებები. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა განხორციელდეს მაღალი ხარისხის აუდიო მასალის ჩაწერა და მისი შემდგომი დამუშავება. აუდიო დამხმარე საშუალებები აუმჯობესებენ სასწავლო პროცესს. ეხმარება სუსტად მხედველ მოსწავლეს იყოს უფრო სრულფასოვნად ჩართული კლასის სასწავლო აქტივობებში. ყველაზე გავრცელებული აუდიო დამხმარე საშუალებებია :

- აუდიო წიგნები;
- ხმის ჩამწერი მოწყობილობები.

აუდიო წიგნები. კითხვის სწავლების პროცესში ერთ-ერთი დამხმარე საშუალება არის აუდიო წიგნები. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, სუსტად მხედველ მოსწავლეებს უადვილდებათ სასწავლო მასალის დაძლევა მაშინ, როდესაც სასწავლო პროცესში გამოიყენება აუდიო წიგნები. ასევე აუდიო წიგნები არა მარტო საკლასო მასალის, არამედ კლასგარეშე ლიტერატურის ათვისების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აუდიო წიგნებს ენიჭება მაღალ კლასებში, გართულებული ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მასალების სწავლისას.

ხმის ჩამწერი მოწყობილობები. არსებობს სხვადასხვა სახის ხმის ჩაწერის საშუალებები. მაგ. ხმის ჩამწერი მოწყობილობა, ხმის ჩამწერი პროგრამა ანდროიდის ბაზაზე მომუშავე სმარტფონებისთვის, ხმის ჩამწერი პროგრამა პერსონალური კომპიუტერისთვის. ხმის ჩამწერი მოწყობილიბები ერთ-ერთი გავრცელებული არა ვიზუალური დამხმარე საშუალებაა. აუდიო წიგნებისგან განსხვავებით მას აქვს რამდენიმე უპირატესობა:

- შესაძლებლობას აძლევს სუსტად მხედველ მოსწავლეს ჩაიწეროს საკლასო სემინარი;
- საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოამზადოს და ჩაწეროს სასწავლო ტექსტის აუდიო ჩანაწერი, რაც შემდგომში დაეხმარება სუსტად მხედველ მოსწავლეს სასწავლო მასალის ათვისებაში;
- პერსონალური კომპიუტერის ხმის ჩამწერი პროგრამები დამატებით საშუალებას იძლევა დარეგულირდეს ხმის რეპროდუქციის სიჩქარე. სიჩქარის დარეგულირების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რადგან შესაძლებელია მოსწავლეს ქონდეს კითხვის სხვა ტემპი, ხოლო აუდიო რეპროდუქციის სხვა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლეს შეექმნას სირთულეები ტექსტის დამუშავებაში. აუდიო მასალის რეპროდუქციის

ტემპის დარეგულირება, კონკრეტულ მოსწავლეზე მორგება ზემოთ ხსენებულ რისკებს ამცირებს. უფასო ხმის ჩამწერი პროგრამა კომპიუტერისთვის http://audacity.sourceforge.net/

სურათი 16

დამხმარე საშუალებების გამოყენება - „ემოციური უსაფრთხოება“

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სუსტად მხედველ მოსწავლეები თავს არიდებენ გამადიდებლების ან სხვა სახის დამხმარე საშუალებების ხშირ და ეფექტურ გამოყენებას არა იმიტომ, რომ დამხმარე საშუალებები ფუნქციურად არასწორადაა შერჩეული, არამედ იმის გამო, რომ მათი გამოყენებით ისინი „განსხვავებულები“ არიან სხვა მოსწავლეებისგან, რაც შემდგომში შეიძლება დაცინვის, ნეგატიური სახით გამორჩევის, გარიყვის საფუძველიც გახდეს. გარდა ამისა, არსებობს რისკი სუსტად მხედველი მოსწავლის მიერ სხვადასხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით, მაგ. გამადიდებელი ვიდეო კამერაCCTV, სხვა მოსწავლეებს გაეფანტოთ ყურადღება დავალების შესრულებისას და ამით საფრთხე შეექმნას გაკვეთილის სრულფასოვან ჩატარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ კლასში არ განხორციელდება სხვადასხვა სახის დამატებითი აქტივობები მთლიან კლასთან სასწავლო საკითხების შესახებ და სოციალური ურთიერთობები თვითდინებაზე იქნება მიშვებული, მაღალია იმის ალბათობა რომ, ჩაიშალოს სასწავლო პროცესი და სუსტად მხედველმა მოსწავლემ არ გამოიყენოს დამხმარე საშუალებები ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ის გახდეს დაცინვის ობიექტი. იმისათვის, რომ ეს საფრთხეები თავიდან იყოს აცილებული, აუცილებელია სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიებების გატარება. კლასი „ცოცხალი“ ორგანიზმია თავისი განვითარების უნიკალური გზით, არ არსებობს რაიმე სახის „რეცეპტი“, რომელიც ყველა შემთხვევაში იმუშავებს, თითოეული რეკომენდაცია აუცილებლად მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ მოსწავლეთა ჯგუფზე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სწავლის უნარის განსხვავებულობა, უნდა მოერგოს ყველა მოსწავლეს და არა მარტო მათ, ვისაც

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. სასწავლო კურიკულუმის მასალები მრავალფეროვანი უნდა იყოს და მოიცავდეს ელექტრონულ და ონლაინ მასალებს.

გთავაზობთ რამდენიმე შესაძლო რეკომენდაცია, რომელიც წაადგება მასწავლებელს წარმატებული სასწავლო გარემოს ფორმირებაში

○ იქონიეთ გარკვევით განმარტებული, მაგრამ მოქნილი სასწავლო კურიკულუმი;

○ მოაწოდეთ კლასს სასწავლო მასალები სხვადასხვა ფორმატით;

○ შესთავაზეთ კლასს ინტერაქციის მრავალფეროვანი მეთოდები და შესძინეთ აზრი კურიკულუმს და მასალებს;

○ ნება მიეცით მოსწავლეებს ს ისწავლონ სხვა და სხვა მეთოდებით;

○ რაც შეიძლება მეტი სასწავლო მასალა აქციეთ ელექტრონულ მასალად;

○გამოკითხეთ თქვენს მოსწავლეებს იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მანამდე პოზიტიური ან ნეგატიური წვლილი შეიტანა მათი სწავლის გამოცდილებაში;

○ გაეცანით თქვენი სკოლის რესურსებს, რა სახის წარმატებები აქვთ თქვენს კოლეგებს მოცემულ კლასთან;

○ ძალისხმევა არ დაიშუროთ, რომ მოუწოდოთ და ჩართოთ სუსტად მხედველი მოსწავლე საკლასო აქტივობებში, როგორიცაა საკლასო დისკუსია და წყვილებში ან ჯგუფური დავალებები. თავდაპირველად მას შეიძლება დახმარება დაჭირდეს ამ პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის;

○ ყოველ ჯერზე, როცა ამის შესაძლებლობა იქნება, ისე დაგეგმეთ საკლასო აქტივობები, რომ მოერგოს ნებისმიერი ვიზუალური უნარების მქონე მოსწავლეს;

○ თქვენ შეიძლება გამოიკვლიოთ მეთოდები, თუ როგორ ჩართოთ სხვა შეგრძნებები სწავლის პროცესში (მაგ. ისეთი აქტივობებით, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს შეეხონ საგნებს ან იმუშავონ ნივთიერებებთან, რომელთაც აქვთ გამორჩეული სურნელი);

○ მოძებნეთ ისეთი დასაბეჭდი მასალები, რომლებიც სპეციალურად უსინათლო ან სუსტად მხედველი მოსწავლეებისთვის არის შექმნილი, როგორიცაა დიდი შრიფტით დაწერილი ენობრივი მასალა და ბრაილის წიგნები. თქვენ

შეიძლება გამოგადგეთ კოპირების მანქანა, რომელითაც თქვენი ახლანდელი სახელმძღვანელოს მასალების გადიდებულ ვერსიას გააკეთებთ;

○ გამოიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა გაზარდოთ და ხელი შეუწყოთ სასწავლო პროცესს. მოსწავლეებს შეიძლება ერჩიოთ საკლასო სესიების აუდიო ჩანაწერების გაკეთება გამეორების მიზნით. ასევე შესაძლებელია გქონდეთ ჩაწერილი სახელმძღვანელო და დამხმარე მასალები, რათა თქვენს მოსწავლეებს შეეძლოთ მათი აუდიო წიგნებად გამოყენება;

○ შეიძლება სხვანაირად დაგეგმოთ დავალებების ტიპები და მოსწავლეების შესრულებული დავალებების შეფასების პროცესი. მაგალითად, შეგიძლიათ მისცეთ ისეთი წერითი დავლებები, რომლის მომზადება მოსწავლეს ბრაილის კლავიატურის გამოყენებით შეეძლება ან ალტერნატივად, შეიძლება ნაბა დართოთ გააკეთოს თავისი შესრულებული დავალების აუდიო ჩანაწერი.

თავი III

მობილობა, ორიენტაცია და საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები

სივრცითი ორიენტაცია და მობილობა

შესავალი

წინამდებარე თავი მიეძღვნება სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განვიხილავთ სწორი სივრცითი ორიენტაციის მნიშვნელობას უსინათლო და მხედველობა დაქვეითებული ბავშვის ცხოვრებაში. ასევე აღვწერთ სივრცითი ორიენტაციის განვითარების ეტაპებსა და სტრატეგიებს მხედველობის სხვადასხვა დარღვევის დროს, ვისაუბრებთ სივრცით მიმართებებზე და მათი საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობაზე აკადემიური უნარების განვითარებისას. აქვე მიმოვიხილავთ სივრცის სწორი აღქმის და სივრცითი ორიენტაციის მნიშვნელობას ბავშვის ფუნქციური, აკადემიური თუ სოციალური განვითარებისთვის. ვისაუბრებთ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის დამოუკიდებელ მობილობაზე, ანუ გადაადგილებაზე ნაცნობ თუ უცნობ გარემოში. გამომდინარე იქედან, რომ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება უსინათლო და მცირემხედველი ბავშვისთვის ორიენტაციის სწავლების მეთოდოლოგია და სტრატეგიები, წინამდებარე თავში მათ ცალცალკე განვიხილავთ.

რიგი საკითხებისა, რომლებზეც ამ თავში გვექნება საუბარი, შეუძლებელია დაიძლიოს მხოლოდ პედაგოგის ჩარევით, მოსწავლის მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. ბუნებრივია, პედაგოგს გაუჭირდება ყველაფრის სწავლება რომელიმე საგნის გაკვეთილზე. ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სკოლამდელი აღზრდის სისტემა არც თუ კარგად არის განვითარებული. პედაგოგი კი წარმოადგენს ავტორიტეტს, არა მხოლოდ მოსწავლის, არამედ მისი ოჯახის წევრების თვალშიც. ამიტომაც გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი უსინათლო ან მცირე მხედველი მოსწავლის მშობლებს. სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობით მიღწეული შედეგი ყოველთვის უალტერნატივოა მოსწავლის სწორი აღზრდის საქმეში.

ქვემოთ შეხვდებით სხვადასხვა მეთოდებს, სტრატეგიებს, რეკომენდაციებს, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია საგაკვეთილო პროცესში. განვიხილავთ შემთხვევებს, როდესაც სრულიად შესაძლებელია აქ მოცემული რჩევების ინტეგრირება ამა თუ იმ საგნის გაკვეთილზე. ასევე შეგხვდებათ რეკომენდაციები, რომლებიც გასათვალისწინებელია, არასაგაკვეთილო დროს, გართობისას, ექსკურსიებზე, სახლში და ა.შ.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ, მისი პრაქტიკაში გამოყენებისას, თქვენ შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ არის კიდევ ბევრი საკითხი, რომლის სწავლებაც ესაჭიროება თქვენს მოსწავლეს. თქვენ კი თავს არც თუ კომპეტენტურად თვლით ამ შემთხვევებში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სივრცითი ორიენტაცია და მობილობა საუნივერსიტეტო დისციპლინაა. აქ გთავაზობთ მხოლოდ ძალიან აუცილებელ ასპექტებს, რომელთა გათვალისწინებითაც თქვენი ურთიერთობა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლესთან საკმაოდ წარმატებული იქნება. სასურველია, მხედველობა დაქვეითებული ან უსინათლო ბავშვის მშობლებმა მიმართონ სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ინსტრუქტორს, რათა მან დამატებით იმუშავოს ბავშვთან, გაკვეთილების შემდგომ.

სივრცეში ორიენტაციის სწავლება მეტად მნიშვნელოვანია მხედველობა დაქვეითებული ადამიანისათვის.

სივრცე (ინგ. space): ხშირად მხოლოდ ღია სივრცის ასოციაციას იწვევს. სინამდვილეში სივრცე არის ჩვენს გარშემო არსებული გარემო. უსინათლო ბავშვს კი, რომელსაც მხედველობა დაბადებიდან არ აქვს, ან ორ წლამდე ასაკში დაკარგა, სივრცის აღქმა, შესაძლოა, არასწორი ჰქონდეს.

ორიენტაცია (orientation): მოცემული გრძნობათა ორგანოების გამოყენების პროცესი სივრცეში, სივრცეში საკუთარი თავის, სხვა მოძრავი თუ უძრავი ობიექტების აღქმა.

მობილობა (mobility): უნარი, მოხერხებულობა და მზადყოფნა გადასაადგილებლად.

სწავლების მიზანი: უსაფრთხო, დამოუკიდებელი, ეფექტური და მოტორულად მოქნილი გადაადგილება სამიზნე წერტილისკენ.

ორიენტაციისა და მობილობის უნარის განვითარება:

ორიენტაციის და მობილობის ხელშეწყობა შედგება შვიდი კომპონენტისგან:

1. სენსორული განვითარება (Sensory Development);
2. კონცეპტუალური განვითარება / ცნებების ჩამოყალიბება (სივრცული ცნებები და გარესამყაროს კონცეფციები) (Concept development);
3. მოტორული განვითარება (Motor Development);
4. გარესამყაროს განცდა: ფიზიკური გარემო (Environmental Awareness);
5. გარესამყაროს განცდა: სოციალური გარემო (Community Awareness);
6. ფორმალური საორიენტაციო უნარები (Formal Orientation skills);
7. ფორმალური მობილური უნარები (Formal Mobility Skills).

1. სენსორული განვითარება	მიზნების / შინაარსის ხელშეწყობის ნიმუში
მხედველობა	ნარჩენი მხედველობის გამოყენება გადაადგილებისას; ვიზუალური მოძრაობის სტიმულირება; სივრცული ნიშნების ვიზუალური შეგრძნება; ვიზუალური გარემო პირობების ოპტიმირება.
სმენა	შემჩნევა, ხმების ლოკალიზაცია და იდენტიფიკაცია; ხმების გამოყენება მოძრაობის სტიმულირებისათვის, ორიენტაციისათვის (სად ვარ?) და გადაადგილებისათვის (მაგ. ხმაურის ობიექტზე ხელის ჩავლება მისაწვდომ მანძილზე, ტიპური გარე ხმების შეცნობა, ხმაურიან ადგილთან მისვლა (მისაწვდომი მანძილის გარეთ), მოლაპარაკე ადამიანის მიყოლა, ხმაურით მიმართულების აღება და სხვა.
ტაქტილური შეგრძნება	შემჩნევა, ლოკალიზაცია და იდენტიფიკაცია; ტაქტილური მასალის განსხვავება (ხელებით და ფეხებით); ტაქტილური ინფორმაციების გამოყენება ადგილების მოსანიშნად/დასამახსოვრებლად: ტაქტილური განსხვავებები სახლის შიგნით და გარეთ; ნიადაგის შემადგენლობა და ა.შ.).
□□□□□□	განსხვავებული სუნების შეგრძნება და გარჩევა; ყნოსვითი ინფორმაციების გამოყენება საკუთარი პოზიციის ან სამიზნე ადგილის გასარკვევად (მაგ. სამზარეულო, აბაზანა, საკუჭნაო, …)

2. მოტორული განვითარება	მიზნების / შინაარსის ხელშეწყობის ნიმუში
თავის დაჭერისა და წონასწორობის დაცვის მოტორიკა (სხეულის სტაბილური პოზიციები)	მაგ. წონასწორობა ჯდომისას; დგომა
მოტორული უნარების გამოყოფა	მაგ. კიბეზე ასვლა, ხტუნვა, შორ მანძილზე ხტომა, ჩამოხტომა, ახტომა, სირბილი, ცალ ფეხზე დგომა. მაგ. სათამაშო მოწყობილობების გამოყენება სათამაშო მოედანზე (ქანაობა, სრიალი, ქანქარი, ძრომა), სათამაშო მანქანის, სამფეხა ველოსიპედის ტარება. მაგ. მოძრაობის ხარისხი (მოძრაობის სურათი: ნაბიჯების სიგრძე, სიჩქარე, მკლავების მოძრაობა).

3. კონცეპტუალური განვითარება / ცნებების ჩამოყალიბება	მიზნების / შინაარსის ხელშეწყობის ნიმუში

სხეულის სქემა	• საკუთარი სხეულის ნაწილებისა და საკუთარი მოძრაობების ცოდნა; • საკუთარი სხეულის ნაწილების დიფერენცირებული ცოდნა (დასახელება); • სხეულის დონეების იდენტიფიკაცია (წინ – უკან; ზემოთ – ქვემოთ; გვერდები; ზედა vs. უკანა ტანი); • გარკვეული პოზების აღმნიშვნელი ცნებები (წინ გადახრა, ხელები მაღლა – დაბლა, თავის გაქნევა); მარჯვენა/ მარცხენას განსხვავება.
სივრცული ცნებების გაგება და გამოყენება	წინაპირობა: შესაბამისი სივრცული მიმართებების ძირითადი გაგება: მაგ. ობიექტის პერმანენტულობა; ხმიანი, უხმო, დაფარული ობიექტების პოვნა; მონიშნული ადგილების გამოყენება; უშუალო კონტაქტი ობიექტებთან (ობიექტის ქვეშ დაწოლა, ზედ დაჯდომა); რელაციური/მიმართებითი თამაშები: ნივთების მოთავსება სათავსოში და ა.შ.); წინდებულები: ში, შიგ, გამო, ზე, ქვეშ, ზემოთ, ქვემოთ, ზედ, უკან, გვერდით, შუა, მარცხნივ/მარჯვნივ; • აღქმა სხეულის ნაწილების დახმარებით (მაგ. ხელის თავს უკან აწევა); • ადამიანისა და საგნის მიმართების გაგება: ობიექტის მიმართება საკუთარ სხეულთან (მაგ. „საგანი არის შენს წინ/უკან“) და სხეულის მიმართება ობიექტთან (მაგ. ობიექტის წინ/უკან დადგომა); • ობიექტების ურთიერთმიმართების გაგება (მაგ. მანქანა დგას გარაჟის უკან); • შესაბამისი ცნებების გამოყენება (სად არის ?).

თვისებრივი ცნებების გაგება	გარჩევა და იდენტიფიკაცია სხვადასხვა: • ნივთების (ქვა, მეტალი, შუშა და სხვ.); • თვისობრივი აგებულების (ხორკლიანი – პრიალა, მაგარი – რბილი); • კონტურების (სწორი – დახრილი, ბრტყელი,); • ფორმების; • ფუნქციების (მაგ. სხეულსი ნაწილების, ობიექტების); • სიდიდე, წონა, ტემპერატურა, რაოდენობა, მანძილი, დრო; • (მაგ.: „რამდენი კედელი აქვს ოთახს?“ „რამდენი კუთხე აქვს მაგიდას?“ და ა.შ.).

4. გარემოს აღქმა სახლის პირობებში	დახმარების / ხელშეწყობის პრინციპები:
სახლის, ცალკეული ოთახების აღქმა	• მყარი ამოსავალი წერტილი: შეზღუდული სივრცე (მაგ. საუკეთესო კუთხე საცხოვრებელ ოთახში, ბავშვის ოთახში); • მყარად განსაზღვრული ადგილი ნივთებისათვის (ცვლილებების ჩვენება), კედლების (ოთახის საზღვრების) გასწვრივ სიარული; • ბავშვისთვის ობიექტების, ადგილებისა და ოთახების დასახელება (კონსისტენტური დასახელებები!); • ნაცნობ ადგილებზე (ვიზუალური, აკუსტიკური, ტაქტილური, ოლფაქტორული) ყურადღების გამახვილება; ბავშვის ყურადღებაზე გამოხმაურება, • უკეთესი ადგილების ძებნა; • გარკვეული „მარშრუტების“ ერთად „შემუშავება“;

5. გარესამყაროს აღქმა: სახლს გარეთ	
სახლის შესასვლელის, ბაღის, სათამაშო მოედნის, სკოლისკენ მიმავალი გზის ნაწილების, სკოლის ეზოს გარე ტერიტორიის და სხვ. გაცნობა	დახმარების / ხელშეწყობის პრინციპები: • მარშრუტების შედგენა; • მონიშნულ ადგილებზე, ხმაურზე და სხვ. რეაგირება; • „იგივე“ გზით სიარული (მობრუნების, მიმართულების ცვლილების გაგებინება ხელიხელჩაკიდებულად / მხედველ თანმხლებთან სიარულის დროსაც). პრინციპი: ყველაფერში გარკვევა, ყველაფრის აღწერა, რაც ბავშვს დამოუკიდებლად გადაადგილებაში ეხმარება; • დამოუკიდებელი მოქმედებისთვის თვალყურის დევნება; • ნაცნობი ადგილისკენ მიმავალი გზის აღწერა მაგ. განსხვავებული კედლების, კარების, კუთხეების, განათების ბოძების, წვიმის, ფანჯრების, მიწის და იატაკის ფენის, დონეების, მცენარეების (ხეების, ყვავილების), ტროტუარის ამაღლებული ნაწილის … იდენტიფიკაცია. მაგ. განსხვავებული ხმების / მანქანების იდენტიფიკაცია ხმის მიხედვით (ძაღლის ყეფის, ჩიტის ჭიკჭიკის, ეკლესიის ზარების, ავტომობილის, მოტოციკლეტის, საბარგო მანქანის, ტრაქტორის, თვითმფრინავის), ყურადღებით ყოფნა გზის გადაკვეთისას: რატომ მოდის მანქანა? როდის შეგვიძლია წასვლა?

6. ორიენტაციის ფორმალური უნარები	• სენსორული უნარები, მაგ. ხმაზე ორიენტაცია (ხმაურის წყაროს ირიბი გამოყენება საორიენტაციოდ); ექოს ლოკალიზაცია, აკუსტიკური ჩრდილების გამოყენება); • სივრცის სისტემატური შესწავლა; • ობიექტის გასწვრივ სრიალი; • საორიენტაციო ხაზების გამოყენება; • ორიენტირება; • ნაცნობი ადგილების გამოყენება; • მარშრუტების შედგენა გარეთ; • ტაქტილური რუკებში გარკვევა; • გარესამყაროს კანონზომიერებებში გარკვევა.
7. ფორმალური მობილური უნარები	• მაგ. მხედველი თანმხლების ტექნიკები; • მაგ. თავდაცვის ტექნიკები; • მაგ. ჯოხის გამოყენება.

დაბადებიდან უსინათლო ბავშვებს ხშირ შემთხვევებში საკმაოდ უჭირთ სივრცეში, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვა ობიექტების მდებარეობის, მოძრაობის, მიმართულების, ფორმის აღქმა. უსინათლო ან მცირე მხედველ ადამიანს ისევე შეუძლია სივრცეში დამოუკიდებლად, თავისუფლად ორიენტირება და გადაადგილება, როგორც მის ასაკში მხედველებს. მაგრამ ეს მხოლოდ სწავლების შედეგად ხდება შესაძლებელი. დამოუკიდებლობას ყველა ასაკში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სწორი ფსიქოემოციური განვითარებისათვის. კვლევების თანახმად, შედარებით მეტად დამოუკიდებელი ადამიანები უფრო თავდაჯერებულნი არიან, მათ მაღალი თვითშეფასება აქვთ და წარმატებულ პიროვნებებად ყალიბდებიან. მუდმივად სხვაზე დამოკიდებული ბავშვები კი ძირითადად დაკომპლექსებულები, საკუთარ თავში ჩაკეტილები და ნაკლებად წარმატებულები იზრდებიან. რაც უფრო ადრეულ ასაკში შევაჩვევთ ბავშვს დამოუკიდებლობას, მით უფრო გაუადვილდება მას ყველაფრის კეთება და ჯანსაღი ფსიქიკის პიროვნებად ჩამოყალიბდება იგი.

არსებობს განსაზღვრული მეთოდოლოგია, ასევე მთელი რიგი დამხმარე

საშუალებები, რომლებიც ავითარებენ და აადვილებენ სივრცეში დამოუკიდებლად ორიენტირებას და გადაადგილებას. მათ შესახებ ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

სივრცითი ორიენტაციის უნარის განვითარება ადრეულ ასაკში

ჩვეულებრივ, ნორმალური განვითარების ბავშვი, რამდენიმე თვის ასაკიდან იწყებს მოძრაობას იმ საგნების მიმართულებით, რომლებსაც ხედავს და რომლებიც მის ინტერესს იწვევენ. თუ ბავშვს არ აქვს მხედველობა და მისი აღმზრდელები არც ტაქტილურ (შეხებით) სტიმულატორებს (გამღიზიანებლებს) იყენებენ, რომ მან მოძრაობა დაიწყოს, ხშირად ბავშვის სხეული პასიურდება და კუნთები დროულად არ ვითარდება. ორგანიზმი მზად არის, მაგრამ ჯერ არ იწყებს მოძრაობას, არც ფორთხვას, არც ხელის გაშვერას რაიმე საგნებისკენ და ასე შემდეგ. ხმოვანი გამღიზიანებლებიც კი ზოგჯერ არ არის ეფექტური საშუალება იმისთვის, რომ ჩვილი დაინტერესდეს და მათკენ ხელი გაიშვიროს ან გაფორთხდეს. უცხო ხმები და უცნობი სივრცე ჩვილში დაუცველობის განცდას იწვევს. ამიტომ მას ურჩევნია ერთ ადგილზე დარჩეს. ამ შემთხვევაში, მასტიმულირებელია დედის ან მზრუნველის ხმა, დაძახება, მოფერება.

მცირე მხედველი ჩვილიც კი, შედარებით პასიურია სივრცეში გადაადგილების დროს. მხედველობის დარღვევის ტიპიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა ვერ არჩევდეს სათამაშოს შორ მანძილზე ან იმდენად ფრაგმენტულად ხედავდეს მას, რომ ვერ აღიქვამდეს მთლიან ობიექტად. ასევე შესაძლოა, ჩვილი ვერ ხედავდეს, ვთქვათ, შავ ფონზე დადებულ წითელ სათამაშოს. საჭიროა, კონტრასტების გაზრდა. შავ-თეთრი კუბოკრული ხალიჩა, ბალიშის პირი, მაგიდის თუ საწოლის გადასაფარებელი კარგი მასტიმულირებელია თვალისთვის. იმისათვის, რომ ჩვილმა კარგად გაარჩიოს დედის სახე, შესაძლოა ქერათმიანმა მშობელმა ატაროს შედარებით მუქი მაკიაჟი. სათამაშოები უნდა იყოს მკვეთრი ფერის. ისინი უნდა დავკიდოთ ან დავაწყოთ მკვეთრად განსხვავებულ ფონზე, რომ ჩვილმა ადვილად აღიქვას ყველა მათგანი. ხმოვანი სათამაშო დედამ ან მზრუნველმა ისეთი ფორმით უნდა წარუდგინოს უსინათლო ან მხედველობა დაქვეითებულ ჩვილს, რომ იგი დაინტერესდეს და თან დაცულადაც იგრძნოს თავი. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, თუ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთან ჩვილობის ასაკიდანვე არ მუშაობს ადრეული ჩარევის სპეციალისტი, ბავშვი ვერ ივითარებს საჭირო უნარებს საჭირო დროს და სკოლაში შესვლის პერიოდისთვის, განვითარების გარკვეული ეტაპები გამოტოვებული აქვს. აქ უკვე პედაგოგის მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენის დრო დგება.

მეტად მნიშვნელოვანია, ბავშვის განვითარება გაგრძელდეს იმ ეტაპიდან, სადაც ის არის გაჩერებული. თუ აღმოჩნდა, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი სათანადოდ ვერ ფლობს სივრცით მიმართებებს, მას ძალიან გაუჭირდება კლასში ან დერეფანში ორიენტირება, თუნდაც წერა-კითხვის სწავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ, გეომეტრიის შესწავლაზე.

სივრცითი მიმართებები და საკუთარი სხეულის აღქმა

პირველ ეტაპზე, საჭიროა მასწავლებელმა გამოარკვიოს, რამდენად სწორად ესმის უსინათლო ან მხედველობა დაქვეითებულ მოსწავლეს სივრცითი მიმართებები. იცის თუ არა მან, რას ნიშნავს: ზევით, ქვევით, ზემოდან, ქვეშ, გვერდით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, გარშემო, აქეთ, იქით, შუაში, ჩემსკენ, შენსკენ და სხვა. ასევე თანდებულები: ზე, ში, კენ, თან, დან, მდე და სხვა. განსხვავებულია სივრცითი მიმართებების აღქმა მხედველობის დარღვევის სხვადასხვა ფორმისას და სხვადასხვა გარემოში თუ სიბრტყეზე. მაგალითად, ფურცლის ზედა და ქვედა ადგილები განსხვავდება მერხის ზედა და ქვედა ადგილებისგან. ასევე, ჩემგან მარჯვნივ და ჩემგან მარცხნივ არსებული საგნები არ შეესაბამება ჩემს პირისპირ მდგომი ადამიანის მარჯვნივ და მარცხნივ არსებულ საგნებს. თუ ჩემგან (მოსწავლისგან) მარჯვნივ ზის დათო, ხოლო მარცხნივ _ გვანცა, მაშინ ჩემს (მოსწავლის) პირისპირ მდგომი მასწავლებლის მარჯვნივ ზის გვანცა, ხოლო მარცხნივ _ დათო. ამის გაგება უსინათლო ბავშვისთვის ძალიან რთულია მხოლოდ ვერბალური ახსნით თუ მას სივრცითი მიმართებების გაგების პრობლემა აქვს. მცირე მხედველი ბავშვიც, შესაძლოა აღიქვამდეს, მაგალითად, ფურცელს ფრაგმენტულად. ხედავდეს მხოლოდ მის შუა ნაწილს, რომელიმე კიდეს ან მთელ ფურცელს ლაქებად. პირველ ეტაპზე, უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ ხედავს ბავშვი სხვადასხვა გარემოში. ეს ინფორმაცია აუცილებლად დაგვჭირდება და გამოგვადგება სწავლებისას. შეგვიძლია თავად ბავშვს ვკითხოთ მისი მხედველობის მდგომარეობის შესახებ. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მან იცის, თუ რას როგორ ხედავს მისი მოსწავლე, რათა გაუადვილდეს მისთვის სწავლების პროცესის დაგეგმვა.

მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეს თავდაპირველად ვასწავლით საკუთარი სხეულის მიმართებას სივრცეში. მე წინ მაქვს: სახე, მკერდი, მუცელი, მუხლები, ფეხის თითები; უკან მაქვს: თავი, თმა, ზურგი, ქუსლები; გვერდებზე მაქვს: ყურები, ხელები და თეძოები. შემდგომ ეტაპზე ვიწყებთ გვერდების განსხვავებას, ანუ მარჯვენა ხელი, რომლითაც ვჭამთ, ვძერწავთ, ვწერთ, ვხატავთ და ა.შ. (მარჯვენა დომინანტური ხელის შემთხვევაში). თუ მოსწავლე დაიმახსოვრებს, რომელია მარჯვენა, შემდეგ გაუადვილდება მიხვდეს, რომელია მარცხენა. ამის შემდგომ, შეგვიძლია გადავიდეთ ფეხზე, ყურზე, თვალზე, თეძოზე. მარჯვენა ხელის მხარეს იქნება მარჯვენა ფეხი, ყური და სხვა. ხოლო მარცხენა ხელის მხარეს, შესაბამისად, მარცხენა ფეხი, ყური და ასე შემდეგ.

შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა სავარჯიშოები. მაგალითად, მასწავლებელი იძლევა ინსტრუქციას:

1) შენს წინ, მერხზე დევს კუბი, აიღე და მომაწოდე ის მარჯვენა ხელით.

2) შენს წინ, მერხზე დევს ორი კუბი, აიღე მარჯვნივ მდებარე კუბი და გადადე მარცხენა მხარეს.

3) მერხზე დევს სამი კუბი, აიღე შუა კუბი მარცხენა ხელით, გადაიტანე მარჯვენაში და მომაწოდე.

4) ახლა ადექი და დადექი სახით ჩემსკენ.

5) ჩემი ინსტრუქციის მიხედვით, შებრუნდი იმ მხარეს, რომელსაც დავასახელებ: მარჯვნივ, მარცხნივ, უკან, საწყისი პოზიცია. ბავშვი თქვენი ხმის მიხედვით უნდა დაბრუნდეს საწყის პოზიციაზე, ამიტომ თქვენ არ უნდა იმოძრაოთ ინსტრუქციების მიცემისას და უნდა ეცადოთ თავიც არ ამოძრაოთ მარჯვნივ ან მარცხნივ. ამან მოსწავლე შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

თუ თქვენი მოსწავლე უსინათლოა, მაშინ მას სწავლებისას უნდა შევეხოთ ხელით სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებზეც ვესაუბრებით. ასევე ხელით უნდა მოვასინჯინოთ, თუ ზუსტად სად აწყვია კუბები მის მერხზე. მცირე მხედველ მოსწავლეს კი შეგვიძლია ვთხოვოთ, თავად გვიჩვენოს, თუ სად დევს კუბი. იმ შემთხვევაში, თუ ის ამას ვერ ახერხებს, ვაჩვენებთ მას ხელით. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, ბავშვმა იცოდეს, რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა, მაგრამ ვერ შეგისრულოთ დავალება, რადგან იგი ვერ ხედავს, თუ სად დევს კუბი. ამიტომ პირველ რიგში, შეამოწმეთ, თუ რას ხედავს თქვენი მოსწავლე და რას ვერა.

სწავლების შემდეგ ეტაპზე გადავდივართ ფურცელზე ორიენტირებაზე. ფურცლის ზედა და ქვედა მხარეები, ფურცლის კუთხეების მდებარეობა, მარჯვენა და მარცხენა კიდეები, ფურცლის შუა ნაწილი. შემდეგ ფურცლის მდებარეობა ჩემგან (ბავშვისგან) წინ თუ გვერდზე. ასევე, ვსწავლობთ მერხის ზედაპირის მოყვანილობას, მის ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა მხარეებს. რას ნიშნავს საგანი დევს მერხზე? მერხის ზედა მარცხენა კუთხეში დევს წიგნი, მისწიე ის შენთან ახლოს. რას ნიშნავს მერხის ქვეშ? მერხის ქვეშ, იატაკზე არის ფურცელი, თუ შეიძლება აიღე ის და დადე მერხზე. ასევე შესაძლოა გამოვიყენოთ ყუთი და ავხსნათ სივრცითი მიმართებები ყუთის დახმარებით. ყუთს ჯერ ვსწავლობთ გარედან და ვარკვევთ, სად იქნება ყუთის ზედა თუ ქვედა მხარეები, საით არის ყუთის წინა და უკანა მხარე. შემდეგ ვხსნით მას და ვარკვევთ, რას ნიშნავს ''ყუთში'' და ''ყუთზე''. შიდა მხარესაც ვარკვევთ სივრცით მიმართებებს და უკვე კარგად გაგების შემდეგ, ვადარებთ მათ ყუთის გარეთა მხარეებთან. მერე შეგვიძლია განვსაზღვროთ ისიც, რომ მაგალითად, ყუთის მარჯვენა კედლის გარეთ ამ კედლის მარჯვენა მხარეა, ხოლო შიგნით _ მარცხენა მხარე. ამასთან, ყუთი არის ოთახის მინი მოდელი. მასზე, შესაძლებელია ოთახში არსებული სივრცითი მიმართებების შესწავლა. ყუთს, ისევე, როგორც ოთახს, აქვს ოთხი კედელი, ოთხი კუთხე, თავი და ძირი. ამ თავს და ძირს, ოთახში ქვია ჭერი და იატაკი.

ოთახის შესწავლა

ამგვარი მიმართებების შესწავლის შემდგომ, გადავდივართ უშუალოდ ოთახის შესწავლაზე. სწავლას ვიწყებთ შემოსასვლელი კარიდან. თუ კარს ორი ფრთა აქვს, საწყის პუნქტად ვიღებთ კარის უძრავ ფრთას, რათა უსაფრთხოდ დავდგეთ. შემდეგ ბავშვთან ერთად მივყვებით იმ კედელს, რომელზეც კარია, ისე, რომ მოსწავლემ ხელი გააყოლოს კედელს და ვუვლით საკლასო ოთახს გარშემო. ვითვლით კედლებს

და კუთხეებს. ვიმახსოვრებთ, თუ რომელ კედელზეა კარი (პირველი კედელი) და რომელ კედელზეა ფანჯარა (მეორე, მესამე ან მეოთხე კედელი). ვითვლით ფანჯრების რაოდენობას და ვიმახსოვრებთ ყველა მათგანის მდებარეობას. შემდეგ ვამბობთ, რომ კლასი არის დახურული სივრცე, მას აქვს ჭერი და იატაკი. ჭერი ჩვენგან ზემოთ არის და მას ხელით ვერ ვწვდებით, იატაკზე კი დავდივართ. ჭერის სიმაღლის ბავშვისთვის ჩვენება შესაძლებელია გრძელი ჯოხის დახმარებით. მცირე მხედველი მოსწავლე სავარაუდოდ, დაინახავს კიდევაც ჭერის სიმაღლეს. თუ ატყობთ, რომ ბავშვი საკმაოდ კარგად ხედავს, შეგიძლიათ, მას ასე არ შემოატაროთ ოთახი და უბრალოდ სთხოვოთ, გითხრათ, რამდენი კედელი და კუთხე აქვს მას, გიჩვენოთ საით მხარეს არის კარი და ფანჯარა. შეიძლება დაგჭირდეთ მოსწავლის ახლოს მიყვანა რომელიმე ნივთთან, რომ მან სრულად და კარგად აღიქვას იგი. მიეცით ბავშვს საშუალება, ხელით შეეხოს ყველაფერს და შეისწავლოს გარემო, მისთვის მოსახერხებელი ფორმით.

ოთახის მოყვანილობის შესწავლის შემდეგ, მას მერე, რაც ბავშვმა უკვე იცის რამდენი კედელი, კუთხე, კარი და ფანჯარა აქვს საკლასო ოთახს, სად მდებარეობენ ისინი ერთმანეთთან მიმართებით, გადავდივართ ოთახში არსებული საგნების მდებარეობის შესწავლაზე. მოსწავლე კვლავ დგება კართან და იწყებს მოძრაობას რომელიმე კედლის გასწვრივ. მოსწავლეს ვაჩვენებთ ყველა საგანსა თუ ნივთს, რომელიც არის საკლასო ოთახში. არ აქვს მნიშვნელობა ეს ნივთები მას ამ წუთას სჭირდება თუ არა. ცოდნა იმის შესახებ, რომ საკლასო ოთახის უკანა კედელზე, მარცხენა მხარეს კიდია ლადო ასათიანის ფოტო სურათი, ისევე მნიშვნელოვანია უსინათლო ან მცირე მხედველი მოსწავლისათვის, როგორც მისი თანაკლასელებისათვის.

საკლასო ოთახის გარშემო შემოვლის შემდეგ, შეგვიძლია ბავშვს ვაჩვენოთ ოთახის შუაგულიც. დავათვალიერებინოთ მერხების განლაგება რიგებში, ვაჩვენოთ სად დგას მასწავლებლის მაგიდა და სხვა. უსინათლო ბავშვისთვის ოთახის სწავლებისას, ყოველთვის ვმოძრაობთ ერთი და იმავე მიმართულებით. მაგალითად, საწყისი წერტილიდან პირდაპირ. საწყის წერტილთან დაბრუნების შემდეგ, გადავდივართ რამდენიმე ნაბიჯით მარჯვნივ ან მარცხნივ და ისევ მივდივართ პირდაპირ. მერე ვბრუნდებით უკან და ასე ვაგრძელებთ მთელი ოთახის შესწავლას.

საორიენტაციო პუნქტები

უსინათლო ან მცირე მხედველი მოსწავლისთვის კონკრეტული მარშრუტის სწავლებისას, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გზად შეგვხვდება საორიენტაციო პუნქტები. მათი გამოყენება ძლიერ აადვილებს გადაადგილებას. თუ მოსწავლე დაიკარგება, იგი ყოველთვის შეეცდება, დაბრუნდეს უახლოეს საორიენტაციო პუნქტთან და შემდეგ იქედან განაგრძოს გზა.

არსებობს მუდმივი და დროებითი საორიენტაციო პუნქტები. მუდმივ პუნქტებში შედის, ისეთი ობიექტები, რომლებიც მუდმივად დგას ერთ ადგილზე

და მათი ცვლილება ფაქტობრივად არ ხდება. მაგალითად: საყრდენი სვეტი, ოთახში შესასვლელი კარი, კედლის მომრგვალებული კუთხე შესახვევთან, გადასასვლელი ზღურბლი, მოაჯირი და ა.შ. ხოლო დროებითი საორიენტაციო პუნქტებია, ისეთი ობიექტები, რომელთა გადაადგილებაც სავარაუდოა. მაგალითად, საყვავილე, ნაგვის ურნა, მანქანა, მერხი, სკამი და სხვა. თავის თავად კარი კარგი საორიენტაციო პუნქტი შეიძლება იყოს, მაგრამ თუ ჩვენ დავაკონკრეტებთ, „შეგხვდება ღია კარი", ეს შეცდომა იქნება. კარი ხან დაკეტილი იქნება, ხან _ ღია. სწორია, მაგალითად, ''ერთი ერთფრთიანი კარის შემდეგ, მესამე ორფრთიანი კარი არის ბუნების კაბინეტი''. ამ შემთხვევაში, მოსწავლე უბრალოდ გადათვლის კარებს და მივა დანიშნულების ადგილას. თუ მოსწავლისთვის საჭირო ოთახი შორსაა, მაშინ ჯობს გასავლელ გზაზე სამიზნე ადგილთან ახლოს მდებარე საორიენტაციო პუნქტიდან დაიწყოს კარების დათვლა. მაგ.''რკინის კარის შემდეგ მეორე კარი'' და არა ''ამ დერეფანში მეათე კარი'', რომ არ გაუჭირდეს და არ აერიოს დათვლა.

მცირე მხედველი მოსწავლის შემთხვევაში, ვიყენებთ ვიზუალურ საორიენტაციო პუნქტებსაც. მაგრამ ეს პუნქტები მუდმივი უნდა იყოს და არ იცვლებოდეს. ასევე, მეტ-ნაკლებად თანაბრად უნდა იყოს ისინი განათებული დღის ყველა მონაკვეთში. თუ რომელიმე საორიენტაციო პუნქტს დილით ეცემა კაშკაშა მზის შუქი, ხოლო შუადღისას ის ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში დგას, ჩვენმა მოსწავლემ, შესაძლოა, საერთოდ ვერ დაინახოს იგი დღის რომელიღაც მონაკვეთში. ზოგ მცირე მხედველ ადამიანს, ზედმეტი განათებაც უქმნის პრობლემას. კვლავ ვიყენებთ ჩვენს ცოდნას მოსწავლის მხედველობის მდგომარეობის: ველისა და სიმახვილის შესახებ. შეეცადეთ, უზრუნველყოთ ისიც, რომ სკოლის დერეფნები და საკლასო ოთახები ზომიერად იყოს განათებული მთელი დღის მანძილზე. შეგიძლიათ, გამოიყენოთ ჟალუზი და ოთახის განათება. შეუთანხმდით კონკრეტულ მოსწავლეს.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ საორიენტაციო პუნქტთან ვართ, მოსწავლემ შეიძლება სხვადასხვა გზით მიიღოს. მაგ. ყნოსვით მიხვდეს, რომ ბუფეტია, გაიგოს ხელსაბანში წყლის ხმა, სახეზე იგრძნოს ფანჯრიდან შემოსული მზის სხივი, იგრძნოს კარიდან შემომავალი ნიავი და აშ. სივრცეში ორიენტირებისას ეს დამატებითი არხები ბევრ ინფორმაციას გვაწვდის.

საჭირო მარშრუტების სწავლება

უსინათლო ბავშვისთვის ოთახის მოყვანილობის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია, რათა მან უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნოს თავი. ასევე იმისთვის, რომ მან დამოუკიდებლად შეძლოს საკლასო ოთახში გადაადგილება და მისთვის სასურველ ადგილამდე მისვლა. საჭიროა, ბავშვს ვასწავლოთ ყველაზე მოსახერხებელი და უსაფრთხო გზა საკლასო ოთახის კარიდან მის მერხამდე, მერხიდან დაფამდე, ფანჯარამდე, მასწავლებლის მაგიდამდე. ბავშვმა უნდა იცოდეს ყველა შესაძლო მისასვლელი გზა, მაგრამ სასურველია ავუხსნათ, თუ რომელი გზა იქნება მისთვის ყველაზე უსაფრთხო და მოსახერხებელი. შესაძლოა, ბავშვმა თავადაც გააკეთოს

არჩევანი, თუ რომელი გზით ისარგებლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ, მაგალითად, მოსწავლეს ვასწავლით საკლასო ოთახის კარიდან მერხამდე მისვლას, შემდგომ აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ეს გზა უკანა მიმართულებით _ მერხიდან კარამდე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ორივე მიმართულების ერთდროულად სწავლება. ბავშვს გაუჭირდება დამახსოვრება და აერევა თანმიმდევრობა. მაგ. ჯერ დაფა ხვდება და შემდეგ გაღებულ ფანჯარასთან უნდა იყოს ფრთხილად, თუ პირიქით. რამდენჯერმე გავატაროთ ბავშვს ეს გზა და დავრწმუნდეთ, რომ ის უკვე თავდაჯერებულად ახერხებს მისთვის სასურველ ადგილამდე მისვლას და უკან დაბრუნებას. ასევე ვიქცევით მაშინაც, თუ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეს ვასწავლით საპირფარეშოში წასასვლელ ან სხვა საკლასო ოთახამდე მისასვლელ გზას.

კლასის გარეთ სკოლის ტერიტორიის შესწავლა

საკლასო ოთახთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია საპირფარეშომდე მისასვლელი მარშრუტის და თავად საპირფარეშოს შესწავლა. მოსწავლე შეგვყავს საპირფარეშოში და ვუხსნით, თუ როგორ იკეტება კარი შიგნიდან, სად არის უნიტაზი ან ჩეჩმა, ტუალეტის ქაღალდი, ნაგვის ურნა, ხელსაბანი, საპონი და ხელის საშრობი. საპირფარეშოს შესწავლაც შესაძლებელია იმავე მეთოდით, რომელიც საკლასო ოთახში გამოვიყენეთ.

ასევე, საჭიროა, მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეს ვაჩვენოთ, სად არის ბუფეტი და რისი ყიდვა შეიძლება იქ. თუ სკოლას აქვს სასადილო, ისიც უნდა შევასწავლოთ მოსწავლეს. ბუფეტის თანამშრომლები უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი იმის შესახებ, რომ სკოლაში სწავლობს მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება დახმარება სასურველი საჭმლის ან სასმელის ყიდვისას. საჭიროა, მას ვუთხრათ, თუ რისი ყიდვა არის შესაძლებელი ამჟამად ბუფეტში და რა ღირს თითოეული მათგანი. უმჯობესია, ხურდაც და შენაძენიც მივაწოდოთ მოსწავლეს პირდაპირ ხელში.

სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, ეზო, სტადიონი _ სკოლის ის შემადგენელი ნაწილებია, რომელთა შესახებაც წარმოდგენა აუცილებლად უნდა ჰქონდეს მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეს. ღია სივრცის შესწავლისას, ყურადღება მეტად უნდა გამახვილდეს ასფალტის ზედაპირზე. ბავშვი უნდა გავაფრთხილოთ უსწორმასწორო ზედაპირის ან რაიმე სხვა ბარიერის არსებობის შემთხვევაში. ღია სივრცეში შედარებით უფრო რთულია დამხმარე საშუალებების გარეშე გადაადგილება. თუ მოსწავლე არ ფლობს თეთრი ხელჯოხის გამოყენების ტექნიკას, მაშინ აქ მისი სმენა უნდა გამოვიყენოთ. ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ სმენის გამოყენებაზე ორიენტაციისას და დამხმარე საშუალებების როლზე მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანის ცხოვრებაში.

საათის პრინციპი

უსინათლო ან მცირემხედველი ბავშვისთვის საგნის მდებარეობის მარტივად ასახსნელად, აპრობირებული მეთოდია საათის პრინციპი. თუ ბავშვის წინ დევს რელიეფურ ნახაზიანი ფურცელი, ფურცლის ქვედა მხარეს, შუაში იქნება 6 საათი, ზედა მხარეს შუაში _ 12, მარჯვნივ _ 3, ხოლო მარცხნივ _ 9 საათი. შესაბამისად შეგვიძლია ხელით შეხების გარეშეც ავუხსნათ მოსწავლეს, თუ მის ფურცელზე რომელი ფიგურაა მართკუთხედი. მაგალითად ასე, თუ მართკუთხედი დახაზულია ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში, მაშინ ის პირველ საათზე მდებარეობს. თუ წრე მოცემულია ფურცლის მარცხენა შუა ნაწილში, ის ცხრა საათზეა. ზედა მარცხენა კუთხეში მდებარე სამკუთხედი იქნება ათ და თერთმეტ საათებზე და ა.შ.

საათის პრინციპი გამოიყენება ოთახშიც: ''შენგან სამ საათზე არის ფანჯარა, მიდი მასთან, რაფიდან აიღე საყვავილე და მომიტანე''. დერეფანში: ''ჩვენი საკლასო ოთახის კარიდან რვა საათზე არის საპირფარეშო. თუ შეიძლება მიდი კართან და გამოაღე''. ეზოში: ''თუ დადგები სკოლის შესასვლელი კარისკენ ზურგით, შენგან ორ საათზე იქნება შადრევანი. მიდი მასთან და მოუშვი წყალი''.



1. მაგიდაზე ორიენტირება საათის პრინციპის მიხედვით.

თავდაცვისა და ძიების ტექნიკები

არსებობს უსაფრთხოდ გადაადგილების რამდენიმე საშუალება. მათ თავდაცვის ტექნიკებს უწოდებენ. არსებობს სხეულის ზედა და ქვედა ნაწილების დაცვის ტექნიკები. ვსწავლობთ თავის დაცვას. ბავშვმა ცალი ხელი უნდა მიიტანოს შუბლთან, ხელისგულით გარეთ და შემდეგ ბოლომდე გაშალოს იგი წინ. ასე უნდა გადაადგილდეს იგი დერეფანში, ეზოში ან მისთვის არც თუ კარგად ნაცნობ გარემოში. არსებობს მკერდის დაცვაც, ბავშვს ხელი მიაქვს მკერდთან ახლოს, ხელისგულით გარეთ და შემდეგ შლის ხელს ბოლომდე. ამგვარად იცავს იგი მკერდს. ეს ტექნიკა კარგია, მაგრამ ბავშვი ვერ შეამჩნევს მაღალ ბარიერებს და შესაძლოა, მაინც დაეჯახოს. შემდეგი ტექნიკაა თეძოს დაცვა. ბავშვს ხელი მიაქვს მუცელთან ახლოს, ხელისგულით გარეთ და შემდეგ შლის მას ბოლომდე. ეს ტექნიკა კარგია დაბალი ბარიერებისთვის თავის ასარიდებლად. მკერდისა და თეძოს დასაცავად,

ბავშვი ხელს იჭერს სხეულის წინ დიაგონალურად, ხელისგულით გარეთ და მაქსიმალურად წინ შლის ხელს. ამ ტექნიკების გამოყენება შეგვიძლია წინასწარ დავგეგმოთ ნაცნობ გარემოში. თუ ვიცით, რა სიმაღლის ბარიერი შეიძლება შეხვდეს მოსწავლეს, წინასწარ ვაფრთხილებთ მას, რომ გზის რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთზე გამოიყენოს თავდაცვის შესაბამისი ტექნიკა. მაგალითად, ეზოში, სადაც ხეებია, უმჯობესია, მოსწავლემ გამოიყენოს თავის დაცვის ტექნიკა, რათა ის ავარიდოთ ტოტებს. თუ ბავშვი მოძრაობს ისეთ გარემოში, სადაც დაბალი სკამები უწესრიგოდ დგას, მოსწავლე იყენებს ქვედა ტანის დაცვას.

მცირე მხედველ მოსწავლეს, შესაძლოა, ყოველთვის არ დასჭირდეს ამ ტექნიკების გამოყენება. შეეცადეთ, განსაზღვროთ, რის დანახვას შეძლებს იგი და რისას ვერა. მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზეთ მას თავდაცვის ტექნიკის გამოყენება. შეიძლება, მცირე მხედველ მოსწავლეს მხოლოდ დღის რომელიმე მონაკვეთში დასჭირდეს მათი გამოყენება, მაგალითად მაშინ, როცა განათება არასაკმარისი ან ზედმეტად ჭარბია მისი თვალისთვის.

ასევე, ასწავლეთ თქვენს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა შევიდნენ ისინი დაბალ კარში, მაგალითად, ჩასხდნენ მანქანაში, დაიხარონ იატაკიდან რამის ასაღებად და ასე შემდეგ. თუ საფრთხე ემუქრება მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის თავს, მაშინ მიადებინეთ მას გაშლილი ხელისგული შუბლზე. ამ გზით, იგი თავიდან აიცილებს ავეჯის წვეტიან კიდეებს, მანქანის სახურავს ან დაბალი კარის დირეს და სხვას. განსაკუთრებით, მცირე მხედველი ადამიანი, ჩაკუზვისა და ადგომის დროს უნდა იყოს ფრთხილად. რადგან მხედველობის დაზიანება ხშირად თავად თvალის დაზიანებით არის ხოლმე გამოწვეული, ზედმეტმა დატვირთვამ, შესაძლოა, კიდევ უფრო დააზიანოს თვალის სტრუქტურა. ამიტომ მაქსიმალურად შეეცადეთ, მოარიდოთ ბავშვს ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა, მძიმეების აწევა, გადაღლა. თუ ბავშვს იატაკიდან ან დაბალი თაროდან უნდა რაიმე ნივთის აღება, იგი ჯერ უნდა ჩაიცუცქოს მუხლებზე, შემდეგ აიღოს ნივთი და ადგეს. ამ დროს, ცალი ხელით იგი იცავს შუბლს რამეზე მირტყმისგან. ჩვეულებრივ, ადამიანები ქვემოდან რამის აღებისას, პირდაპირ წელში იხრებიან, იღებენ სასურველ საგანს და სწორდებიან. ეს ზედმეტი დატვირთვაა თვალისთვის, რამაც შესაძლოა დააზიანოს ნარჩენი მხედველობა. გარდა ამისა, თავდახრილი დგომისას, სისხლი ინტენსიურად მიეწოდება თავის ტვინს, გასწორებისას კი, ეს პროცესი წყდება, რაც თავბრუს ხვევას იწვევს. თუ მოსწავლეს ცოტა ხანგრძლივად მოუწევს წელში მოხრილი ყოფნა, გასწორებისას, სავარაუდოა, რომ მას თავბრუ დაეხვევა, გაუჭირდება წონასწორობის დაცვა და ორიენტაცია. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავის ინტენსიური დარტყმა, ზოგ შემთხვევაში, აზიანებს მხედველობას. ამიტომ გადაუქციეთ თქვენს მხედველობა დაქვეითებულ მოსწავლეს ჩვევად, თავდაცვის ტექნიკების გამოყენება.

დერეფანში გადაადგილებისას, მოსწავლეს შეუძლია ხელი გააყოლოს კედელს. მეტად უსაფრთხოა ხელის ზურგის გაყოლება კედელზე. ოდნავ მოხრილი თითების ზედა ნაწილით და ხელის ზურგით ვეხებით კედელს მსუბუქად, რომ ვიგრძნოთ, სად არის გამოწეული კუთხე, სად გვხვდება კარი და ა.შ.

ძირს დავარდნილ საგნებს, მხედველობის დარღვევის ადამიანები, ხშირად პოულობენ დავარდნის ხმის მიხედვითაც. თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ ოთახში სიჩუმეა. არსებობს ძიების ტექნიკებიც. მაგიდაზე ან მსგავს პატარა ზომის ზედაპირზე, შეგვიძლია საგნები მოვძებნოთ ორგვარად:

1)ორივე ხელს ვაწყობთ მაგიდის ჩვენთან ახლოს მდებარე ორ კუთხესთან ახლოს და თანაბრად ვაცურებთ მათ შუაგულისკენ. შემდეგ ოდნავ ვწევთ ხელებს მაგიდის შუაგულისკენ და გაგაქვს ისინი კიდეებამდე, მერე ისევ ვწევთ ზემოთ და ვბრუნდებით უკან. ხელები ოდნავ მომრგვალებული ფორმით გვიწყვია მაგიდაზე, ისე, რომ თუ საგანს შევეხებით, არ გადავაგდოთ.

2)ერთ ხელისგულს ვდებთ მაგიდის კიდესთან ახლოს და ვაცურებთ მას ჰორიზონტალურად მეორე კიდემდე. შემდეგ ვწევთ ხელისგულს ოდნავ ზემოთ და ვბრუნდებით პირველ კიდესთან. ასე ვაგრძელებთ მანამ, სანამ არ ვიპოვით სასურველ საგანს. ხელი კვლავ ოდნავ მომრგვალებულად გვიჭირავს, რათა არ წავაქციოთ ან გადავყაროთ მაგიდაზე არსებული საგნები.

დავარდნილი საგნის იატაკზე ძებნისას, შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი მეთოდი, თუ დაახლოვებით ვიცით, რა ადგილას უნდა ვეძებოთ. სხვა შემთხვევაში, ხელს ვუსვამთ იატაკს წრიულად. პირველი წრე პატარაა, ხელისგულის ზომის, შემდეგ წრის დიამეტრს ვზრდით ოდნავ, ისე რომ მეორე წრე შემოვხაზოთ პირველის გარშემო. შემდეგ ხელისგულით იქვე ვხაზავთ მესამე უფრო ფართო წრეს პირველისა და მეორის გარშემო. ასე ვაგრძელებთ მანამ, სანამ არ ვიპოვით სასურველ ნივთს. იატაკზე ძებნისას, შეგვიძლია გამოვიყენოთ ფეხიც. ფეხსაცმლით ვეძებთ ძირს დავარდნილ საგანს ფრთხილად, ისე რომ არ გავტეხოთ იგი. შემდეგ მას ოდნავ ვაბიჯებთ ფეხს, ვიმუხლებთ, ვიღებთ საგანს იატაკიდან და ვდგებით. ვიყენებთ თავის დაცვის ტექნიკას. რა თქმა უნდა, იატაკზე დავარდნილი საგნის მოძებნა უფრო რთულია, ვიდრე _ მაგიდაზე დავარდნილის. რბილი იატაკი ერთი მხრივ გვიადვილებს საქმეს, რადგან მასზე დავარდნილი ნივთები შორს არ მიგორავენ, მაგრამ მეორე მხრივ, ართულებს პოვნას, რადგან თითქმის არ ისმის დავარდნის ხმა.



არასწორი დახრა



სწორი დახრა





ძიების წრიული ტექნიკა





სახის დაცვის ტექნიკა

თავის დაცვა დახრის დროს





თავდაცვის არასწორი ტექნიკა

თავდაცვის სწორი ტექნიკა

ტანის ქვედა ნაწილის დაცვა

გამცილებელთან ერთად სიარული

გადაადგილება გამცილებელთან ერთად

შეეკითხეთ ადამიანს, ხომ არ სჭირდება თქვენი დახმარება. თუ მიიღებს შეთავაზებას, მაშინ მიუახლოვდით და მსუბუქად შეახეთ თქვენი იდაყვი მის მკლავს. მოაკიდებინეთ ხელი თქვენი იდაყვის ოდნავ მაღლა, მკლავზე ისე, რომ მოსწავლის ხელის ოთხი თითი შიგნით იყოს მიმართული, ცერა კი გარეთ. ჩაჭიდება მტკიცე უნდა იყოს, მაგრამ არა დამღლელი. შეინარჩუნეთ მკლავი მოდუნებულად და თქვენს ტანთან ახლოს.

სწორი პოზიცია წამღოლისას

როდესაც აცილებთ უსინათლო ადამიანს, ერთი ნაბიჯით წინ უნდა იყოთ ვიდრე ის.

ვიწრო სივრცეები

დატვირთული თავშეყრის ადგილებში ან იქ, სადაც ვიწრო გასასვლელებია, შესაძლებელია მოგიწიოთ კენტად გავლა. ამ დროს თქვენი ხელი, რომლითაც, რომელიც გიდია, წაიღეთ ზურგს უკან. მხდველობის არ მქონე ბავშვი სწორდება თავისი მკლავის გასწვრივ და პირდაპირ თქვენს ზურგს უკან მიდის, შედარებით პატარა ნაბიჯებს დგამს, იმისათვის, რომ თქვენს ქუსლებზე არ მოუხვდეს, ან არ დაებიჯოს ფეხი.

შემობრუნება

თუ ძალიან პატარა ადგილია და შემობრუნება გვჭირდება, სთხოვეთ ადამიანს, რომელსაც რომლის გიდიც ხართ, შემობრუნდეს სახით თქვენკენ. დაიდეთ მისი მეორე ხელი თქვენს მეორე თავისუფალ მკლავზე, ამის შემდეგ ის გაუშვებს თავის

პირველ ხელს თქვენს იმ მკლავს, რომელზეც მანამდე ეკიდა ხელი, შემობრუნდით ერთად.

კარში გასვლა

მიუახლოვდით კარს, იმ ადამიანთან ერთად, ვისი გიდიც ხართ, ანჯამების მხრიდან. თუ საჭიროა, გადაინაცვლეთ მარჯვნივ ან მარცხნივ, რომ უსინათლო იმ ხელისკენ იდგეს, რომელიც კარის უძრავი ნაწილისკენ გაქვთ. გააღეთ კარი იმ ხელით, რომლის მხარესაც გიდგათ უსინათლო ადამიანი. მას უკვე შეუძლია თავისი თავისუფალი ხელი მოკიდოს კარის სახელურს. შეუძლია ხელი ჩააცუროს თქვენს ხელს, სანამ თქვენ სახელურზე გიკიდიათ ხელი. შესვლის/გასვლის შემდეგ უსინათლო თავად მიხურავს კარს, რადგან მისთვის უკვე ადვილია სახელურის პოვნა.

საფეხურები

საფეხურებთან მიახლობისას გაჩერდით და თქვით ქვემოთ ჩასასვლელი საფეხურებია, თუ ზემოთ ასასვლელი (ნაბიჯი ქვემოთ, თუ ნაბიჯი ზემოთ). თუ საფეხური ჩვეულებრივზე მაღალია ან ჩვეულებრივზე დაბალი, გააფრთხილეთ მოსწავლე. ყოველთვის მიუახლოვდით საფეხურებს ან კიბეს პირდაპირ და არა დიაგონალურად. უსინათლო მოსწავლე კიბეზე უნდა იდგეს მოაჯირის მხარეს ისე, რომ თავისუფალი ხელით შეეძლოს მასზე ხელის მოკიდება. აღწერეთ მისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სად მდებარეობს ხელის მოსაკიდებელი, მისი ხელის ზემოთაა, თუ მისი ხელის ქვემოთ. დარწმუნდით, რომ ის მზად არის და შემდეგ ადით/ ჩადით კიბეზე ჩვეულებრივი ნაბიჯებით.

აღნიშნეთ, როდესაც კიბის თავს ან ბოლოს უახლოვდებით და ცოტა ხანს შეჩერდით. თუ კიბის მოაჯირი მარცხნივ არის და მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანი მარჯვნივ დგას, გაცვალეთ ადგილები, ისე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

სკამზე დაჯდომა

თუ, მხედველობის დაქვეითების მქონე პირს თქვენი მარცხენა მკლავი უჭირავს, მარცხენა ხელი მოკიდეთ სკამის საზურგეს, ისე რომ მან იგრძნობს, სად არის სკამი. ამის შემდეგ მას შესაძლებლობა მიეცემა გაგიშვათ ხელი და დაჯდეს სკამზე დახმარების გარეშე. თუ სკამის საზურგე კედელთანაა, შესაძლებელია ისე მივიდეთ სკამთან, რომ მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანის ფეხი მსუბუქად შეეხოს სკამის დასაჯდომს. მიეცით მოსწავლეს სკამზე დამოუკიდებლად დაჯდომის შესაძლებლობა. არასდროს უბიძგოთ მას სკამზე დაჯდომის მიზნით. ასწავლეთ მოსწავლეს, რომ დაჯდომის წინ მოსინჯოს, თუ სად ჯდება.

ორიენტაცია სმენის გამოყენებით

გარდა საორიენტაციო პუნქტებისა, საჭიროა მოსწავლის ყურადღება გავამახვილოთ სმენით მიღებულ ინფორმაციაზე. უსინათლო და მცირე მხედველი ადამიანებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სმენით მიღებული ინფორმაცია. ბევრი უსინათლო იმდენად კარგად იყენებს სმენას, რომ დახურულ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად, სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე, მხოლოდ სმენის გამოყენებით გადაადგილდება.

თქვენი მოსწავლე სმენის გამოყენებით შეძლებს განასხვავოს ღია კარი ან ფანჯარა თუ დახურული, მიუახლოვდა თუ არა კიბეს, მიუახლოვდა თუ არა შენობიდან გასასვლელს, წინ ხომ არ არის რაიმე ბარიერი, მაგალითად, ღია კარი, კედელი, სვეტი, ადამიანი და სხვა... შესაძლოა მან ზუსტად ვერ გამოიცნოს, ადამიანი დგას მის სიახლოვეს თუ სვეტი, მაგრამ აუცილებლად შეამჩნევს, რომ რაღაც ბარიერია და მას გვერდს უსაფრთხოდ აუვლის. იმისათვის, რომ უსინათლო ადამიანმა შეძლოს ბარიერის სმენით შემჩნევა, იგი უნდა იყოს დაახლოვებით მისი მკერდის სიმაღლეზე ან უფრო მაღლა, მაგრამ არ უნდა იყოს თავს ზემოთ. ამ ყველაფრის მოსმენა ყველა ადამიანს შეუძლია, მაგრამ მხედველობით მიღებული ინფორმაცია იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ჩვენ უბრალოდ არ ვიყენებთ მას. უსინათლო ბავშვს კი, რადგან მისი ტვინი თავისუფალია ვიზუალური გამღიზიანებლებისგან, შეუძლია ყურადღება გაამახვილოს სმენით მიღებულ ინფორმაციაზე და კარგადაც გამოიყენოს იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგ უსინათლო ადამიანს, თუ მის სმენას ბავშვობიდანვე ავარჯიშებენ, შეუძლია სმენით აღიქვას მკერდზე დაბალი ბარიერებიც. სადღაც მუცლის სიმაღლიდან. ძალიან იშვიათ შემთხვევებში, არსებობენ გამონაკლისებიც, რომლებიც გრძნობენ ბორდიურსაც კი. მაგრამ ამას ყველას ვერ მოვთხოვთ, ეს მხოლოდ განსაკუთრებული სმენის მქონე ადამიანებს შეუძლიათ.

პირველ ეტაპზე, სანამ ბავშვი თავად მიეჩვევა ღია და დახურული სივრცეების გარჩევას, საჭიროა მისი ყურადღება ჩვენ გავამახვილოთ ამ კუთხით. შეგვიძლია ვავარჯიშოთ იგი შემდეგნაირად:

1) ვაყენებთ მოსწავლეს სახით კედლისკენ, კედლიდან პირობითად 10 ნაბიჯის დაშორებით და ვთხოვთ მას, მივიდეს კედელთან რაც შეიძლება ახლოს, ისე, რომ არ შეეხოს მას;
2) ვაყენებთ მოსწავლეს სახით კედლისკენ, კედლიდან 10 ნაბიჯის მოშორებით, ვთხოვთ მას, წავიდეს კედლისკენ და გაჩერდეს მაშინ, როდესაც იგრძნობს კედლის სიახლოვეს;
3) დავატრიალოთ მოსწავლე რამდენჯერმე, შემდეგ ვთხოვოთ, გვითხრას მისგან რომელ მხარეს არის უახლოესი კედელი;

4) მივიყვანოთ მოსწავლე ახლოს ჯერ კედელთან, შემდეგ ღია კართან, შემდეგ დახურულ კართან, შემდეგ ღია ფანჯარასთან, ყველა ახალ ბარიერთან ვაცნობოთ რა ტიპის ბარიერია. შემდეგ ისევ მივიყვანოთ კედელთან და ვთხოვოთ, გვითხრას, რასთან დგას იგი ახლოს;

5) დავაყენოთ მოსწავლე კედლის გასწვრივ, ისე რომ კედელი მის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს მდებარეობდეს, მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით და ვთხოვოთ იაროს პირდაპირ მანამ, სანამ კედელი არ დასრულდება. მოსწავლე უნდა იდგეს კედელთან იმ მანძილზე, რომ იგი გრძნობდეს კედელს;

6) მიიყვანეთ უსინათლო მოსწავლე კართან, დააყენეთ იგი კარიდან 10-20 ნაბიჯის მოშორებით, სთხოვეთ მოსწავლეს, გავიდეს კარში ისე, რომ არ შეეხოს მას.

ასევე, ავარჯიშეთ მოსწავლე, იმის გამოცნობაში, თუ დაახლოვებით რა მანძილზეა მისგან ესა თუ ის ბარიერი. ბავშვს გაუჭირდება მანძილის განსაზღვრა მეტრებით, სამაგიეროდ, გაუადვილდება, დათვალოს ნაბიჯების რაოდენობა. გამოცნობის შემდეგ, მიეცით მოსწავლეს საშუალება გადათვალოს ნაბიჯები და შეამოწმოს საკუთარი თავი, რათა შემდგომში გაითვალისწინოს დაშვებული შეცდომები ან გამოიყენოს სიზუსტეები. მანძილის განსაზღვრისას, იხელმძღვანელეთ თავად მოსწავლის ნაბიჯების ზომით, რადგან თვითონ ასე იქცევა.

სამყაროს რეალური აღქმა

ზოგადად, უსინათლო ბავშვმა უნდა იცოდეს ის ყველაფერი, რაც იციან მისმა მხედველმა თანატოლებმა. მას აუცილებლად დასჭირდება ცოდნა იმისა, რომ თუ გარეთ ბნელა და ოთახში სინათლე ანთია, გარედან შიგნით კარგად ჩანს და პირიქით. ნებისმიერი ინფორმაცია და ცოდნა სამყაროს მხედველობითი ასპექტების შესახებ, ისევე მნიშვნელოვანი და საჭიროა თქვენი უსინათლო მოსწავლისათვის, როგორც დანარჩენებისათვის. ბავშვმა ჩვეულებრივ უნდა ისწავლოს ისიც, რომ მზე წითელია, როდესაც ამოდის ან ჩადის, ხოლო ყვითელია დღის განმავლობაში, როგორ ჩანს ჰორიზონტის ხაზი და რა ფორმა აქვთ დედამიწიდან შეუიარაღებელი თვალით დანახულ ვარსკვლავებს, როგორ გამოიყურება ახალი, სავსე და ძველი მთვარე _ ეს ყველაფერი ბავშვის ზოგადი განათლების ნაწილია და ნებისმიერს ესაჭიროება მსგავს საკითხებზე ინფორმაცია. მერე რა, რომ უსინათლო ბავშვი ვერ ხედავს და ვერც ეხება იმ ობიექტებს, რომლებიც მისგან შორს არიან. შეძლებისდაგვარად უნდა ავუხსნათ მას ისინი სიტყვიერად. ძალიან სასურველია, მაკეტების შექმნა. მაკეტი, შესაძლოა იყოს ძალიან მარტივი, ხელით გაკეთებული. მთავარია, შევინარჩუნოთ რეალური ობიექტის ფორმა, დავიცვათ ობიექტების პროპორციები, თუ ერთ მაკეტზე რამდენიმე რამეს ვსახავთ და შეძლებისდაგვარად შევარჩიოთ შესაბამისი ფაქტურები. მაგალითად, მედუზის გამოსახატავად, დაგვჭირდება სილიკონი ან რაიმე ჟელესებრი ნივთიერება. ცხოველების მაკეტების დამზადებისას, სასურველია, გამოვიყენოთ რეალური ბეწვი ან ტყავი, რომელიც ფაქტურით გავს ნამდვილი

ცხოველის ბეწვსა თუ ტყავს.

მაგრამ, გახსოვდეთ! მაკეტები და მინი მოდელები მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საგანს რეალურად ვერ მოვიტანთ კლასში და ვერც ბავშვს წავიყვანთ მის საჩვენებლად. მაგალითად, კენგურუს ვერსად ვაჩვენებთ ბავშვს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ნამდვილი, ცოცხალი ქათმის, ძროხის, ცხენის ჩვენება.

ასწავლეთ ბავშვს, რომ იგი თანამოსაუბრისკენ სახით უნდა იყოს მიბრუნებული. მან უნდა იცოდეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვერ ხედავს, მისი პოზა მნიშვნელოვანია თანამოსაუბრისათვის. თქვენს მოსწავლეს უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, სახით რომელ მხარეს არის მოსაუბრე მიბრუნებული. ადამიანის ხმის მიხედვით იგი ასევე შეძლებს გაიგოს, ეს ადამიანი დგას, ზის თუ წევს.

პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, რომ სავსებით შესაძლებელია, თქვენი უსინათლო მოსწავლის ოჯახის წევრებმაც არ იცოდნენ ბევრი რამ შვილის აღზრდის სპეციფიკური მეთოდების შესახებ. თქვენ კი შეგიძლიათ მათ გაუწიოთ კონსულტაცია, თუ როგორ დაეხმარონ ბავშვს სამყაროს სწორად შემეცნებაში. მასწავლებელს, ბუნებრივია, გაუჭირდება მოსწავლეს შეასწავლოს ყველაფერი რომელიმე საგნის ფარგლებში, მაგრამ ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით საგრძნობლად გაიზრდება თქვენი მოსწავლის ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ და შესაბამისად, ამაღლდება მისი აკადემიური მოსწრებაც. ნუდაუშვებთ, რომ მოსწავლემ ინფორმაცია დაიზეპიროს და არ ჰქონდეს რეალური წარმოდგენა ''დასწავლილი'' საკითხის შესახებ. გაითვალისწინეთ ის ფაქტორიც, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები ძირითადად გამოირჩევიან მჭევრმეტყველების უნარით და შეუძლიათ ძალიან კარგად ისაუბრონ იმ საკითხებზეც, რაზეც რეალური წარმოდგენა არ აქვთ. ყოველთვის შეამოწმეთ, მართლა სწორად აქვთ თუ არა მათ წარმოდგენილი ის, რაზეც საუბრობენ.

უსაფრთხოება და სიმშვიდე

თქვენი მოსწავლე, მეტად სავარაუდოა, რომ ადვილად შეისწავლის ყველა მისთვის საჭირო მარშრუტს შენობაში. მთავარია, მან უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნოს თავი. ამისთვის, მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ ის რეკომენდაციები, რომლებიც გარემოს მოწყობის შესახებ გვაქვს წიგნში მითითებული. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომელი კარი და ფანჯარა საით იღება, სად არის გამათბობელი დაყენებული და რა სიმხურვალის შეიძლება იყოს იგი ჩართულ მდგომარეობაში. უსინათლო ან მცირემხედველ მოსწავლეს მოაკიდებინეთ ხელი გამათბობელზე მაშინაც, როცა იგი გამორთულია, რომ კარგად დაათვალიეროს და შეისწავლოს ის. შეეცადეთ, მოამრგვალოთ ყველა კუთხე და წვეტიანი საგნის დაბოლოება. განსაკუთრებით, მასწავლებლის მაგიდის კუთხეები, ფანჯრის რაფის კიდეები. შეგიძლიათ, წვეტიან კუთხეებს თავად შემოაწებოთ პლასტმასის ფირფიტა ან სხვა რამ. სასურველია, ოთახის კუთხეებიც მომრგვალებული იყოს.

გახსოვდეთ! ხმაური და მოულოდნელი, უჩვეულო ხმები უპირველესი დამაბნეველია თქვენი მხედველობა დაქვეითებული მოსწავლისათვის. ყოველთვის ეცადეთ, მოარიდოთ იგი გაუთვალისწინებელ აურზაურს. არასდროს თქვათ ''ვაიიი'' შემდგომი განმარტების გარეშე, თუ რა მოხდა. თუ გსურთ, მოსწავლეს რამე ხელით აჩვენოთ, აუცილებლად გააფრთხილეთ იგი შეხებამდე. მაშინაც კი, თუ მისი ჩახუტება ან მოფერება გსურთ, უთხარით, რას აპირებთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. შესაძლოა, მოულოდნელმა შეხებამ, თუნდაც თქვენთვის სასიამოვნო ქმედებამ, ბავშვში მეტად უსიამოვნო, მეტიც- საშიშის ასოციაცია გამოიწვიოს. ზოგადად კი, წასახალისებლად და მოტივაციის ასამაღლებლად, ჩვეულებრივ შეგიძლიათ გამოიყენოთ მხარზე შეხება, თავზე ხელის გადასმა და სხვა. მაგრამ აუცილებლად გააფრთხილეთ ბავშვი ამის შესახებ. (ელენე, დღეს შენ ძალიან კარგად შეასრულე საკლასო სამუშაო, თითქმის არ დაგიშვია შეცდომები. ძალიან მინდა, ჩაგეხუტო, შეიძლება?). სიტყვიერი წახალისებაც, რა თქმა უნდა, მისაღები და სასურველი ფორმაა.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი უნდა გავაფრთხილოთ ყველა არსებული ბარიერის, საფრთხის თუ საგანგებო სიტუაციის შესახებ. მოაჯირის არ არსებობის ან დაზიანების შემთხვევაში, უნდა ვასწავლოთ ბავშვს, თუ როგორ ავიდეს და ჩავიდეს კიბეზე უსაფრთხოდ, კედლის მხრიდან. ისე კი, სასურველია, კიბეს ორივე მხარეს მიუყვებოდეს მოაჯირი, რათა სწორი _ მარჯვენა მხრივი მოძრაობა იყოს შესაძლებელი.

სასურველია, შევეცადოთ და სკოლის ყველა მოსწავლეს ვასწავლოთ გადაადგილების ეს წესი _ ვიმოძრაოთ მარჯვენა მხარეს, რათა არ დავეჯახოთ ჩვენი საპირისპირო მიმართულებით მომავალთ. ამგვარი მოძრაობა საგრძნობლად აადვილებს უსაფრთხო და დამოუკიდებელ გადაადგილებას.

ბევრ ქვეყანაში გამოცდილი და აპრობირებული პრაქტიკაა ისიც, რომ უსინათლო

ან მცირე მხედველ მოსწავლეს, გაკვეთილის დასრულებამდე 3-5 წუთით ადრე უშვებენ საკლასო ოთახიდან, რათა მან მოსწავლეების დიდი ნაკადის გამოსვლამდე მოასწროს სასურველ კლასამდე მისვლა.

ფიზიკური მომზადება

უსინათლო და მცირემხედველ ბავშვებზე ხშირად ფიქრობენ, რომ მათ არ შეუძლიათ დიდ ხანს ფეხზე დგომა, ბევრი სიარული, სირბილი, აქტიურ თამაშებში ჩართვა. ეს სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ბავშვები ისეთივე აქტიურები და თამაშის მოყვარულები არიან, როგორც სხვები. თავდაპირველად, შესაძლოა პრობლემა შეგიქმნათ იმ გარემოებამ, რომ ბავშვს არ აქვს გამოცდილი და არ იცის, როგორ უნდა გააკეთოს რაღაც. გააკეთეთ ეს აქტივობა ერთად. სთხოვეთ ბავშვს, თქვენთან ერთად ჩაირბინოს კიბეზე. უთხარით მას, რომ ცდით ორჯერ და თუ არ მოეწონება, აღარ გააგრძელებთ. უმეტეს შემთხვევებში, მათ მოსწონთ შეთავაზებული აქტივობები. შესაძლოა, მოსწავლეს ჰქონდეს რაღაცის გაკეთების შიში იმ შემთხვევაში, თუ ადრე ერთხელ მაინც შეაშინეს მსგავსი აქტივობის განხორციელებისას. შესაძლოა, ვინმე დაეჯახა სიარულისას, წაიქცა ან ფეხი გადაუბრუნდა სირბილისას. უბრალოდ ვერ გრძნობს თავს მყარად და უსაფრთხოდ, როდესაც ფეხს აშორებს იატაკს, ამიტომ არ უყვარს სირბილი და ხტუნვა.

მცირე მხედველი ბავშვი, შესაძლოა, ვერ აკონტროლებდეს გარემოს სირბილისას, რადგან მისი მხედველობითი აღქმისთვის ზედმეტად სწრაფად იცვლება გარემო სირბილის დროს. ამიტომ მას არ უყვარს ეს აქტივობა. შეეცადეთ, მოაცილოთ მას ყოველგვარი ბარიერი გზიდან და შეუქმენით უსაფრთხო გარემო. აუხსენით, რომ დაუბრკოლებლად შეუძლია გაირბინოს გარკვეული მანძილი და აჩვენეთ ეს ტერიტორია ჯერ სიარულით.

უსინათლო ბავშვს ყოველთვის დაათვალიერებინეთ ხელით ის საქანელა, სავარჯიშო ტრენაჟორი თუ სხვა რამ, რაზეც გსურთ, რომ ავარჯიშოთ ან ათამაშოთ. დარწმუნდით, რომ ბავშვს შეექმნა ზუსტი წარმოდგენა თქვენს მიერ შეთავაზებულ აქტივობაზე და გარემოზე. შემდეგ სთხოვეთ მას, დაკავდეს ამ აქტიობით.

იმის გამო, რომ დაბადებიდან ან ადრეული ბავშვობიდან უსინათლო ბავშვს ხშირად ფიზიკური აქტივობები შეზღუდული აქვს, უყალიბდება სტერეოტიპული მოძრაობები. ბავშვის ორგანიზმი უკვე მზად არის მოძრაობისთვის, მაგრამ მას არ აძლევენ ამის საშუალებას. სხეული მექანიკურად იწყებს ქანაობას _ ეს თვითსტიმულაციაა. თუ მსგავსი განმეორებითი ქცევები არ ჩავანაცვლეთ სხვა ტიპის ფიზიკური აქტივობით, მათი ინტენსივობა იმატებს და გადაიქცევა სტერეოტიპულ მოძრაობად. დაბადებიდან ან ადრეული ბავშვობიდან უსინათლო ბავშვებს ახასიათებთ: წინ და უკან ქანაობა, მარჯვნივ და მარცხნივ ქანაობა, ბზრიალი, ტაშის დაკვრა, სიხარულისას ერთ ადგილზე ხტუნვა და სხვა. ამგვარი ქცევების ჩანაცვლება არ ხდება ერთბაშად, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მათი ნელ-ნელა შემცირება და საბოლოოდ გაქრობა. საჭიროა, ჩარევა დროზე დაიწყოს.

კარგი მასტიმულირებელია: სენსორული ბურთი, სახტუნაო, საქანელა, აიწონა-დაიწონა, ბატუტი, ველოსიპედი. მოზრდილ ასაკში სხვა, უფრო სერიოზული ტრენაჟორები და სავარჯიშოები. ნებისმიერი სავარჯიშო მოწყობილობა, რომელსაც იყენებთ მხედველ მოსწავლეებთან, შეგიძლიათ გამოიყენოთ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთანაც. ერთად ერთი შეზღუდვა შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მოსწალეს აქვს მხედველობის ისეთი დაზიანება, რომელიც პროგრესირებს და მასზე უარყოფითად მოქმედებს ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა. გაიარეთ კონსულტაცია მშობლებთან და საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვეთ მათ თვალის ექიმის დასკვნა.

სანამ სერიოზულ ფიზიკურ დატვირთვაზე გადახვალთ, ასწავლეთ ბავშვს სწორი მობრუნება. ამისათვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ კედელი.

1)სთხოვეთ მოსწავლეს, მიეყრდნოს კედელს და მიადგას ქუსლები ბოლომდე. შემდეგ შემობრუნდეს ისე, რომ მისი ცალი ფეხის ტერფის მთელი გვერდი ეყრდნობოდეს კედელს. შემდეგ მობრუნდეს ისე, რომ ორივე ფეხის თითებით ეხებოდეს კედელს. მერე მეორე ფეხის ტერფის გვერდი მიადგას კედელს ბოლომდე. ბოლოს დაბრუნდეს საწყის პოზიციაში _ ქუსლებით კედელთან.

2) მოსწავლე დააყენეთ კედელთან ზურგით. მის წინ, მარჯვნივ და მარცხნივ დააწყვეთ თითო სკამი ისე, რომ მოსწავლესა და სკამებს შორის თითო ნაბიჯი იყოს დარჩენილი. სთხოვეთ მოსწავლეს, მოშორდეს კედელს, პირდაპირ და მივიდეს სკამთან ისე, რომ მუცლით მიეყრდნოს მას. შემდეგ შებრუნდეს გვერდზე და წავიდეს უკან, მიეყრდნოს სკამს ზურგით. კვლავ მობრუნდეს გვერდზე და ისევ წავიდეს უკან, რომ მიეყრდნოს კედელს. შემდეგ მობრუნდეს და წავიდეს მეორე სკამისკენ. ყურადღება მიაქციეთ, მისი ტერფების განლაგებას. ბავშვმა უნდა მოაბრუნოს ფეხები ზუსტად 90 გრადუსით. ფეხის შესაბამისად მოაბრუნებს ტანსაც.

3) გაართულეთ დავალება და სთხოვეთ მოსწავლეს, დადგეს ზურგით სკამთან. შემდეგ შებრუნდეს 90 გრადუსით მარჯვნივ და გადადგას 3 ნაბიჯი. შებრუნდეს 90 გრადუსით მარცხნივ და გადადგას კვლავ სამი ნაბიჯი. შემდეგ კვლავ შებრუნდეს 90 გრადუსით მარცხნივ და კვლავ გადადგას სამი ნაბიჯი. ბოლოს კიდევ ერთხელ შებრუნდეს მარცხნივ და ისევ გადადგას სამი ნაბიჯი. იგი უნდა დაბრუნდეს სკმმთან და შეეხოს მას მუცლით.

ამგვარი სავარჯიშოები განუვითარებს მას სივრცით ორიენტაციას და ჩამოუყალიბებს სწორი სიარულის მანერას.

ჩვეულებრივ, შეგიძლიათ ჩართოთ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლე გუნდურ თამაშებში. გაითვალისწინეთ, რომ მის გვერდით უნდა იდგეთ თქვენ ან სხვა მოსწავლე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოკიდებს ხელს თანაკლასელს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ბაწარი, რომელსაც თქვენ მოიბამთ წელზე და დანარჩენი ბავშვები ჩაეჭიდებიან ცალი ხელით. ამ ფორმით, ადვილად გააკონტროლებთ უსინათლო ბავშვის გადაადგილების ტრაექტორიას და მეტად უსაფრთხოდ აგრძნობინებთ მას თავს.

ბურთით თამაშისას, სასურველია, გამოიყენოთ სპეციალური, ზარიანი ბურთები.

ბურთში არის ზარი, რომელიც გამოსცემს ხმას მოძრაობისას. თუ არ გაქვთ ასეთი ბურთების შეძენის საშუალება, ჩადეთ ბურთი ჭრაჭუნა, ფერად პარკში და იმით ათამაშეთ თქვენი მოსწავლეები.

ფიზიკური აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ძვალ-კუნთოვანი სისტემის სწორი განვითარებისთვის. იგი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის სივრცითი ორიენტაციის განვითარებაზე. ხოლო კარგი სივრცითი ორიენტაცია ძლიერ ეხმარება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნების ათვისებაში.

ახლა კი ვისაუბრებთ ორიენტაციისას დამხმარე საშუალებებზე. უმთავრესია, თეთრი ხელჯოხი, რომელიც დაახლოვებით ორი მეტრის დაშორებით მდებარე ბარიერების შესახებ აწვდის ინფორმაციას უსინათლო ადამიანს და იძლევა საშუალებას, უსაფრთხოდ აუაროს მათ გვერდი. არსებობს სხვადასხვა ტიპის, მასალის, სიმძიმის ხელჯოხები. ისინი აუცილებლად უნდა შევუსაბამოთ მოსწავლის სიმაღლეს. თეთრი ხელჯოხი უნდა წვდებოდეს უსინათლო ადამიანს მხრამდე. ჯოხი უსინათლოს ეხმარება ობიექტების ამოცნობაშიც. მიკაკუნებისას გამოცემული ბგერებით შესაძლებელია ობიექტის ფაქტურის განსაზღვრა. ასევე შეიძლება გავზომოთ ბარიერის სიმაღლე და სიგანე, მოვძებნოთ უსაფრთხოდ გვერდის ავლის საშუალება. თეთრი ხელჯოხის გამოყენებას თვისი მეთოდიკა აქვს, რომელსაც ამ წიგნში არ განვიხილავთ. მისი სწავლება მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში შეუძლია პედაგოგს.

სხვა საორიენტაციო დამხმარე საშუალებებში შედის ბარიერების დეტექტორი, რომელიც სხვადასხვა მანძილის დაშორებით გვატყობინებს ბარიერის არსებობის შესახებ. იგი იწყებს ვიბრირებას იმ მანძილიდან, რომელსაც მივუთითებთ წინასწარ. ძალიან კარგია, მაღალი ბარიერების ამოსაცნობად და რიგში დგომისას. ასევე, არსებობს სხვადასხვა სათვალეები მცირე მხედველი ადამიანებისთვის. სპეციალური, ფილტრიანი სათვალეები უზრუნველყოფენ სინათლის ისე მობილიზებას, რომ არც ჭარბი იყოს და არც ნაკლები. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას სჭირდება სათვალის მორგება თავისი მხედველობის ხარისხიდან გამომდინარე.





დამხმარე საშუალება წერისთვის და დამხმარე საშუალება ხელმოწერისთვის საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები

შესავალი

ეს თავი დაეთმობა უსინათლო და მცირე მხედველი ბავშვებისათვის საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების შესწავლას. მიმოვიხილავთ იმ აქტივობებს, რომელთა დამოუკიდებლად შესრულების ცოდნაც აუცილებელია ყოველი მოზარდისათვის. საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევები მოიცავს ძალიან ბევრ საკითხს, დაწყებული ჩაცმითა და ხელ-პირის დაბანით, დასრულებული მაკიაჟის გაკეთებით, პირის გაპარსვით, საჭმლის მომზადებით, ლურსმნის მიჭედებით და ა.შ. ამ თავში აღწერილი მეთოდოლოგია განსაკუთრებით დაეხმარება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებს, შვილების სრულფასოვან ადამიანებად გაზრდაში. პედაგოგებს კი, ეს ინფორმაცია, შესაძლოა, დაგჭირდეთ არასაგაკვეთილო პროცესის დროს. მაგალითად, დასვენებებზე, ექსკურსიებზე, სხვა სასკოლო თუ არასასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისას. ასევე, შეგიძლებათ კონსულტაცია გაუწიოთ მშობლებს საბაზო აქტივობების განსახორციელებლად.

საყოფაცხოვრებო უნარჩვევების სწავლება მხედველობა დაქვეითებული ბავშვისთვის, სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. თუ მხედველი ბავშვი, უყურებს უფროსებს და ახდენს მათ იმიტირებას, უსინათლო ან მცირე მხედველ მოზარდს ყველაფერი ხელით უნდა ვაჩვენოთ ან მივცეთ საშუალება, ახლოდან დააკვირდეს აქტივობებს. საჭიროა, მოვახდინოთ ყველა მოქმედების ვერბალიზაცია. ავუხსნათ ბავშვს, რას რისთვის ვაკეთებთ. რა საფეხურებისგან შედგება ესა თუ ის აქტივობა და როგორ უნდა შესრულდეს ის სწორად. იმისათვის, რომ ბავშვმა კარგად გაიგოს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, პირველ ეტაპზე, დაადებინეთ ბავშვს ხელისგულები თქვენი ხელის ზურგზე, გააკეთეთ თქვენ და მიეცით მას საშუალება, დაგაკვირდეთ ამ ფორმით. შესაძლოა, დაგჭირდეთ ერთი და იმავეს გამეორება რამდენჯერმე. დარწმუნდით, რომ ბავშვმა კარგად გაიგო, რას აკეთებთ.

შემდეგ თქვენ მოკიდეთ ბავშვის ხელს ხელი და მას გააკეთებინეთ ესა თუ ის ქმედება. თქვენმა ხელებმა უნდა მართონ მისი ხელები, მაგრამ ისე, რომ ბავშვმა კარგად შეიგრძნოს, რას აკეთებინებთ. თან ისაუბრეთ, გაახმოვანეთ ყოველი უმცირესი დეტალიც კი. თუ ბავშვი მცირე მხედველია, შეეცადეთ, სწავლების პირველ ეტაპზე მაინც გამოიყენოთ კონტრასტები.

ღილების შეკვრა

მაგალითად, თუ ასწავლით ღილის შეკვრას, შეეცადეთ ღილი და ნაჭერი ერთმანეთისგან განსხვავებული ფერის იყოს, რათა ბავშვმა ადვილად შეამჩნიოს ისინი. თავდაპირველად, მოაძებნინეთ ბავშვს ზემოდან ან ქვემოდან პირველი

ღილი და პირველი საკინძე. შეგიძლიათ, მთელი ღილების შეკვრის აქტივობა დაშალოთ მცირე ნაწილებად. ჯერ ასწავლეთ ბავშვს მხოლოდ ღილისა და საკინძის ერთმანეთთან მიტანა ისე, რომ ისინი ერთმანეთს დაემთხვეს. შემდეგ მიატანინეთ საკინძე ღილთან და გააყრევინეთ ღილი საკინძეში. დარწმუნდით, რომ ბავშვმა კარგად იგრძნო, სად უნდა გავიდეს ღილი და როგორ უნდა გაატაროს იგი საკინძეში. აჩვენეთ ღილი ყველა მხრიდან, უთხარით, რომ მას კიდეები უფრო ვიწრო აქვს, ვიდრე ზედაპირი, ამიტომ გვერდიდან უნდა გავატაროთ იგი საკინძეში, რომ ადვილად გაეტიოს. სასურველია, ღილების შეკვრა ჯერ შეასწავლოთ ბავშვს რაიმე მაკეტზე ან თუნდაც გახდილ ტანსაცმელზე. მის წინ, მაგიდაზე დადეთ პერანგი, შარვალი, ჟაკეტი ან წინასწარ მომზადებული ნაჭერი, რომლის ერთ კიდეში დაკერებულია ღილები, ხოლო მეორე მხარეს ამოჭრილია საკინძეები. დაათვალიერებინეთ იგი კარგად, მოასინჯინეთ ღილები და საკინძეები. შემდეგ მოაძებნინეთ პირველი ღილი და საკინძე. სასურველია, სწავლება დაიწყოთ შედარებით დიდი ზომის ღილებითა და ფართე საკინძეებით. ნელ-ნელა შეამცირეთ ღილებისა და საკინძეების ზომა და გადადით ჩაცმული ტანსაცმლის შეკვრაზე.

ელვა შესაკრავის შეკვრა

იგივე უნდა გაკეთდეს ელვა შესაკრავის შეკვრის სწავლებისას. სწავლება დაიწყეთ შეკრული ელვა შესაკრავის გახსნით. დარწმუნდით, რომ ბავშვს ყოფნის ძალა, მის გასახსნელად. შემდეგ კარგად დაათვალიერებინეთ ელვის ფორმა და სტრუქტურა. შემდეგ ეტაპზე შეგიძლიათ შეკვრა დაიწყოთ თქვენ და ბავშვს მხოლოდ შესაკრავის აწევა სთხოვოთ. ნაწილებად დაშლილი აქტივობა გააერთიანეთ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ თქვენი მოსწავლე წარმატებით ართმევს თავს ცალკეულ დეტალებს.

წინდის ჩაცმა

თუ ბავშვს ვასწავლით წინდის ჩაცმას, მას უნდა დავათვალიერებინოთ წინდა თვიდან ბოლომდე. ვაჩვენოთ, სად არის წინდის წვერი, სადაც თითები უნდა მოექცეს და სად არის ქუსლი. დაიწყეთ იმით, რომ ბავშვს ასწავლეთ ქუსლამდე ჩაცმული წინდის ამოწევა. მერე ჩააცვით წინდა შუა ტერფამდე და თავად ამოწიოს იგი ქუსლზეც. ბოლოს მხოლოდ თითებზე წამოაცვით წინდა და სთხოვეთ, თავად ჩაიცვას ბოლომდე. ბოლო ეტაპზე, მიეცით ბავშვს საშუალება, თავიდან ბოლომდე დამოუკიდებლად ჩაიცვას წინდა.

სავარაუდოა, რომ ერთ დღეში ვერ შეძლებთ წინდის ჩაცმის სწავლებას უსინათლო ბავშვისთვის. ამიტომ მოთმინებით მიუდექით საქმეს. მიეცით ბავშვს დრო, კარგად გაიაზროს, თუ რას და როგორ აკეთებს. არ დააჩქაროთ მოსწავლე, თორემ მას გაუჩნდება წარუმატებლობის განცდა და შესაძლოა, სულაც აიცრუვოს გული მსგავსი მოქმედებების სწავლაზე.

ფეხსაცმლის თასმის შეკვრა

თასმის შეკვრა საკმაოდ კომპლექსური აქტივობაა და მას, როგორც წესი, შედარებით გვიან სწავლობენ ხოლმე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები. ეს აქტივობა კარგად განვითარებულ ნატიფ მოტორიკას მოითხოვს და საწყის ეტაპზე, ფიქრიც სჭირდება, რის მერე რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ვიწყებთ იმით, რომ კვლავ ვიღებთ რამე მყარ საგანში გაყრილ თასმებს, ვდებთ მაგიდაზე და ვაჩვენებთ მოსწავლეს მის მოყვანილობას. ბავშვი თავდაპირველად სწავლობს თასმების ერთმანეთზე გადაჯვარედინებას. შემდეგ _ პირველი ნასკვის გაკეთებას. ამ დეტალზე ვავარჯიშებთ ბავშვს მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ იგი უკვე თავდაჯერებულია. სწავლება, რა თქმა უნდა მიმდინარეობს ისევ იმგვარად, როგორც ზემოთ აღვწერეთ. ჯერ ბავშვის ხელისგულები და თითები განლაგებულია მასწავლებლის ხელებზე და იგი აკვირდება აქტივობას. შემდეგ ბავშვი კიდებს ხელებს თასმებზე, ხოლო მასწავლებელი მართავს ბავშვის თითების მოძრაობას. ბოლოს, მოსწავლე თავად ცდილობს თასმების გადაჯვარედინებას და განასკვას.

როდესაც დავრწმუნდებით, რომ ბავშვი დაეუფლა თასმების შეკვრის პირველ ეტაპს, გადავდივართ მარყუჟების გაკეთბასა და გაბანტვაზე. კვლავ სამ საფეხურიანი ''ხელი ხელზე'' ტექნიკის გამოყენებით, ნელ-ნელა ვეუფლებით ამ აქტივობასაც. ბოლოს ვაერთებთ მთელ თასმების შეკვრის პროცესს. სწავლების დრო ინდივიდუალურია, მაგრამ ერთ და ორ გაკვეთილში ამის შესწავლა რთული იქნება. როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად შეძლებს თასმის შეკვრას მაკეტზე, გადადით ფეხსაცმლის დათვალიერებაზე. ასწავლეთ ბავშვს, ჯერ გახდილ, მერე ჩაცმულ ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა. ბოლოს, შეასწავლეთ მას თასმების გაყრა ფეხსაცმელში. ჯერ გაათანაბრებინეთ თასმის ორი ბოლო ერთმანეთზე დატოლებით, შემდეგ გააყრევინეთ ფეხსაცმელში და ბოლოს, შეაკვრევინეთ იგი. ამ აქტივობაზე ივარჯიშეთ იმდენ ხანს, რომ ბავშვი დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობაში. სასურველია, თსმების შეკვრაზე მუშაობისას, დროდადრო შეისვენოთ და ჩაანაცვლოთ იგი სხვა ნატიფი მოტორიკის განსავითარებელი აქტივობით. მაგალითად, შეურიეთ ერთმანეთში სხვადასხვა მარცვლეული და სთხოვეთ ბავშვს, გადაარჩიოს ისინი. ეს აქტივობა განუვითარებს მას, როგორც ნატიფ მოტორიკას, ასევე თითებში შეხებას, რათა ადვილად შეისწავლოს ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა.

ქცევის ეთიკა მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებთან ურთიერთობისას

წინამდებარე თავში ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როდესაც უსინათლო ან მცირე მხედველი ბავშვი იმყოფება ჩვენს სიახლოვეს. რა საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის ნორმები არსებობს უსინათლოსთან ურთიერთობისას, რა საჭიროა ისინი, რა შემთხვევაში და როგორ უნდა გამოვიყენოთ

თითოეული მათგანი.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე საზოგადოებრივი ეთიკის ნორმების, უფროს-უმცროსის ქცევის წესების შესახებ. ქცევის წესების სწავლებას, ალბათ ყველა პედაგოგი უთმობს გარკვეულ დროს, თავის გაკვეთილზე. ზოგადად ითვლება, რომ სკოლა მოსწავლეს უნდა აძლევდეს არა მხოლოდ აკადემიურ განათლებას, არამედ უნდა უვითარებდეს სოციალურ უნარებს, ასწავლიდეს ყოფა-ქცევას და აყალიბებდეს მას მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე პიროვნებად.

თუ თქვენ ასწავლით კლასს, სადაც ერთ-ერთი მოსწავლე უსინათლო ან მცირე მხედველია, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ და მოსწავლეებსაც გააცნოთ უსინათლოსთან მოქცევის ეთიკა. ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, რომ უსინათლო ან მცირე მხედველი ბავშვები ისეთივე ბავშვები არიან, როგორიც მათი თანატოლები. ისინი იმდენადვე ჰგვანან ან განსხვავდებიან თანატოლებისგან, როგორც ეს თანატოლები ერთმანეთისგან. თუმცა არსებობს გარკვეული, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები, რომლებიც უადვილებენ უსინათლო და მცირე მხედველ ადამიანს გარემოსთან ადაპტირებას და აყენებენ მას თანაბარ პირობებში.

მაშ ასე:

1) მისალმებისას წარუდგინეთ მოსწავლეს თქვენი თავი. თუ მასთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ, იგი რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, თავადაც გიცნობთ ხმის გაგონებისას. თუმცა თუ მოსწავლეს ხშირად არ უწევს ხოლმე თქვენთან შეხვედრა ან ამჟამად იმყოფებით ხმაურიან გარემოში, მაგალითად, დერეფანში ან სპორტულ დარბაზში, სადაც ბევრი ხალხია, ასევე თუ თქვენ ესწრებით სასკოლო ღონისძიებას ან შეხვედრას, სადაც გიწევთ ჩურჩული, რომ ხელი არავის შეუშალოთ, შესაძლოა, უსინათლო ბავშვს გაუჭირდეს თქვენი ხმაზე ცნობა. მით უმეტეს, თუ თქვენ ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ან ჩუმად გიწევთ საუბარი. უთხარით, „გამარჯობა ელენე, თინა მასწავლებელი ვარ“ და შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძეთ სათქმელი.

2) თუ თქვენ შეხვედით ოთახში, სადაც დაგხვდათ უსინათლო ან მცირე მხედველი მოსწავლე, აუცილებლად დაილაპარაკეთ, რომ მან თქვენი ხმა გაიგოს და მიხვდეს, ვინ შევიდა ოთახში. შეგიძლიათ თქვათ, ”აი მეც დავბრუნდი” ან ”მეც შემოგიერთდით” და ასე შემდეგ. მთავარია, მოსწავლემ გაიგოს, ვინ არის მის გარდა ოთახში. მაშინაც, როდესაც თქვენ უსინათლო ან მცირე მხედველ ბავშვს იბარებთ სასაუბროდ, ვთქვათ, დირექტორთან ან სხვა პედაგოგებთან ერთად, აუცილებლად წარუდგინეთ მას ყველა დამსწრე და მხოლოდ ამის შემდეგ გადადით თქვენთვის აქტუალურ საკითხზე. ყოველთვის დარწმუნდით, რომ უსინათლო ბავშვმა იცის, მასთან ერთად ვინ იმყოფება ოთახში. რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებთ, საკონცერტო დარბაზში ყოფნისას, მაგრამ თუ ადამიანების რაოდენობა არც ისე ბევრია, თან მათი ვინაობა მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის, დარწმუნდით, რომ მან იცის ყოველი მათგანის იქ ყოფნის შესახებ. ასევე გააფრთხილეთ იგი მაშინაც, თუ ოთახიდან გადიხართ.

3) უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეს ყოველთვის მიმართეთ სახელით, რათა ის დარწმუნდეს, რომ თქვენ ნამდვილად მას ესაუბრებით. როდესაც უსინათლო ბავშვი იმყოფება კლასში, რეკომენდებულია, იქ მყოფები ერთმანეთსაც მიმართავდნენ სახელით, რათა ადამიანმა, რომელიც ვერ ხედავს თქვენს თვალებს, იცოდეს, ვისკენაა მიმართული ესა თუ ის შეკითხვა ან კომენტარი. შეგიძლიათ, ისაუბროთ, ჩვეულებრივი ტონით, ზედმეტი დაძაბვის, ხმის აწევის ან ბგერების გამოკვეთის გარეშე. უსინათლო ადამიანს ესმის ჩვეულებრივ, მთავარია, დარწმუნდეს, რომ მას ესაუბრებიან.

4) ჩვეულებრივ შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა: ყურება, დანახვა, ტელევიზორის ყურება და სხვა. შეგიძლიათ თავისუფლად უთხრათ მოსწავლეს: ''ელენე, ნახე, ამ ფიგურას ოთხი გვერდი და ოთხი კუთხე აქვს'' ან ''ელენე, რა ლამაზად გამოიყურები დღეს'' ან ''ხომ არ გინახავს ის ფილმი, რომლის ყურებაზეც გუშინ შევთანხმდით?''... ეს ყოველდღიური ფრაზებია და ისინი სრულიად მისაღებია უსინათლოსთან საუბრისასაც. თუ ატყობთ, რომ მოსწავლეს მსგავსი სიტყვები აღიზიანებს, შეგიძლიათ მას აუხსნათ, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაში ყველა ადამიანი იყენებს ამ ფრაზებს. ისინი გვჭირდება კონკრეტული აზრების გამოსახატავად. ყურება კი მხოლოდ თვალით შეხედვას არ გულისხმობს, მასში გაგება და გააზრებაც იგულისხმება.

5) სანამ დახმარებას გაუწევთ უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეს, ჯერ შეეკითხეთ, სჭირდება თუ არა მას ეს და თუ სჭირდება რა ფორმით. ძალიან დამაბნეველი იქნება, პირდაპირ მისვლა და სადმე წაყვანა ან წიგნების მილაგებაში დახმარება. ზოგადად, უსინათლოებს არ უყვართ, როდესაც მათ ნივთებს უნებართვოდ ეხებიან ან ადგილს უცვლიან. მან ყოველთვის იცის, სად ალაგებს საკუთარ ნივთებს და შემდეგ ადვილად პოულობს მათ დახმარების გარეშეც.

6) იმ გარემოში, სადაც მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანი ხშირად ხვდება, სასურველია, ავეჯსა და საგნებს ჰქონდეთ მუდმივი ადგილი. თუ მაინც მოგიხდებათ მათი გადაადგილება, სასურველია, ეს გააკეთოთ თავად მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანთან ერთად, რომ მან კარგად დაიმახსოვროს მათი მდებარეობა. თუ ესეც არ არის შესაძლებელი, მაშინ აუხსენით მას ნივთების მდებარეობა, გადაადგილების შემდეგ, პირველივე შეხვედრისას. თავად მის ნივთებს კი არასდროს შეეხოთ ნებართვის გარეშე. თუ უსინათლო ადამიანის ნივთს ითხოვებთ, ყოველთვის დააბრუნეთ იგი პირვანდელ ადგილზე ან მიაწოდეთ უსინათლოს ხელში, რომ მან თავად მიუჩინოს ნივთს ადგილი. არასდროს დატოვოთ სკამი გამოწეული, ბოლომდე მიწიეთ ის მაგიდასთან ან კედელთან. კარი ყოველთვის დახურეთ ბოლომდე ან გააღეთ ისე, რომ იგი კედელს ეყუდებოდეს. შუა ოთახში ნუ დატოვებთ საგნებს უადგილოდ, ისე რომ უსინათლომ მათ ფეხი დაადგას ან გვერდი გაკრას.

7) როდესაც უსინათლო ადამიანს უხსნით, თუ როგორ უნდა მივიდეს რომელიმე საკლასო ოთახამდე ან სხვა ადგილამდე, უმჯობესია, ზუსტად აუხსნათ მერამდენე შესახვევში უნდა შეუხვიოს ან მერამდენე კარში უნდა შევიდეს. მაგალითად, ასე:

''დერეფანში რომ გახვალ, წადი მარჯვნივ, გაცდი კიბეს, რომელიც მარჯვენა მხარეს შეგხვდება, კიბის მერე შეუხვიე პირველსავე შესახვევში და ისტორიის კაბინეტი მეორე კარია შესახვევის მარცხენა მხარეს''. მცირე მხედველ მოსწავლეს, შეგიძლიათ ეს მითითებები შეუმციროთ ან ისინი ჩაანაცვლოთ სხვა, მეტად ვიზუალური მითითებებით, მაგალითად, ''დერეფანში რომ გახვალ, წადი მარჯვნივ, გაცდი კიბეს და ყვითელ ნიშნულთან შეუხვიე, შენგან მარჯვენა მხარეს მეორე კარი იქნება ისტორიის კაბინეტი''. ამასთან, უსინათლო ადამიანი არასდროს დატოვოთ მარტო გაშლილი სივრცის შუაში. ყოველთვის უთხარით მას, რა უახლოესი საორიენტაციო პუნქტია მასთან ახლოს ან მიიყვანეთ ამ პუნქტთან, რომ მან შემდეგ თავად შეძლოს გზის გაგრძელება. ამ შემთხვევაშიც, სასურველია, გამოიყენოთ საათის პრინციპი, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. საორიენტაციო პუნქტი შეიძლება იყოს: სკამი, ბოძი, ნაგვის ურნა, შადრევანი, შენობის კედელი და ასე შემდეგ.

8) თუ მოსწავლეს სკამზე დაჯდომაში ეხმარებით, უმჯობესია, მას ხელი დაადებინოთ სკამის საზურგეზე ზემოდან, რომ შემდეგ მან თავად შეძლოს დაჯდომა. თუ სკამი ისე დგას, რომ საზურგეზე ხელის დადება მოუხერხებელია, მაშინ აუხსენით ვერბალურად, სად დგას სკამი, მარცხნივ, მარჯვნივ ან უკან, რომ მოსწავლე თავად დაჯდეს მისთვის განკუთვნილ ადგილზე.

9) ყველაზე მეტად ყურადსაღები და ადვილად შესასრულებელი წესია : თუ ორჭოფობთ ან არ იცით, როგორ დაეხმაროთ უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეს, ყოველთვის კითხეთ მას თავად. გახსოვდეთ, იგი თქვენი ყველაზე დიდი და კომპეტენტური ინფორმატორია! მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ატყობთ, რომ მოსწავლეს ერიდება დახმარების თხოვნა, შეგიძლიათ უფრო დაბეჯითებით შესთავაზოთ მას დახმარება. მაგალითად, ''მოდი, ამაში მე დაგეხმარები'', ''მოდი, ერთად გავიდეთ სტადიონამდე, მომკიდე ხელი'' ან ''მოდი, მე დაგასრულებინებ სამუშაოს''.

რეკომენდაციები:

- მისალმებისას, უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეს წარუდგინეთ თქვენი თავი, თუ ის თქვენ კარგად არ გიცნობთ ან თუ ხმაურიან გარემოში იმყოფებით;
- ოთახში შესვლისას ან ოთახიდან გასვლისას, ყოველთვის გააფრთხილეთ უსინათლო მოსწავლე, რომ მან იცოდეს, ვისთან ერთად იმყოფება. ასევე, წარუდგინეთ მას ყველა იქ მყოფი ადამიანი;
- ყოველთვის მიმართეთ უსინათლო ან მცირემხედველ მოსწავლეს სახელით, სანამ შეკითხვას დაუსვამთ ან რამეს ეტყვით. სასურველია, ყველა სხვა იქ მყოფსაც მიმართოთ ხოლმე სახელებით, რათა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლემ იცოდეს, ვის ესაუბრებიან;
- ჩვეულებრივ გამოიყენეთ მხედველობასთან დაკავშირებული სიტყვები და ფრაზები, ეს დისკომფორტს არ უნდა უქმნიდეს უსინათლო ადამიანს;
- ნუ გადაადგილებთ მხედველობის დაქეითების მქონე ადამიანის გარემოში არსებულ საგნებს მასთან შეთანხმების გარეშე. მისი პირადი ნივთები აიღეთ მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ და ყოველთვის დააბრუნეთ პირვანდელ ადგილზე ან მიაწოდეთ პატრონს ხელში;
- ყოველთვის დარწმუნდით, რომ უსინათლო ან მცირემხედველ ბავშვს ნამდვილად ესაჭიროება თქვენი დახმარება და შემდეგ დაიწყეთ მოქმედება;
- მიმართულებები აუხსენით კონკრეტულად, მიეცით მისთვის ადვილად გასაგები და ნაცნობი მითითებები. გამოიყენეთ გზად არსებული საორიენტაციო პუნქტები;
- არასდროს დატოვოთ უსინათლო ადამიანი გაშლილ სივრცეში მარტო, უახლოესი საორიენტაციო პუნქტის მითითების გარეშე;
- სკამზე დაჯდომისას, უსინათლოს ხელი დაადებინეთ სკამის საზურგეზე ზემოდან ან უთხარით მას, მისგან რომელ მხარეს დგას თავისუფალი სკამი;
- ყოველთვის შეეკითხეთ თავად უსინათლო ან მცირე მხედველ მოსწავლეს, თუ როგორ გაუწიოთ მას დახმარება ან რა ფორმით მიწოდებული (ახსნილი) მასალა უფრო გასაგებია მისთვის. იგი თავისი საქმის უპირველესი ექსპერტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით, ბეთშოუ მ.ლ.; ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი 2013

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული მასალა - „მხედველობა და მხედველობის შეზღუდვა“, http://www.tpdc.ge/uploads/ ; თბილისი 2012

Low Vision Manual - A.JonathanJackson, James S. Wolffsohn წლები ჭირდება ამას.
ReadingStrategiesforStudentswith Visual Impairments: A ClassroomTeacher'sGuide

Teaching Students with Visual Impairments a guide for the support team learning media assessment of students with visual impairmentsA Resource Guide for Teachersby Alan J. Koenig, Ed.D.TexasTechUniversity, Lubbock, Texas

Visual Impairment - Access to Education for children and Young People, Mason H &McCall S.; David Fulton Publishers, London 2001

What and How Does This Child See, Hyvarinen L. & Jacob N., Vistest Ltd, Finland 2011